საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

Georgian Technical University
Georgian Academy of Engineering

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

QUARTERLY REFEREED AND REVIEWED
INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL

N4
2019

სარჩევი

ბიზნეს ინჟინერინგი N4. 2019

მაღალი რანგის პრინციპების ერთგული კაცი (იაშა (კოკა) კუტუბიძე – 70)---------- 367

ოთარ ზუმბურიძე, გიორგი ძიძიგური, ნინო ჩუბინიძე, ლაშა იოსებიძე, მზიანა ნიჟარაძე
ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ოპტიმალური მართვის პერსპექტივები-------- 369

ტარიელ კიკვაძე, ბელა კუტიბაშვილი
მდგრადი განვითარების ეკოლოგიური ასპექტების განხილვა----------374

ლუარა გვაჯაია
სისტემურ-კომპლექსური მიდგომა ხარისხის მართვისადმი ---------- 377

გივი ემუხვარი
ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები --- 380

თათა ფილიპიდის, მაია ლომსაძე -კუჭავა
ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემების და ეკოლოგიური ასპექტების ანალიზი ------- 388

თამარ სალუქვაძე
არქიტექტურის მხატვრულ - გამომსახველობითი სახის,
მოცულობით - სივრცითი კომპოზიციის მუსიკალურობის შესახებ ---------- 393

ნიკოლოზ დგებუაძე
ნარკოპოლიტიკა საქართველოში---------- 396

კახაბერ ჭუმბაშვილი
უცხოელებზე მიწის გაყიდვის დაღებით და უარყოფითი მხარეები---------- 402

ნანა სულაძე
ინვესტიციები განათლებაში და განათლების როლი
კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაში ---------- 406

მურმანი ციქუბაძე
მოგების გადასახადის რეფორმის გამოწვევები საქართველოში---------- 414

რამაზ ოთინაშვილი, ნინო ზავრაშვილი
მომხმარებლის ქცევა საცალო ვაჭრობის ობიექტებზე ----------418

თეა ჩიჩუა
სოციალური მედიის გავლენა ეკონომიკის სტიმულირებაზე ---------- 422

მარიამ ქურდიანი
ტრადიციული მაუწყებლიდან მულტიმედიურ მაუწყებლობაზე გადასვლა ---------- 425

ახალი წიგნები

ნელი სესაძე
რეცენზია მზევინარ ნოზაძის სახელმძღვანელოზე «ფინანსური ინვესტიციები» ---------- 428

მაღალი რანგის პრინციპების ერთგული კაცი

იაშა (კოკა) კუტუბიძე – 70



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი იაშა (კოკა) კუტუბიძე 70 წლისაა. საიუბილეო თარიღს ღირსეულად ხვდება იუბილარი. როგორც პოეტი ამბობს: „მას არც წარსულის, არც მომავლის არ ეშინია" ვინაიდან თავისი ცხოვრების რთული და საინტერესო გზა დღემდე ღირსეულად და კაცურად გაიარა.

დიდი ბედნიერებაა, როცა უფალი წილად გარგუნებს გამორჩეული მშობლების შვილობას. მამა-შალვა კუტუბიძე, დამსახურებული პედაგოგი, გონიერებით, ხალასი იუმორის ნიჭით უხვად დაჯილდოებული ადამიანი, მომაჯადოებელი ხიბლის მატარებელი პიროვნება იყო. დედა -ფაცია წულაია, მშვენიერებისა და კეთილშობილების, გარეგნული სილამაზისა და სულიერი სრულყოფილების ერთიანობის განსახიერება ქალბატონი გახლდათ. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მშობლების ეს თვისებები გენეტიკურად მომეტებულად უხვად გადაეცა შვილს, ჩვენს მეგობარ იუბილარს -კოკა კუტუბიძეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სრული კურსისა და ამავე ფაკულტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, კოკა კუტუბიძე მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრაზე. შეთავსებით ლექციებს კითხულობდა თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. რამდენიმე წელი იყო სულხან-საბა ორბელიანის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მოუწია მას მუშაობა საქართველოს კონტროლის პალატაში, სადაც დაიწყო საქმიანობა განყოფილების გამგედ და ბოლო წლების მანძილზე იყო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პრეზიდიუმის წევრი, კურირებდა ძალოვანი უწყებების საქმიანობას რესპუბლიკის მასშტაბით.

ასეთ პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობის პარალელურად, აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს (მონოგრაფიებს, სტატიებს) სოციალურ მეცნიერებათა სფეროში, ასევე კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში, მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

ამიტომაც, როდესაც საჯარო სამსახურიდან წამოვიდა, მას პრობლემა არ შექმნია, გაეგრძელებინა საქმიანობა მისთვის საყვარელ სფეროში-სამეცნიერო- პედაგოგიურ ასპარეზზე.

ამჟამად კოკა კუტუბიძე წარმატებით ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მისი ინიციატივით და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკად. არჩილ ფრანგიშვილის აქტიური მხარდაჭერით შექმნილ სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს. აღნიშნულ დეპარტამენტში მან ჩამოაყალიბა სოციალური კვლევების ლაბორატორია, რომლის

ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე შემუშავდეს სათანადო რეკომენდაციები უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. მისივე ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით შემუშავებულია სამაგისტრო პროგრამები სოციოლოგიასა და გამოყენებით ფსიქოლოგიაში.

ჩვენს იუბილარს აქვს შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე ნატო მეცხვარიშვილი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, წარმატებით მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. შვილები -სალომე და შალვა (შაკო) თავიანთ სფეროებში წარმატებული ახალგაზრდები არიან. სალომე საბანკო სექტორში მნიშვნელოვან პოზიციაზეა, ხოლო შალვა (შაკო), ეკონომიკის დოქტორი, ერთ-ერთ სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობის პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ტექნიკურ უნივერსიტეტში.

რაც შეეხება ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს, საყვარელ შვილიშვილს გუკას, რომელიც დაწყებითი სკოლის მოსწავლეა, იუბილარი ბაბუა კაცური პრინციპებით ზრდის. იმ კაცური პრინციპებისა და მაღალი რანგის ღირებულებების მიხედვით, რომლებსაც მთელი ცხოვრება ერთგულად ემსახურება თავად იუბილარი. დიახ, მაღალი რანგის პრინციპების მსახურება და ერთგულება, სიკეთის კეთებისთვის მუდამ მზადყოფნა-არის კოკა კუტუბიძის ცხოვრების საზრისი და მოწოდება.

ენერგიით აღსავსე, ახალი მიზნებით, ჩანაფიქრებით, ხვდება იუბილეს ჩვენი მეგობარი, გამორჩეული და ღირსეული პიროვნება-კოკა კუტუბიძე.

ჩვენც გულითადად ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს, ახალ-ახალ წარმატებებს.

ირაკლი კალანდია,
ალექსანდრე სიჭინავა,
ავთანდილ სილაგაძე,
კარლო კოპალიანი,
ვახტანგ სართანია,
მიხეილ ჩიკვილაძე,
გიორგი კოპალიანი.

ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ოპტიმალური მართვის პერსპექტივები

ოთარ ზუმბურიძე
სტუ პროფესორი
გიორგი ძიძიგური
სტუ პროფესორი
ნინო ჩუბინიძე
სტუ დოქტორანტი
ლაშა იოსებიძე
სტუ დოქტორანტი
მზიანა ნიჟარაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ოპტიმალური მართვისთვის საჭირო ძირითადი ელემენტების, მათი შეფასების გზებისა და ოპტიმიზაციის ერთიანი პროცესის განსაზღვრის საკითხები. ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და ოპტიმიზაციის საკითხებისადმი სტრატეგიული მიდგომის აუცილებლობაზე, რაც უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ისეთი სპეციალისტების მომზადებას მოითხოვს, რომლებიც შეძლებენ საკადრო პოტენციალის ორგანიზაციული და პროფესიული შესაბამისობის უზრუნველყოფას ორგანიზაციის სამუშაოებთან.

ამასთან, აღნიშნულია, რომ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა, სწავლებისა და განათლების გადაცემა-მიღების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება განპირობებულია თვით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ადამიანური რესურსის მართვის სწორად შერჩეული ალგორითმის ზედმიწევნით განხორციელებაზე. ამაზეა დამოკიდებული დაწესებულების ერთიან საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის დონე, რაც შეუძლებელია განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტის „საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემების“ მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე, რომელიც სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა 2018 წელს (ISO 21001) .

საკვანძო სიტყვები: ოპტიმალური მართვა, ორგანიზაციიის ეფექტიანობა, სამუშაო გარემოს ეფექტიანობის კვლევა, ISO სტანდარტები, ადამიანური კაპიტალი, მოტივაცია.

SUMMARY

The article discusses the key elements of the organization's human capital development and the issues of evaluating and optimizing these parameters. The main attention is paid to the use of modern methods of human resource management and the importance of a strategic approach to optimization issues, which requires preparation by higher and professional educational institutions of specialists who will be able to ensure maximum matching of personnel potential with the organization's work.

It is noted that the designing of appropriate educational programs, the planning, implementation, evaluation, and development of the educational and methodological process depends on the implementation of the same personnel management system by the educational institution itself. The level of integration of an educational institution into the international educational area depends on this, which cannot be achieved without considering the requirements of the international standard Education Management Systems, developed and published by the International Organization for Standardization in 2018 (ISO 21001).

* * * *

აღსანიშნავია, რომ სულ უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიერ ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და ოპტიმიზაციის საკითხებისადმი სტრატეგიული მიდგომა, რაც გულისხმობს ადამიანური რესურსების არა ცალ-ცალკე ურთიერთდამოუკიდებელ ელემენტებად, არამედ ოპტიმალური მართვის მთლიანი ციკლის ერთიან სისტემად განხილვას.

ზოგადად, ოპტიმალური მართვა გულიხმობს მთელ რიგ საკითხებს. იგი ასახავს საკვლევ ობიექტზე გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებას. თუკი საკვლევი ობიექტი არის ორგანიზაცია, რომელიც ფუნქციონირებს რეალურ დროში, სისტემის

ყველა ელემენტის ურთიერთქმედების ეფექტიანობა მოითხოვს მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

შესაძლებელია გამოიყოს თანამედროვე მენეჯმენტის რამდენიმე ძირითადი მიმართულება: ეკონომიკა, ლოგისტიკა, მარკეტინგი, ფინანსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ინტეგრირებული მიმართულებების გამოკვლევა, როგორებიცაა: სტრატეგია, ხარისხი, პრგორამულ-ტექნიკური პლატფორმები და, ბოლო ათწლეულში ყველაზე პრიორიტეტულად მიჩნეული მიმართულება - ადამიანური რესურსები.

ორგანიზაციის რესურსები გულისხმობს წარმოების უზრუნველყოფის მრავალფეროვან საშუალებებს: ბუნებრივს, შრომითს, კაპიტალურს, საბრუნავს, ინფორმაციულს, ფინანსურს, მატერიალურს და სხვა რესურსებს. მათი დიფერენცირება არ არის ერთმნიშვნელოვანი. თუკი გასულ საუკუნეში დაწესებულების სრულ პოტენციალს წარმოადგენდა ტექნოლოგიური და საინფორმაციო რესურსები, ამჟამად აღინიშნება შრომითი რესურსების წინა პლანზე წამოწევის ტენდენცია. დაწესებულების ეფექტიანობას და მის განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს თანამშრომლების შერჩევის, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების, შემდგომი განვითარებისა და მოტივაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება.

დაწესებულების შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის კვლევისას იკვეთება ურთიერთქმედებათა მრავალფეროვნება. თუკი ნებისმიერ არსებულ სისტემას პროგრესისა და სრულყოფის კუთხით შევხედავთ, გამოიკვეთება ორგანიზაციის შრომითი რესურსით დაკომპლექტებისა და შემდგომი განვითარების პრობლემის მრავალმხრივობა. აღნიშნულ საკითხს ძალიან დიდი გავლენა აქვს ორგანიზაციის სამომავლო ოპერირებაზე.

ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე და კონკურენტუნარიანობაზე არამარტო შრომითი რესურსები ახდენს გავლენას, ამიტომ მიზანშეწონილია ადამიანური რესურსების კვლევა და განვითარება ხორციელდებოდეს ორგანიზაციის ეფექტიანობის კვლევის საერთო ჭრილში, ვინაიდან ორგანიზაციის ეფექტიანობა დამოკიდებულია როგორც პერსონალის ინდივიდუალურ ფაქტორებზე, ასევე სამუშაო გარემოს ფაქტორებზეც.

კვლევები ადასტურებს, რომ შესრულებულ სამუშაოზე დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ სამუშაო გარემო, არამედ თანამშრომლის არასამსახურებრივი გარემოცვაც (ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები, დარგის მუშაკები, მომსახურე პერსონალი). თანამშრომლის პირადი კომფორტული გარემო სამუშაოზე საუკეთესო შედეგების მიღწევის წინაპირობაა და პირიქით, არასასიკეთო გარემო ადამიანის შრომითი პოტენციალის სრული დაქვეითების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამას გარდა, გარემო ფაქტორები მოიცავს პოლიტიკურ, სამართლებრივ, კულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა სახის კომპონენტებს. ისინი შეიძლება რეალიზებულ იქნას მასმედიის გავლენის, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, კულტურული, ეთიკური, რელიგიური აღზრდის, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ან მთლიანად სახელმწიფოს ცალკეულ კონკრეტულ კოლექტივზე ან დაწესებულების ცალკეულ მუშაკზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების საფუძველზე. ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები შემდეგი საკვანძო ფაქტორები:

ა) უკანასკნელი მონაცემების მიხედვით დღევანდელი მსოფლიოს პოპულაცია 6,5 მილიარდს შეადგენს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით, 2200 წლისთვის ეს რიცხვი 10 მილიარდს მიაღწევს. აშკარაა, რომ დღევანდელ მსოფლიოს აღარ ძალუძს შეთავაზოს ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფს ისეთი ფუფუნება, როგორიც მხოლოდ ამ ჯგუფის კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიაა. მსოფლიო, დემოგრაფიული და მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის პრობლემის წინაშე დგას, რომლის მშვიდობიანი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი მართვის პოლიტიკის გატარებით და მიღწეული ტექნიკური პროგრესის წყალობით.

ბ) მსოფლიოს მმართველობითი პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნეა ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რომელსაც რამდენიმე მიზანი აქვს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება, მობილურობის გაფართოება და განათლების ერთიანი სისტემის მიმზიდველობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველყოფა. ასეთი სივრცის შექმნა შეუძლებელია საერთაშორისოდ აღიარებული, ერთიანი სტანდარტების გარეშე. სწორედ ამიტომ 2018 წელს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ISO) შეიმუშავა და გამოაქვეყნა ISO 21001 საერთაშორისო სტანდარტი „საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემები". ეს არის სტანდარტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტონომიური მართვის სისტემის დანერგვის, განხორციელებისა და განვითარებისთვის, რომელიც ეფუძნება ISO 9001-ს, თუმცა არ წარმოადგენს მის სექტორულ აპლიკაციას და შესაბამისობაშია ISO-ს სხვა სტანდარტებთანაც.

ისევე, როგორც ISO 9001, ISO 21001 მოითხოვს უწყვეტი ციკლური პროცესის წარმართვას, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად, ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება - PDCA (Plan, Do, Check and Act).

გ) დღესდღეობით აღარავინ კამათობს იმაზე, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების მამოძრავებელი ძალაა. სამყარო თავისი განვითარების, საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ახალ ეტაპზეა, რომელიც ხასიათდე-

ბა სრულიად ახალი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობებით ადამიანთა ცხოვრებაში. ელვინ და ჰეიდი ტოფლერები თავის წიგნში „მომავლის შოკი“ აღნიშნავენ, რომ შოკს იწვევს ძალზე ბევრი ცვლილება ძალზედ მცირე დროში. „მანქანები სულ უფრო სწრაფად შეასრულებენ რუტინულ სამუშაოებს და ადამიანებს მოუწევთ სულ უფრო მეტი ინტელექტუალური და შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა. არც მანქანები და არც ადამიანები აღარ იქნებიან კონცენტრირებულნი გიგანტურ ქარხნებსა თუ სამრეწველო ცენტრებში, არამედ მიმოიფანტებიან მთელს დედამიწაზე და ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებიან საოცრად მგრძნობიარე და თითქმის მყისიერად მოქმედი კომუნიკაციებით. შრომა გასცდება ქარხანა-ფაბრიკების საზღვრებს და ხალხმრავალ ოფისებს, ადამიანები იმუშავებენ მცირე კოლექტივებსა და საკუთარ სახლებში“.

და მართლაც, მსოფლიო შევიდა საინფორმაციო საზოგადოების ეპოქაში, რომლის დამახასიათებელი თვისებაა ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციური განვითარება და, ამის საფუძველზე, ინფორმაციისა და ცოდნის ინდუსტრიის განვითარება, რომელიც მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს.

მეორე მხრივ, განათლებისა და სწავლების ხარისხი ყოველთვის განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მზად არიან კურსდამთავრებულები თანამედროვე კომპანიებში მუშაობისთვის. დღეს ახალგაზრდა პროფესიონალებს უნდა ჰქონდეთ ცოდნის დამოუკიდებლად მიღების უნარი თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით, რაც დაკავშირებულია ციფრულ სამყაროში სამუშაო ადგილების მუდმივ ზრდასთან. აქედან გამომდინარე თანამედროვე სტუდენტთა მოთხოვნები და მოლოდინები აყალიბებენ პედაგოგის ახალ სახეს, რომელიც იძულებულია ეძიოს სამუშაოს შესრულების ახალი მეთოდები, მიდგომები, სწავლების ფორმები და ტექნოლოგიები, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის განვითარება და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადების მაღალი ხარისხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სწორად განხორციელებისას აქცენტი კეთდება არა უბრალოდ მიღებული პროდუქტის ხარისხზე, არამედ მისი ხარისხისანად მიღების პროცესზე.

ამდენად, ჩვენი ღრმა რწმენით, სწავლებისა და განათლების გადაცემა-მიღების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება ბევრად არის დამოკიდებული ამ პროცესებში მონაწილე ადამიანური რესურსის მართვის სწორად შერჩეული ალგორითმის ზედმიწევნით განხორციელებაზე რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით: დაწესებულების მართვის ნორმები და ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია; ხელმძღვანელების სამუშაოს ოპტიმიზაცია და უფლებამოსილების გადანაწილება; მართვის ფსიქოლოგია; ხელმძღვანელის მუშაობის სტილი; ყველა რგოლის თანამშრომლების მოტივაცია; ორგანიზაციული კულტურა; კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონე; ასევე სხვა მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანური რესურსების მართვას.

პარამეტრების აღნიშნული კრებული არ არის შემთხვევითი და გულისხმობს იმ ფაქტორების თანმიმდევრულ და რაციონალურ შეთავსებას, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანური რესურსების ხარისხიან მართვას. მაგალითად მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მართვის პროცესის ორგანიზება და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა. სრულიად გასაგებია, რომ დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურის სახეობა არსებით გავლენას ახდენს დაწესებულების თანამშროლების მუშაობაზე და მათ შრომით ნაყოფიერებაზე. ეს საკითხები წყდება მართვის ნორმებთან მკაფიო კავშირში, რაზეც გავლენას ახდენს პერსონალის კვალიფიკაცია, თანამშრომელთა სამუშაო ადგილებზე გადანაწილება, საჭიროების შემთხვევაში ჩამნაცვლებლების არსებობა, თანამშრომელთა პიროვნული თვისებები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილების რაციონალური განაწილების გარეშე საქმიანობა გადადის სტრატეგიული ზონიდან მიმდინარე შესრულების ზონაში. წარმოიშვება დაწესებულების მართვის ზედა დონეების დაუსაბუთებელი გადატვირთვა, რაც საბოლოოდ იწვევს სტრატეგიული ხედვის დაკარგვას.

ორგანიზაციის განვითარების თანამედროვე პირობებში ვერავინ უარყოფს ხელმძღვანელის მუშაობის სტილის მნიშვნელობას. ხელმძღვანელობის სტილისგან დამოუკიდებლად შეიძლება გამოიყოს შრომითი საქმიანობისადმი მუშაკთა მოტივაციის ფაქტორი, რომელსაც ამჟამად უმთავრესი ადგილი უკავია ყველა თანამედროვე ორგანიზაციაში.

შრომის მოტივები მრავალფეროვანია. ისინი განსხვავდებიან მოთხოვნების მიხედვით, რომელთა დაკმაყოფილებისკენაც ადამიანი ისწრაფვის იმ სარგებლის მიხედვით, რომელიც სჭირდება საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, იმ ანაზღაურების მიხედვით, რომლის მიღების შემთხვევაში ადამიანი მზადაა შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო.

შრომის მოტივაცია ყალიბდება პროფესიონალური შრომითი საქმიანობის დაწყებამდე - ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში შრომითი მორალის, ეთიკის ფასეულობებისა და ნორმების გათავისების გზით, ასევე ოჯახისა და სკოლის საქმიანობაში პირადი მონაწილეობის მეშვეობით. ამ დროს ხდება შრომისადმი, როგორც ფასეულობისადმი დამოკიდებულების საფუძვლის ჩაყრა, ვითარდება პიროვნების შრომითი უნარ-თვისებები: შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, დისციპლინირებულობა, ინიციატივის უნარი და

ა.შ., ხდება პირველადი შრომითი ჩვევების შეძენა.

ამ მიმართულების საკითხების გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია როგორც ეროვნული, და/ან რეგიონალური ხასიათის, ასევე ზოგადსაკაცობრიო მოტივები. ამასთან მოტივების ფორმირება ხდება კულტურული, სოციალური, პირადი, ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენის საზღვრებში.

მაგალითად, მატერიალური მოტივების გავლენა შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვადასხვა ეროვნების, საცხოვრებელი ადგილის, ფსიქოლოგიური გარემოცვის თუ განსხვავებული მართვის სტილის ხელმძღვანელებთან მომუშავე ადამიანებისთვის. ნებისმიერი მუშაკი განიცდის თავის თავზე სქესობრივ-ასაკობრივი მახასიათებლების, პიროვნული ხასიათის თავისებურებების, თვითშეფასების, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების გავლენას. გარდა ამისა, შრომითი რესურსების და, რაც მთავარია, ადამიანური რესურსების მართვაზე გავლენას ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა მოტივები. აქვე უნდა აღინიშნოს მატერიალური სტიმულატორების უპირატესობა მორალურთან. მატერიალური მოტივების მნიშვნელოვანმა გავლენამ რიგ შემთხვევებში გამოიწვია ადამიანთა ინტერესის დაქვეითება კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, როგორც რიგითი თანამშრომლების, ასევე, კიდევ უფრო მეტად, მმართველი რგოლის მხრიდან, იმდენად, რამდენადაც კვალიფიკაციის ამაღლების მოდიფიცირებული სისტემა მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რომელსაც ახორციელებენ მხოლოდ განათლებული და ინოვაციაზე ორიენტირებული მეწარმეები. ძირითადად თანამშრომლები გრძნობენ კვალიფიკაციის ამაღლების და დამატებითი განათლების მიღების საჭიროებას, მაგრამ გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე არ აქვთ შესაბამისი მატერიალური შესაძლებობა. სხვაობა განათლებაზე გაწეული ხარჯებისა და რეალური საქმიანობიდან შემოსავალს შორის ყოველთვის არ აძლევს მუშაკს თვითგანვითარების პროგრამის განხორციელების საშუალებას. აქედან გამომდინარე თანამშრომლის განვითარებაზე ზრუნვა უნდა იქცეს წარმატებული ორგანიზაციის საქმიანობის ქვაკუთხედად.

ამდენად, ადამიანური კაპიტალის სრულფასოვანი მართვისა და განვითარებისათვის, ნებისმიერ თანამედროვე ორგანიზაიაში ინტეგრირებული უნდა იყოს HR მენეჯერთა სამი ძირითადი ტიპი:

1) HR მენეჯერი, რომელიც თანამშრომელთა მხრიდან ნდობით არის აღჭურვილი, ზრუნავს შეუქმნას მათ ჯანსაღი სამუშაო პირობები და ხელსაყრელი მორალური და ფსიქოლოგიური ატმოსფერო. მისი ოფიციალური სტატუსი შედარებით დაბალია: ეს არის მუშაკი, რომელიც მომზადებულია სამრეწველო სოციოლოგიის (ან ფსიქოლოგიის) სფეროში და ეხმარება ხელმძღვანელებს გაატარონ ორგანიზაციის ეფექტიანი საკადრო პოლიტიკა;

2) HR მენეჯერი შრომითი კონტრაქტების (მათ შორის კოლექტიური ხელშეკრულებების) სპეციალისტი. მსხვილ ორგანიზაციებში, სადაც მასიურად გამოიყენება დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი, მას ორმაგი როლი აკისრია: ის ახორციელებს შრომითი ხელშეკრულებების პირობების დაცვის ადმინისტრაციულ კონტროლს, აღრიცხავს დანიშვნებს და თანამდებობრივ გადაადგილებებს, არეგულირებს შრომით ურთიერთობებს პროფკავშირებთან მოლაპარაკების პროცესში. ამ ფუნქციების შესასრულებლად, როგორც წესი, მოითხოვება იურიდიული განათლება. ასეთი ტიპის მენეჯერებს, მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალი სტატუსი აქვთ ორგანიზაციებში.

3) HR მენეჯერი, რომელიც, როგორც საკადრო პოტენციალის არქიტექტორი, წამყვან როლს თამაშობს ორგანიზაციის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. მისი მისიაა - უზრუნველყოს საკადრო პოტენციალის ორგანიზაციული და პროფესიული შესაბამისობა ორგანიზაციის სამუშაოებთან. ის ეკუთვნის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის უმაღლეს რგოლს და აქვს მიღებული ცოდნა და გამოცდილება ისეთ ახალ სფეროში, როგორიც არის ადამიანური რესურსების მართვა.

სწორედ მესამე ტიპის მენეჯერების დეფიციტი წარმოადგენს არსებით პრობლემას საქართველოში და, შესაბამისად, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანი უნდა იყოს ისეთი სპეციალისტების ფორმირება, რომელთაც ექნებათ HR მენეჯერის მესამე ტიპისთვის აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ საკმაოდ კომპეტენტურნი, რათა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებისთვის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავებაში და შეძლონ ამ პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიული დაგეგმვა, მნიშვნელოვანი ანალიტიკური და შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა, კერძოდ, პერსონალის პროგნოზირება და დაგეგმვა, შრომითი რესურსების ბაზრის შესწავლა, შრომითი საქმიანობის მოტივაციის სისტემების შემუშავება, თანამშრომელთა კარიერისა და განვითარების მართვა, პერსონალის უფლებებისა და გარანტიების დაცვის უზრუნველყოფა, კონფლიქტების მოგვარება, და ა. შ.

ასეთი ფუნციებისა და ამოცანების შესრულება გულისხმობს შესაბამისი საკადრო ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც პირობითად შესაძლებელია სამ ჯგუფად დაიყოს:

პირველი ჯგუფი – ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების შესახებ ყოველმხრივი, სრული და უტყუარი ინფორმაციის მიღებას.

მეორე ჯგუფი მოიცავს ტექნოლოგიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულებისათვის

პერსონალის საჭირო რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

მესამე ჯგუფი – ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეული თანამშრომლის საქმიანობის მაღალ შედეგსა და მთელი პერსონალის ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედების ეფექტიანობას.

კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს კერძო და საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის სამართლებრივი საფუძვლები, ფსიქომეტრიკის საფუძვლები და შესაბამისად, შეეძლოს განახორციელოს:

– სამუშაო გარემოს ანალიზი;

– პერსონალის ინდივიდუალურ ფაქტორთა ანალიზი;

– სამუშაოს ანალიზი და კომპეტენციების განსაზღვრა;

– თანამდებობებათა კლასიფიცირება და სახელფასო მატრიცების შედგენა;

– ვაკანტურ თანამდებობებზე თანამშრომელთა შერჩევა კომპეტენციებზე ორიენტირებული მეთოდებით;

– სტრუქტურული ერთეულებისა და თანამშრომელთა შეფასება;

– სწავლების საჭიროებების დადგენა;

– კარიერის დაგეგმვა, მართვა და მოტივაციის სისტემის განვითარება;

– ადამიანური რესურსის მართვის ზოგადი პოლიტიკის შემუშავება;

– ადამიანური რესურსის სტრატეგიული მართვა;

– პერსონალის პროგნოზირება და დაგეგმვა (პერსონალის აუდიტი);

– ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ეფექტიანობის მონიტორინგი.

ბუნებრივია, ასეთი კომპლექსური ცოდნის მიღება მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ნაკლებად სავარაუდოა და მოითხოვს სასწავლო კურსების გადანაწილებას განათლების სხვადასხვა დონეზე და საფეხურებზე.

სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მომზადებული სპეციალისტები შეძლებენ განსაზღვრონ ძირითადი პარამეტრები, რომელთა მეშვეობით ორგანიზაციებს მიეცემათ ადამიანური რესურსის ოპტიმალური მართვის პროცესის განხორციელების საშუალება. აუცილებელია, რომ ყველა პარამეტრი იყოს გაზომვადი. მაგალითად თანამშრომლის პიროვნული თვისებების გასაზომად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პიროვნული კითხვარები, გარემო ფაქტორების გასაზომად - გარემოს კვლევის კითხვარი, თანამშრომლის განსავითარებელი კომპეტენტურობების დასადგენად შესაძლებელია საქმიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. ადამიანური რესურსების მართვის სისტემაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების შეფასება შესაძლებელია თომას გილბერტის მეთოდით. ორი მნიშვნელოვანი პარამეტრი, რომელიც ზემოთ არ არის ნახსენები არის ინოვაციურობის მაჩვენებელის დადგენა, ასევე თანამდებობათა ფარდობითი ღირებულების დადგენა და კლასიფიცირება. აღნიშნულ პარამეტრებს მუშაობის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია დაემატოს მთელი რიგი სხვა მაჩვენებლებიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ISO 21001:2018. Educational organizations — Management systems for educational organizations — Requirements with guidance for use. 2018-05. Number of pages : 63.

2. Human capital investment and growth: A dynamic education model. Ben Mimoun, Mohamed and Raies, Asma. Journal of Business Affairs, Volume 2, Issue 1, 2008.

3. Gilbert, T.F. (1996). Human competence: Engineering worthy performance (Tribute ed.). Silver Spring, MD: International Society for Performance Improvement. (Original work published 1978).

4. A Mathematical Approach to Employment Policies: An Optimal Control Analysis Surekha B. Munoli and Shankrevva R. Gani1 Department of Statistics, Karnatak University, Dharwad. International Journal of Statistics and Systems. ISSN 0973-2675 Volume 12, Number 3 (2017), pp. 549–565.

5. რევოლუციური სიმდიდრე / ელვინ ტოფლერი, ჰეიდი ტოფლერი ; თარგმ. დავით ახალაძემ // ბიზნესი. - თბ., 2008. - ISSN 1512-4487. - ივლისი. - N7 (16). - გვ.126-14.

6. Optimal Control of Human Capital Allocation for Piecewise Smooth Dynamic Model. Irina Bolodurina, Elena Golovatskaia, Natalya Khanzhina and Larisa Anciferova. Department of Applied Mathematics, Orenburg State University, Orenburg, Russian Federation.

მდგრადი განვითარების ეკოლოგიური ასპექტების განხილვა

ტარიელ კიკვაძე
სტუ პროფესორი
ბელა კუტიბაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მდგრადი განვითარების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეკოლოგია. ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიის საკითხი, რადგან გლობალური პროცესების შედეგად იზრდება გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკი. კლიმატური ცვლილებები, ჰაერის დაბინძურების საგანგაშო დონე, რესურსების ამოწურვის საფრთხე - ეს ის პრობლემებია, რომელთა გამოც აუცილებელია მსოფლიოს ქვეყნებმა გადახედონ განვითარების კლასიკურ გეგმას და იზრუნონ ხვალინდელ დღეზე, მომავალი თაობების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

სტატიაში განხილულია საქართველოსა და მსოფლიოში არსებული მდგომარეობა მდგრადი განვითარების ეკოლოგიური მიმართულებით, „მწვანე ეკონომიკის" ზოგადი კონცეფცია და მნიშვნელოვანი პრინციპები, საკითხის აქტუალორობა.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; ეკოლოგია; გარემოს დაცვა; მწვანე ეკონიმიკა; ეკონომიკური ზრდა.

RESUME

Ecology is one of the main direction of sustainable development. During the rapid growth of economic, ecology becomes one of the most important issue, because globalization processes increase risk of damaging environment. Climate changes, high level of air pollution, exhaustion of natural resources – these are the problems, for which worldwide countries should review their classic plan of economic development and take care about future, next generation's health and prosperity.

This article is about the conditions of ecological side of sustainable development in Georgia and all over the world,general concepts and main principles of "Green Economic".

საქართველოში არსებული ეკოლოგიური პრობლემების მიმოხილვა

ეკოლოგიურ პრობლემებთან ბრძოლა არის ბოლო წლების ერთერთი მთავარი გამოწვევა საქართველოსთვის. აღნიშნულ აზრს ეთანხმება როგორც საქართველოს მთავრობა, ასევე მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია. ეკოლოგიური პრობლემებიდან, ერთერთი უმნიშვნელოვანესია ჰაერის დაბინძურება.დაბინძურებული ჰაერი ადამიანის ჯანმრთელობაზე გამანადგურებლად მოქმედებს და იწვევს ისეთ ქრონიკულ და მწვავე დაავადებებს, როგორიცაა გულსისხლძარღვთა და სასუნთქი გზების დაავადებები, ინფარქტი, ინსულტი, ასთმა და სხვა. ჰაერის დაბინძურება განსაკუთრებულად მოქმედებს ახალშობილებზე, მცირეწლოვანებზე და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, რადგან მათ სხვებთან შედარებით ნაკლებად შეუძლიათ თავი დააღწიონ დაბინძურებულ გარემოს ან ჩაიტარონ ხანგრძლივი და ძვირადღირებული სამკურნალო პროცედურები. ბოლო წლებში რამდენიმე ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველო დაასახელა ქვეყნად, რომელიც იკავებს წამყვან ადგილს მსოფლიოში ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლით(ცხადაია & ციწცაძე, 2018). მაგალითად, საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ჰაერის დაბინძურების შედეგად 100 000 სულ მოსახლეზე მსოფლიოში ყველაზე მაღალი სიკვდილიანობა 2012 წლის მონაცემებით დაფიქსირდა საქართველოში, და ის ამ მაჩვენებლით უსწრებს ჩინეთსაც კი, რომელიც აბსოლუტური (და არა 100 000 მოსახლეზ) მაჩვენებლით მსოფლიოში პირველ ადგილზეა(Agency, 2016).

ამავე წელს, ამერიკულმა ორგანიზაცია „ჯანმრთელობის გაზომვისა და შეფასების ინსტიტუტმა", გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც 2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველო მესამე ადგილზეა ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდიალიანობის მაჩვენებლით ყოველ 100 000 მოსახელზე გაანგარიშებით (https://vizhub.healthdata.org/gbd-compare/).

2018 წელს გამოქვეყნებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით ჰაერის დაბინძურების მთავარი გამომწვევია ავტოსატრანსპორტო საშუალებები. როგორც ანგარიშის ავტორები წერენ, 2016 წელს ნახშირორჟანგის მთლიანი გამონაბოლქვის 84% მოდიოდა ავტომანქანებზე, ხოლო 16% სამრეწველო ობიექტებზე. იგივე მდგომარეობაა სხვა მავნე ნივთიერებების შემთხვევებშიც, სადაც ავტომანქანის გამონაბოლქვი მთავარი პრობლემის გამომწვევია. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან 45% შეადგენს 10-20

წლის ასაკის ავტომობილებს, 46% შეადგენს 20 წელზე მეტი ასაკის და მხოლოდ 9% მანქანების ასაკია 1დან 9 წლამდე. ასეთ ავტომობილებში ან არ არსებობს, ან მწყობრიდანაა გამოსული კატალიზური გარდამქმნელი, რომელიც ხელს უწყობს შიდა წვის პროცესის დასრულებას და გამონაბოლქვი აირების ტოქსიკურობის შემცირებას(სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2018).საქართველოში თითქმის ყველა ტიპის ავტომობილისთვის 2004 წლიდან შეჩერებული იყო სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება, არაობიექტური შედეგებისა და კორუფციის რისკის გამო. აღნიშნული ფაქტი წლების განმავლობაში ხელს უწყობდა ჰაერის დაბინძურების პრობლემის ზრდას, რაზეც სახელმწიფო უწყებების მხრიდან რეაგირება იყო საკმაოდ დაბალი. მაგალითისთვის, 2016 წელს სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება გავლილი არ ჰქონდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების 76%-ს, ხოლო საპატრულო პოლიციის მიერ აღნიშნული დარღვევის გამო დაჯარიმებული იყო მხოლოდ 13,6 %(სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2018). ტექნიკური ინსპექტირება 2018 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად ხდება სავალდებულო ავტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომლის შედეგსაც ჰაერის დაბინძურებაზე მომავალში უნდა ველოდოთ. გარდა ჰაერის დაბინძურებისა, საქართველოში აქტუალურია ისეთი მძიმე ეკოლოგიური პრობლემები, როგორიცაა გარემოს დაბინძურება, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელები, ტყეების მასიური ჭრა, წყლის დაბინძურება და სხვა.

მსოფლიოს გამოცდილება და მიდგომა ეკოლოგიური პრობლემების მიმართ

ეკოლოგიურ პრობლემებზე ფიქრი და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძებნა უკვე დიდი ხანია დაიწყეს სხვადასხვა ქვეყნის მთარობებმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ყოველწლიურად ჩატარებულ კონფერენციებსა და შეხვედრებზე ხდება პრობლემების ანალიზი, ცოდნის გაზიარება, შეთანხმებების დადება ერთობლივ მოქმედებებსა და გასატარებელ ღონისძიებებზე. ყველა განვითარებული ქვეყანა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია თანხმდება, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის გარეშე დედამიწის მოსახლეობა დადგება სერიოზული ეკოლოგიური კატასტროფების წინაშე, და რომ ცვლილებების გარეშე პლანეტას არ აქვს დარჩენილი ხანგრძლივი მომავალი.

2012 წელს ბრაზილიაში რიო+20 ის კონფერენციის ფარგლებში, სახელმწიფოები შეთანხმდნენ მწვანე ეკონომიკის კონცეფციის შექმნაზე. წამყვანი ორგანიზაციების აზრით, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა უნდა გახდეს უმთავრესი გამოწვევა, რომელიც დაფუძნებული იქნება რესურსების დაზოგვაზე, ეკოლოგიურ უვნებლობაზე რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის დონის ამაღლებას. მწვანე ეკონომიკა არის მდგრადი განვითარების ერთგვარი ხელშემწყობი ინსტრუმენტი და ის თავის თავში გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პარალელურად.

რიო+20-ის კონფერენციის ფარგლებში, სახელმწიფოები შეთანხმდნენ მწვანე ეკონომიკის კონცეფციის, როგორც მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის შექმნაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობდა:

1. სახელმწიფო მხარდაჭერას და კერძო ინვესტიციების დაბანდებას ცოდნის გავრცელებაზე;
2. ნახშირბადის გამონაბოლქვის და დაბინძურების დონის შემცირების ხელშემწყობი ტექნოლოგიებისა და საწარმოების შექმნას;
3. მწვანე ტექნოლოგიების მეშვეობით ნარჩენების უფრო საფუძვლიან გადამუშავებას, ენერგიის მოხმარების შემცირებას ან ალტერნატიული ენერგიის მოხმარებას და რითაც ჩნდება ეკონომიკის ახალი მწვანე სექტორები, მწვანე სამუშაო ადგილები;
4. ენერგოეფექტიანობის და რესურსეფექტიანობის ზრდას, რაც იწვევს საწვავისა და სხვა რესურსების მოხმარების მოცულობისა და გარემოში ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებას.
5. ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობის ზრდას და სიღარიბის დაძლევას(თოლორდავა, 2018)

2012 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის-UNEP-ის საბჭოს მიერ შემოთავაზებულ იქნა მწვანე ეკონომიკის 9 პრინციპი, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა. ეს პრინციპებია: მდგრადობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ხელს უწყობს მდგრად განვითარებას; სამართლიანობის პრინციპი - უზრუნველყოფს სამართლიანობას; ღირსების პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ქმნის კეთილდღეობას ყველასთვის; ჯანსაღი პლანეტის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა აუმჯობესებს ბუნებრივ გარემოს; მონაწილეობის პრინციპი - პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე; სათანადო მმართველობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი - მწვანე ეკონომიკა უნდა იყოს გაზომვადი და გამჭვირვალე; მოქნილობის პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ერგება ქვეყნის სხვადასხვა სოციალურ თუ კულტურულ ღირებულებებს და თავისებურებებს; ეფექტიანობისა და საკმარისობის პრინციპი - ავითარებს მდგრად მოხმარებასა და წარმოებას; თაობების პრინციპი - მწვანე ეკონომიკა ახორციელებს ინვესტირებას მომავალში (greeneconomy.kg, 2017).

საქართველოში მიმდინარე პროცესები და გატარებული ღონისძიებები

საქართველოშიბოლო წლებში უფრო მეტი ყურადღება ექცევა ეკოლოგიას მდგრად განვითარებას.

ეტაპობრივად ხდება არსებული პრობლემების აღიარება, გაანალიზება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შექმნილია სპეციალური სამმართველო, რომლის ვალდებულებაა ეკონომიკისა და ბიზნესის საქმიანობაში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა-გაძლიერება. აღნიშნული სამმართველოს საქმიანობა არც თუ ისე მარტივია, რადგან ხშირად გარემოს დაცვითი რეგულაციების შემოღებას ეწინააღმდეგებიან ხოლმე არგუმენტით, რომ რეგულაცია შეაფერხებს ეკონომიკის ზრდას. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ბოლო წლებში გადაიდგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეკოლოგიის მხარდასაჭერად. მაგალითად, გარდა ზემოთხსენებული ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების შემოღებისა, დაიწყო პოლიეთილენის პარკების ბიოდეგრადირებადი პარკებით ჩანაცვლების პროცესი. 2018 წლის 1 ოქტომბრიდან აიკრძალა ისეთი პარკების წარმოება, რომლებიც სისქით 15 მიკრონზე ნაკლებია. ასევე აიკრძალა ყველა სახეობის პლასტიკური პაკეტის იმპორტი.გარდა ამისა, ფართოვდება, მაგალითად, პაკეტების, აკუმულატორების, ზეთების და მსგავსი პროდუქციის მწარმოებლებისა და იმპორტიორების ვალდებულებები ნარჩენების მართვაზე (sputnik-georgia).

ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ეფექტიანობის ანგარიშის დოკუმენტში, არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგად ოფიციალურად გაიწერა რეკომენდაციები შემდეგი დაწესებულებების მიმართ: შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. რეკომენდაციები ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: კონტროლის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფსპერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გაუვლელობაზე ადმინისტრირების დაბალი მაჩვენებლისაღმოფხვრას; დედაქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტის მიერ მავნე აირების გამონაბოლქვით ატმოსფერულიჰაერის დაბინძურების დონის შესამცირებლად ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება; მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება და განვითარება; ღონისძიებების შემუშავება,რომლებიც ორიენტირებული იქნება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე ატმოსფერული ჰაერისხარისხის, მისი დაბინძურებისაგან დაცვის საშუალებების და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენისშესახებ და სხვა (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2018).

მიუხედავად მიმდინარე პროცესებისა და მცდელობებისა, რომ ქვეყანაში მეტად იყოს დაცული ეკოლოგია, ისევე როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნები, საქართველოსაც გაუჭირდება დამოუკიდებლად „მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლა. აღნიშნულ პროცესში ქვეყანას დასჭირდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ მეგობარი ქვეყნების დახმარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. (2017, 09 15). Retrieved from greeneconomy.kg: http://greeneconomy.kg/theory/printsipyi-zelenoy-ekonomiki/

2. Agency, I. E. (2016). Energy And Air Polution. Retrieved from https://www.iea.org/publications/freepublications/publication/WorldEnergyOutlookSpecialReport2016EnergyandAirPollution.pdf

3. https://vizhub.healthdata.org/gbd-compare/. (n.d.). Retrieved from https://vizhub.healthdata.org/gbd-compare/

4. sputnik-georgia. (n.d.). Retrieved from sputnik-georgia.com: https://sputnik-georgia.com/society/20190307/244622159/saqartveloshi-1-aprilidan-polietilenis-paketeb-akrzalaven.html

5. თოლორდავა, ჟ. (2018). „მწვანეეკონომიკის" ზოგიერთისაკითხი. *ეკონომიკადაბიზნესი*, 100-109.

6. სახელმწიფოაუდიტისსამსახური. (2018). *ეფექტიანობისაუდიტისანგარიში.* Tbilisi. Retrieved from https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2018/atmosferuli-haeris-dabinzureba.pdf

7. ცხადაია, გ., &ცინცაძე, გ. (2018, 03 28). *radiotavisupleba.ge*. Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/haeris-dabindzurebit-gamotsveuli-sikvdilianoba/29130956.html

სისტემურ-კომპლექსური მიდგომა ხარისხის მართვისადმი

ლუარა გვაჯაია
სტუ პროფესორი

რ ე ზ ი უ მ ე

სტატიაში განხილულია ორგანიზაციაში ხარისხის მართვისადმი კომპლექსურ-სისტემური მიდგომის საკითხები საერთაშორისო სტანდარტების - ISO - 9000-ის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს როგორც პროდუქციის წარმოების, ისე მომხმარებელთა მომსახურების განხორციელებას დადგენილ სტანდარტებთან და საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობით.

ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა განმარტებულია, როგორც ორგანიზაციულ-ტექნიკური და სოციალურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რამაც უნდა უზრუნველჰყოს მომხმარებლებისათვის მაღალი ხარისხისა და მომსახურების მიწოდება. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

A SYSTEMATIC - COMPLEX APPROACH TO QUALITY MANAGEMENT

Luara Gvajaia
GTU Business Technologies
Faculty Professor

RESUME

The article discusses the issues of a system-wide approach to quality management in an organization in accordance with the requirements of international standards - ISO - 9000, which provides both production and customer service compliance with established standards and market requirements.

A complex quality management system is defined as a set of organizational-technical and social measures that should ensure the delivery of high quality and service to customers in accordance with international standards.

* * * *

ხარისხის მართვაში იგულისხმება ყველა ის ქმედება , რომელიც ხორციელდება პროდუქციის შექმნის, წარმოების, ტრანსპორტირება- შენახვის, ექსპლუატაციისა და მოხმარების პროცესში ხარისხის საჭირო დონის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის. ხარისხის მართვა წარმატებულ ორგანიზაციაში მიმდინარე მუდმივი პროცესია, რაც ნიშნავს მეცნიერულად დასაბუთებული ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებას. იგი ეყრდნობა სერთიფიკაციას, სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას, რაც საფუძველია ნორმატიულ - ტექნიკური ბაზის შექმნისა და აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს წარმატებული საქმიანობისა. პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში მთავარ როლს ასრულებს მენეჯერი, რომლის მაღალკვალიფიციურობას მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს პროდუქციის , მომსახურების, სამუშაოების და პროცესების, საწარმოო და ტექნოლოგიური სისტემების ხარისხის მართვის მეთოდების შესწავლა-ათვისების დონე თანამედროვე საერთშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხარისხის მართვა მჭიდრო კავშირშია მენეჯმენტის სხვა დისციპლინებთან , როგორიცაა, საწარმოო, კორპორატიული მენეჯმენტი, პერსონალის მომზადება და სხვა.

საერთაშორისო სტანდარტების ISO 9000 -ის შესაბამისად , ხარისხი ეს არის ერთობლიობა პროდუქტის მახასიათებლებისა, რომლებიც განსაზღვრავენ მის უნარებს, დააკმაყოფილოს დადგენილი და გასათვალისწინებელი მოთხოვნები. ხარისხი ფასდება საქონლის (მომსახურების) შესაბამისობით მომხმარებელთა მოთხოვნებთან . ხარისხის საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებენ ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს, როგორიცაა:

1) პროდუქციის ხარისხზე ზრუნვა უნდა გავრცელდეს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა რგოლზე;
2) ნაწარმის სასურველი ხარისხი მიღწეული უნდა იქნეს მისი სასიცოცხლო ციკლის ყველა დონეზე (შემუშავება, კონსტრუირება, წარმოება, რეალიზაცია, გაყიდვების შემდგომი სერვისი);
3) ხარისხი ორიენტირებული უნდა იყოს უშუალოდ მომხმარებელთა მოთხოვნებზე;
4) პროდუქციის ხარისხის ამაღლება უნდა დაეყრდნოს თანამედროვე ტექნიკის , ტექნოლოგიის და მართვის მეთოდების დანერგვას;
5) ხარისხის ყოვლისმომცველი ამაღლება მიიღწევა მხოლოდ ორგანიზაციის მთელი პერსონალის აქტიური მონაწილეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხი ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმატიულ მოთხოვნებს, სტანდარტებს. ამასთანავე ხარისხის მართვის კონცეფციის შესაბამისად იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ პროდუქციის წარმოებას დადგენილი სტანდარტებით, არამედ საქონლის განაწილებისა და მომხმარებელთა მომსახურების პროცესს, ასევე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან სტანდარტების შესაბამისობას. ხარისხი უზრუნველყოფილი იქნება კონკრეტული საქონლის ბაზარზე მოთხოვნის შესწავლით, მისი შემუშავებით, წარმოების მომზადებით, საქონლის დამზადებით, მისი შეფუთვა - შენახვით, გაყიდვით და საქონლის მომხმარებლამდე დაყვანით, გაყიდვის შემდგომი სერვისით და საქონლის გამოყენებით მომხმარებლის მიერ.

ზოგადად მართვის პრაქტიკაში ხარისხის საჭირო დონის უზრუნველყოფა მენეჯმენტისთვის ყვე-

ლაზე რთული პრობლემაა, ვინაიდან მართვის პროცესში აუცილებელია ხარისხის კრიტერიუმების მიხედვით უწყვეტად კონტროლის გაწევა საწარმოში მიმდინარე პროცესებზე დაწყებული ნედლეულის მიღებიდან მზა პროდუქციის მომხმარებლისათვის მიწოდებამდე.

მომსახურების სფეროს საწარმოებში მენეჯერები აკონტროლებენ წარმოებისა და მომსახურების გაწევის მთელ პროცესს, მის ხარისხს. მომსახურების სფერო - თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სექტორია. ბევრი საწარმოო ორგანიზაცია მომსახურების სფეროს უშუალოდ აქტიური მონაწილეა. საწარმოში დანახარჯების თითქმის ნახევარი მომსახურების სფეროსადმია მიმართული (რეკლამა, ტრანსპორტირება, შეფუთვა, ფინანსური მომსახურება, გაყიდვის შემდგომი სერვისი და სხვა). უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სფეროს თანამედროვე საწარმოები (კომპანიები) წარმოადგენენ ხარისხის ეფექტიანი მენეჯმენტის ახალი მოდელების შექმნის საფუძველს. რეალურ ეკონომიკაში მომსახურებას ახორციელებს ყველა საწარმო, მწარმოებლები; ამიტომ მისი წილი სულ უფრო იზრდება. ეს წილი პერსპექტივაში ჩვენი ქვეყნის საწარმოებშიც შესამჩნევად უნდა გაიზარდოს.

პროდუქციის თუ მომსახურების ხარისხი თანამედროვე ეტაპზე მთავარია, ამას მოითხოვს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა. თუ კი მოცემული ფირმის კლიენტები არ იქნებიან კმაყოფილნი მისი პროდუქციით თუ მომსახურებით, მაშინ ისინი მაშინათვე დაუკავშირდებიან ანალოგიური პროდუქციის თუ მომსახურების ისეთ მწარმოებლებს, რომლებიც ბევრად ეფექტიანად და სრულად დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა , რომ ხარისხი უნდა ჩაიდოს საქონელში მისი შექმნის დაწყებისთანავე და გაკონტროლდეს მისი სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიაზე, ამასთანავე ყოველ სტადიაზე დაცული უნდა იქნეს აუცილებელი ნორმატიული თუ სხვა მეთოდები .

ISO 9000 -ის სტანდარტებში ცენტრალური ყურადღება გადატანილია პროდუქციის ხარისხიდან შრომის, საწარმოს ძირითადი საშუალებების, ტექნოლოგიის და მართვის ხარისხზე. ობიექტის ხარისხის შეფასება მოიცავს სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიას. ხარისხის უზრუნველყოფა - ეს არის ერთობლიობა გეგმიური და სისტემატურად განსახორციელებელი ღონისძიებისა, რაც უზრნველჰყოფს პროდუქციის თუ მომსახურების ხარისხისადმი კონკრეტული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.

ორგანიზაციაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს ხარისხის უზრუნველყოფის კომპლექსური სისტემა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის, მეთოდიკის, პროცესების, რესურსების, სისტემატურად გასატარებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რაც აუცილებელია იმისათვის , რომ პროდუქცია, საქონელი თუ მომსახურება აკმაყოფილებდეს ხარისხისადმი წაყენებულ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხარისხის უზრუნველსაყოფად, რა თქმა უნდა, აუცილებელია შესაბამისი დანახარჯების გაწევა. მასში შედის როგორც შიდა დანახარჯები გამომდინარე შიდა პრობლემებთან დაკავშირებული დეფექტების აღმოფხვრასთან, ასევე საგარეო დანახარჯები, გამომდინარე დამკვეთის მოთხოვნების არადამაკმაყოფილებლად შესრულებიდან (რეკლამაციები, პროდუქტის უკან დაბრუნება, მომხმარებელთა საჩივრები და ა.შ);

საწარმოს, კომპანიას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ხარისხის პროგრამა, რომელშიც აღწერილია ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ელემენტები და რესურსები , რაც გამოყენებული უნდა იქნეს კონკრეტულ ორგანიზაციაში; იგი ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომელშიც აღწერილია ორგანიზაციის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, მასში დაფიქსირებულია ხარისხის სფეროში ორგანიზაციის პოლიტიკა. ხარისხის სახელმძღვანელოში შედის საწარმოს ძირითადი დებულება, საწარმოს დახასიათება, ხარისხის სისტემის ელემენტები და პოლიტიკა ამ სფეროში.

ხარისხისადმი მოთხოვნები- ეს მოთხოვნებია პროდუქციის მომსახურების პროცესების , სისტემის მახასიათებლებისადმი. ხარისხის ფუნქციის სტრუქტურირება წარმოადგენს მომხმარებელთა მოთხოვნების პროდუქტის მახასიათებლებში გადაყვანის ხერხს. ფუნქციონალური თვისებები ახასიათებენ საქონლის ისეთ მხარეებს, რაც აუცილებელია მომხმარებლისათვის მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური, ქიმიური, მექანიკური, ესთეტიკური და სხვა თვისებები.

პროდუქციის ხარისხი ფასდება მისი მაჩვენებლების რაოდენობრივი განსაზღვრით, აუცილებელია ხარისხის მაჩვენებლის შედარება საბაზოსთან . საბაზოდ შეიძლება იყოს საუკეთესო სამამულო ან საზღვარგარეთული ნაწარმი. პროდუქციის ხარისხის შედარებით დახასიათებას, რაც ეყრდნობა მისი ხარისხის მაჩვენებელთა ჯგუფის შესაბამისი საბაზო მაჩვენებლების ჯგუფთან შედარებას , უწოდებენ პროდუქციის **ხარისხის დონეს ან ტექნიკურ დონეს.** პროდუქციის **საიმედოობა** ნიშნავს მის თვისებას, შეინარჩუნოს ხარისხობრივი მაჩვენებლები განსაზღვრულ დროში.

პროდუქტის **ტექნოლოგიურობის** მაჩვენებლები (შრომატევადობა, ტექნოლოგიური თვითღირებულება, დამუშავების სიზუსტე და სხვა) ახასიათებენ ნაწარმისა და მისი ელემენტების შესაბამისობის ხარისხს წარმოებისა და ექსპლოატაციის ოპტიმალურ პირობებთან ; პროდუქციის გარეგანი სახე, მისი შესაბამისობა მის დანიშნულებასთან , ელემენტების სტრუქტურის ჰარმონიულობა და სხვა ახასიათებენ ხარისხის **ესთეტიკური** ჯგუფის მაჩვენებლებს. ხარისხის **ერგონომიკური** მაჩვენებლები

ადასტურებენ პროდუქციის შესაბამისობას სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან , ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობასთან და ფსიქოლოგიურ განსაკუთრებულობებთან.

ყველა ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი მიეკუთვნება **ტექნიკურ- ეკონომიკურ** მაჩვენებლებს, რამდენადაც ისინი ახასიათებენ პროდუქციის როგორც ტექნიკურ განსაკუთრებულობებს, ასევე მისი გამოყენების , წარმოებისა და ექსპლუატაციის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ხარისხის პრობლემის გადაწყვეტის საკითხი თანამედროვე ეპოქაში უაღრესად აქტუალურია, ამიტომ ამ მიმართებით ორგანიზაციაში სისტემატური მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს; მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ხარისხის მართვის პროცესებზე გავლენის მომხდენი ფაქტორები, როგორც **გარეგანი**, (საგარეო გარემო, კონკურენტული ბრძოლის სიმწვავე, ნედლეულისა და მასალების ხარისხის დონე, მომხმარებელთა მოთხოვნები და ა.შ), ასევე პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული საწარმოს **შიგა** ფაქტორები, ეს უკანასკნელი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1) **ტექნიკურ-ტექნოლოგიური** (ტექნიკის, ტექნოლოგიური აღჭურვილობის მდგომარეობა, წარმოების ტექნოლოგია და სხვა);

2) **ორგანიზაციული საკითხები(** საწარმოში მოქმედი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობა, ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭირო დანახარჯების განხორციელების შესაძლებლობა, ტექნიკის განახლება და ახალი ტექნოლოგიის გამოყენება და სხვა);

3) **სოციალური** (პერსონალის სხვადასხვა ჯგუფის დაინტერესების ხარისხი საქონლის წარმოების, მომსახურების დონის ამაღლების საქმეში, მუშაკთა კვალიფიკაციის დონე, ხარისხის მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად სოციალური პირობების შექმნა).

გასაგებია, რომ ხარისხის უზრუნველყოფასა და მართვაში არსებული პრობლემიდან ბევრი მათგანი ატარებს კომპლექსურ ხასიათს (ძირითადში -ტექნიკურ-ეკონომიკური დაკავშირებული სოციალურ ასპექტებთან) . პერსონალის მართვის მრავალდონიან მოდელში გამოიყოფა ოთხი დონე, რომელიც მიმართულია პროდუქციის ხარისხის მისაღწევად მუშაკთა მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის. ესენია: **სოციალურ- საყოფაცხოვრებო, ოპერატიულ-საკადრო , სოციალურ-ფსიქოლოგიური და კორპორატიული კულტურის დონე.**

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხარისხის აქტუალური პრობლემები წყდება შემდეგი საბაზრო პრინციპების საფუძველზე:

1) ხარისხის განხილვა, როგორც საწარმოსათვის ერთ-ერთო უმიშვნელოვანესი საკონკურენტო უპირატესობა;

2) მომხმარებელთა მოთხოვნების სრული შესრულება;

3) რეალიზებული პროდუქციის საგარანტიო ვადის თანმიმდევრული გაზრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც რთულია წარმოებული საქონლის ტექნოლოგია, იმდენად რთულია საწარმოსათვის მისი ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფა, მაგრამ ამასთანავე საგარანტიო მომსახურების გაზრდა მომხმარებლისათვის იწვევს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისადმი რწმენას და ეს საწარმოსათვის ითვლება კონკურენტულ უპორატესობად.

ხარისხის მართვისადმი სისტემურ-კომპლექსურმა მიდგომამ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჰპოვა განვითარება მსოფლიოში .

საერთშორისო სტანდარტების iso-9000-ის გამოჩენით და დანერგვით პრაქტიკულად ფორმირებული იქნა მთლიანობაში ხარისხის მართვისადმი სისტემურ-კომპლექსური მიდგომა მსოფლიოს უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში. თანამედროვე ეტაპზე სერიოზული ყურადღება ექცევა არა მარტო პროდუქციის ხარისხს, არამედ მომსახურების მიწოდების ხარისხს. ეს განპირობებულია იმით, რომ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში წარმატებით და სწრაფად ვითარდება მომსახურების სფერო. პროდუქციის წარმოება დღეს განიხილება მომსახურების სფეროსთან მჭიდრო კავშირში და არ უპირისპირდება ამ სფეროს. საქონლისა და მომსახურების ელემენტები მუდმივად უერთიერთქმედებაში და ურთიერთკავშირში არიან . საქონლისა და მომსახურების ხარისხი თნამედროვე ეპატზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ყოველი საწარმოს (როგორც საწარმოო,ისე სერვისის ტიპის) სიცოცხლისუნარიანობაზე.

ხარისხის მართვის სისტემა მოქმედებას იწყებს არა წარმოების პროცესიდან, არამედ ბევრად ადრე, ჯერ კიდევ ბაზრის მოთხოვნის შესწავლიდან, კვლევების , საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების, ნედლეულის, მასალების, მომწოდებლის შერჩევის პროცესებში; ამის შემდეგ გადადის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ეტაპებზე, სერვისული მომსახურებისა და მომხმარებლის მიერ საქონლის ექსპლუატაციის პროცესებში. ეს არის არსი ხარისხის სისტემურ-კომპლექსური მართვის იდეოლოგიისა, რომელიც იყენებს პრინციპს სისტემურობისა (რაც ნიშნავს იმას , რომ ობიექტი განიხილება როგორც ერთიანი მთელი) და კომპლექსურობისა, (რაც მოიცავს კომპლექსურად სისტემის ყველა ელემენტს და მათ შორის ურთიერთკავშირებს). შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე გაგებით ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა - ეს არის ორგანიზაციულ-ტექნიკური და სოციალური ღონისძიებების ერთობლიობა, რაც აუცილებელია მომხმარებლისათვის სტაბილური მაღალი ხარისხის საქონლის და მომსახურების გარანტიის, მწარმოებელსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტების საერთაშორისო სტანდარტებთან და კონკრეტულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები

გივი ემუხვარი
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია მოსახლეობის კეთილდღეობის დონე, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოთქმულია მოსაზრებები ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად, უმუშევრობის შესამცირებლად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად, სოფლებში მუშახელის შესანარჩუნებლად, საგადასახადო სისტემის დასარეგულირებლად.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

THE WELFARE STATE OF THE COUNTRY'S POPULATION AND WAYS TO IMPROVE IT

Givi Emukhvari,
Doctor of Economic, Professor

RESUME

The article discusses the level of welfare of the population, its pros and cons, ideas for developing the country's economy, reducing unemployment, creating jobs, maintaining rural labor, and regulating the tax system.

Solving these problems will significantly contribute to the growth of the country's economy and consequently to raising the standard of living of the population.

ძირითადი ტექსტი

უკანასკნელ წლებში საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა ნაწილობრივ უმჯობესდება, ეტაპობრივად იზრდება მოსახლეობის შემოსავალი და შესაბამისად მათი კეთილდღეობაც. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც ამ ეტაპამდე ვერ მოხერხდა: დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევრობისა და ინფლაციის მაღალი დონე, ეროვნული ვალუტის კოლოსალური ტემპით გაუფასურება, სამომხმარებლო პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა, მოსახლეობის ცხოვრების დონის შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან, განათლების დონე, ჯანდაცვის მიზნით ნაკლები სახსრები გამოყოფა და ა. შ.

„საქსტატის" მონაცემებით 2017 წელს მშპ შეადგინა 37847,0 მილიონი ლარი. ეს მაჩვენებელი 2013 წელთან შედარებით 11 000 მილიონი ლარით გაიზარდა (27%). ერთ სულ მოსახლეზე მშპ შეადგინა 7086 ლარი, ანუ 4259 აშშ დოლარი. 2017 წლისათვის 9601 ლარი და 3827 აშშ დოლარი. დოლარებში მაჩვენებლის 432-ით შემცირება გამოწვეულია ეროვნული ვალუტის - გაუფასურებით. ამ პერიოდში აშშ დოლარის კურსი 1,65-დან 2.508-მდე გაიზარდა (52%).

„საქსტატის" მონაცემებით, 2018 წლისათვის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 1939,8 ათას კაცს შეადგენდა, მ. შ. დასაქმებული იყო 1694,2 ათასი, ანუ უმუშევარი 245,7 ათასი კაცი. უმუშევრობის დონემ 12,7% შეადგინა. 2014 წელთან შედარებით 2018 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მიგრაციის შედეგად 44,8 ათასი ადამიანით შემცირდა.

2018 წელს 2015 წელთან შედარებით დასაქმება შემცირდა 39,6 ათასი ადამიანით. ამ მხრივ უკეთესი მაჩვენებელი იყო 2015 წელს, როცა დასაქმებული იყო 1733,8 ათასი ადამიანი, ანუ 2018 წლისათვის ყოვლად უსაფუძვლოდ დაიკარგა 39,6 ათასი სამუშაო ადგილი (იხ. ცხრილი №2).

ქვეყანაში 2017 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობებში საშუალო ხელფასმა 596 ლარი შეადგინა. ხელფასი ყველაზე მაღალია მშენებლობაში (1789 ლარი), მრეწველობაში (1566 ლარი) და სახელმწიფო მმართველობაში - (1566 ლარი). ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია: განათლებაში (384 ლარი) და სოფლის მეურნეობაში (880 ლარი), რაც ცხადია ქვეყანაში ხელფასების არათანაბარ განაწილებაზე მიგვანიშნებს. ამასთან, საშუალო მაჩვენებლის მიღმა იმალება ზედა და ქვედა ეშელონების მუშაკებს შორის ხელფასების განაკვეთების მკვეთრი განსხვავება, რაც ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს (იხ. ცხრილი №3).

საქართველოს საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის მასალებში გაანალიზებულია შინამეურნეობების შემოსავალი და ხარჯები. მაგალითად, 2017 წელს საშუალო შემოსავალმა თვეში შეადგინა 771,9 ლარი.

საშუალოდ ხარჯებმა თვეში შეადგინა - 788,6 ლარი, ანუ შემოსავალთან შედარებით 16,7 ლარით მეტი.

ანალიზიდან ჩანს, რომ მოსახლეობის კეთილდღეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს უმუშევრობა. აღნიშნულით არის გამოწვეული სიღარიბე, ცხოვრების დაბალი დონე.

ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს

ცხრილი №1

მაჩვენებლები (მლნ. ლარებში)	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
მთლიანი ეროვნული შემოსავალი	23631,7	25925,6	23640,7	28882,5	18884,8	32340,8	35793,9
მათ შორის ერთ სულ მოსახლეზე	6291	6952,7	7085,3	7765,3	8290,6	8676,3	9601,3
იგივე აშშ დოლარებში	3731,2	4210,5	4259,5	4937,5	3652	3652	3827,3

შენიშვნა: ცხრილი აღებულია სამუშაო ძალის გამოკვლევის მასალებიდან. თბილისი, 2018 წ.

ცხრილი №2

მოსახლეობის დასაქმება და უმუშევრობა დინამიკაში (ათ. კაცი)

მაჩვენებლები	**წლები**					**2018 წელი 2014 წელთან შედარებით (+) (-)**
	2014 წ.	**2015 წ.**	**2016 წ.**	**2017 წ.**	**2018 წ.**	
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (ათასი კაცი)	1984,6	2018,0	1996,2	1983,1	1939,8	-44,8
დასაქმებული	1694,4	1733,8	1717,3	1706,6	1694,2	-0,2
უმუშევარი	290,2	284,2	278,9	278,4	245,7	-44.5
უმუშევრობის დონე, %	14,6	14,1	14,0	13,9	12,7	-1.9
დასაქმებულთა აბსოლუტური ცვლილება, წინა წელთან შედარებით (+) (-)	-	+39.4	-16.5	-10.7	-12.4	-

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია „საქსტატის“ მასალების მიხედვით.

ცხრილი №3

მუშაკთა საშუალო ანაზღაურება დარგების მიხედვით 2017 წ.

დარგების დასახელება	**გაცემული ხელფასი (ათასი ლარი)**	**რიცხოვნება (ათასი კაცი)**	**საშუალო წლიური ხელფასი (ლარი)**	**ხელფასი თვეში (ლარი)**
სულ დასაქმებული	12201,0	1706,6	7149	596
ს/მეურნეობა, ნადირობა, მეთევზეობა	7775	736,5	10556	880
მრეწველობა	25844	137,5	18795	4566
მშენებლობა	17603	82	21467	1789
საფინანსო საქმიანობა	24 644	30,7	8030	669
სახელმწიფო მმართველობა	15 812	88,3	17907	1492
განათლება	6 976	151,5	4605	384
ჯანდაცვა, სოც. დახმარება	11 456	67,4	16997	1416

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია „საქსტატის“ მასალების მიხედვით.

მოსახლეობის 21,9%, ანუ 816,5 ათასი ადამიანი (2017 წ.).

ცნობილია, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად, სიღარიბის დონეს განსაზღვრავს მშპ დაბალი დონე და შემოსავლების არათანაბრად განაწილება. როგორც აღვნიშნეთ, საშუალო მაჩვენებელი ემსახურება რეალური მაჩვენებლის შელამაზებას, რასაც ადასტურებს ჯინის ინდექსი. კერძოდ, საქართველო მსოფლიოს 143 ქვეყნიდან 33-ე ადგილზე იყო, შესაბამისად ჯინის კოეფიციენტმა 053 შეადგინა, რაც შემოსავლის არათანაბარ განაწილებას ადასტურებს.

2018 წლისათვის ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მიღმა 744,7 ათასი ადამიანი ცხოვრობდა (20,1%). 2017 წელთან შედარებით 67 ათასი ადამიანის ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა.

საქართველოს საზოგადოების ცენტრის გამოკვლევების მიხედვით, მოსახლეობის 5%, შინამეურნეობების - 4,3, ბავშვების - 6,8% და პენსიონერების 3,7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ე. ი. 8704 ბავშვი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

ქვეყანაში სიღარიბის ზრდა გამოწვეულია: ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპით, ეროვნული ვალუტის კურსის დაცემით და სამომხმარებლო საქონელზე - ფასების ზრდით.

2016-2017 წლებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ პირობებში მცხოვრებ პენსიონერთა წილი 19,3%-დან 20,4%-ია, ხოო ფასები სამომხმარებლო პროდუქტებზე 4%-დან 37%-მდე გაიზარდა.

2019 წლის აპრილის თვეში საშუალო მოხმარების საარსებო მინიმუმი იყო 163,90 ლარი, 4 სულიანი ოჯახისათვის 327,80 ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა 1 სულზე 2017-2018 წლებში შეადგინა 312,20 ლარი. მ. შ. სამომხმარებლო ხარჯმა 208,7 ლარი შეადგინა, ანუ საშუალოდ დღეში 6,96 ლარი.

საზოგადოებრივი ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით, რესპოდენტთა 66% პრობლემად უმუშევრობას ასახელებს, სამომხმარებლო საქონელზე ფასების მატება აწუხებს 43%-ს, სიღარიბე - 39%-ს. ამდენად, პრობლემების უმეტესობა ეკონომიკური ხასიათისაა.

„საქსტატის“ მასალების მიხედვით, ქვეყანაში 2011 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის წილი შეადგენდა 34,1%-ს, ანუ 1286,8 ათას კაცს, 2012 წელს - 1121,7 ათას ადამიანს (30%), 2016 წელს 850,2 ათას ადამიანს (22%), ხოლო 2017 წელს 797,4 ათას ადამიანს (21,4%). მართალია, ბოლო წლებში ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ეს საკითხი კვლავ მთავარ პრობლემად რჩება.

უნდა შევეხოთ თვითდასაქმებას. როგორც „საქსტატის“ მასალებიდან ჩანს, 2009 წელს თვითდასაქმებულთა რაოდენობა 64%-ს შეადგენდა, 2017 წლისათვის შემცირდა 57%-მდე. მართალია ამ პერიოდში თვითდასაქმებულთა აბსოლუტური რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ჩვენი აზრით, თვითდასაქმება ემსახურება უმუშევრობის შენიღბვას. კერძოდ, სოფლის მკვიდრი, რომელიც საკუთარ საკარმიდამოს, პირუტყვსა და ფრინველს უვლის და მოწეულ პროდუქტს ოჯახის საჭიროებისათვის იყენებს, არ შეიძლება იწოდებოდეს „თვითდასაქმებულად“. თუ ნამეტი პროდუქტის რეალიზაციას აწარმოებს, მაშინ უნდა ჩაითვალოს დასაქმებულად. ამასთან, უნდა დადგინდეს სოფლის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა.

საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების მასალებით, 2017 წელს ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მირმა 455,8 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ანუ მოსახლეობის 12%. ამასთან სოციალურ სააგენტოებში საარსებო მინიმუმის მისაღებ ბაზაში რეგისტრირებული იყო 1,6 მილიონი ადამიანი, რასაც ფაქტიურად არ აღიარებენ. ცხადია, ეს მონაცემები საჭიროებენ შესაბამის და სათანადო რეაგირებას.

ცნობილია, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში იყენებენ უმუშევართა დაზღვევის სისტემას, რომლის წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და დასაქმებულები.

ეჭვს გარეშეა, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა მნიშვნელოვნად არის განპირობებული თითოეული ადამიანის პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

როგორც №4 ცხრილიდან ჩანს, „საქსტატის“ მონაცემებით 2013 წელს მოსახლეობის ჯანდაცვაზე დაიხარჯა 225,4 მილონი ლარი, მ. შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 547 მილიონი ლარი, კერძო დანაზოგიდან 1655 ათასი ლარი. სახელმწიფოს წილი იყო 24,3%. 2017 წლისათვის ჯანდაცვაზე დაიხარჯა 2878 მილიონი ლარი. მ. შ. სახელმწიფო სახსრები 1092 მილიონი ლარი, მოსახლეობის საკუთარი სახსრები 1737 მილიონი ლარი. სახელმწიფო ხარჯების წილმა შეადგინა 38%. ეს მაჩვენებელი 2013 წელთან შედარებით გაიზარდა 13,7% პუნქტით. ამავე პერიოდში კერძო ხარჯები გაიზარდა 82 მილიონი ლარით და შეადგინა 1737 მილიონი ლარი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ დაფინანსებას აღემატება 645 მილიონი ლარით (59%-ით).

ამ დანიშნულებით უცხოეთიდან მოზიდულმა თანხებმა 2013 წელს 51 მილიონი ლარი შეადგინა, 2017 წლისათვის შემცირდა 48 მილიონ ლარამდე.

კერძო, პირადი დანაზოგების წილმა 2013 წელს შეადგინა 73%, ხოლო 2017 წლისათვის 60%-მდე შემცირდა, მაგრამ იგი მაინც წარმოადგენს ჯანდაცვის ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს.

2013 წელისათვის ჯანდაცვაზე ყველა კატეგორიიდან ხარჯების გაზრდის მიუხედავად, მშპ. მისი წილი 8,5%, 2017 წლისთვის კი შემცირდა 7,6%-მდე, რაც გამოწვეულია ამ ხარჯების მშპ ზრდის ტემპთან შედარებით დაბალი დონით. 2013-2017 წლებში ჯანდაცვის ხარჯები მშპ ზრდის ტემპს ჩამორჩა 13% პუნქტით.

ცხრილი №4

ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები 2013-2017 წწ. (მილიონი ლარი)

მაჩვენებლები	მაჩვენებლები წლების მიხედვით				
	2013 წ.	**2014 წ.**	**2015 წ.**	**2016 წ.**	**2017 წ.**
ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი (მილიონი ლარი)	2254	2460	2518	2865	2878
მ. შ. - სახელმწიფო სახსრები	547	693	913	1067	1092
- კერძო ხარჯები	1655	1720	1559	1750	1737
- საერთაშორისო დახმარებები	51	47	46	47	48
სახ. დანახარჯების წილი %-ით	24,3	28,2	36,3	37,2	38
მშპ. (მილიონი ლარი)	26847	29131	31756	34028	37847
- კერძო დანაზოგიდან გადახდილი თანხის წილი, %-ით	69,1	66	57,3	55,6	54,7
კერძო დანახარჯების წილი %-ით	73	70	62	61	60
მთლიანი დანახარჯების წილი მშპ მიმართებაში, %-ით	8,5	8,5	8,5	8,4	7,6

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია „საქსტატის“ მასალების მიხედვით.

შინა მეურნეობათა წევრების მიერ დასახელებული დამატებითი საარსებო წყაროები (2017 წ.)

მაჩვენებლები	**საერთო რაოდენობა**	**საერთო % მაჩვენებელი**	**შ/მეურნეობები %-ში**
არ ქონდათ დამატებითი საარსებო წყარო	1192	61,8	55,4
ნათესავის ან მეგობრის დახმარება	323	16,7	16
თანხის სესხება ბანკიდან ან ფინანსური კომპანიიდან	176	9,1	8
თანხის სესხება მეგობრისაგან	58	3	3,3
სოციალური დახმარება	46	2,4	2,1
შემოსავალზე მეტის დახარჯვა	40	2,1	1,8
ქონების გაყიდვა	29	1,5	1,1
დახმარება უცხო პირისაგან	29	1,5	2
თანხის სესხება არანათესავისაგან	8	0,4	0,5
სხვა სოციალური დახმარება	7	0,4	0,5
დახმარება მუნიციპალიტეტისაგან	16	0,8	1
დახმარება რელიგიური ორგანიზაციებისაგან	4	0,2	0,2
დახმარება სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან	2	0,1	0,1
ჯამი	1930	100	92

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის მასალების მიხედვით (2018 წ.).

ექსპერიმენტში მონაწილე 1930 ადამიანიდან, დამატებითი საარსებო წყარო არ ჰქონდა 1192-ს ანუ 61,8%. მ. შ. შინამეურნეობების 55,4%-ს (1069 ადამიანს). ნათესავების ან მეგობრისგან დახმარება მიიღო 323 ადამიანმა (16,7%), ბანკიდან ან საფინანსო კომპანიიდან თანხა ისესხა - 176 ადამიანმა (9,1%). მეგობრებისაგან 58 ადამიანმა (3%), სოციალური დახმარება გაეწია 46 ადამიანს (2,4%), შემოსავალზე მეტი დახარჯა ანუ ვალი დარჩა 40 ადამიანს. დანარჩენი ჩამოთლილი წყაროების მაჩვენებლები 0,1-დან 1,5%-მდე მერყეობს.

ცნობილია, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ემიგრანტების მიერ საქართველოში განხორციელებულ ფულად ტრანზაქციებზე. მარტო მიმდინარე წლის 6 თვეში ოფიციალურად მოსახლეობას უცხოეთიდან ჩაერიცხა 697,2 მილიონი ლარი. გარდა აღნიშნულისა, მოსახლეობა არალეგალურად იღებს თანხებს უცხოეთიდან, რომლის ოდენობის დადგენა გამოკვლევებით არის შესაძლებელი.

2015-2017 წლებში შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი 608,9-დან 771,9 ლარამდე გაიზარდა, ხოლო ხარჯები პირიქით - 821,8 ლარიდან 788,6 ლარამდე შემცირდა, ანუ მოსახლეობა ეკონომიურად ხარჯავს ხელთ არსებულ სახსრებს.

როგორც აღვნიშნეთ ქვეყანაში სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასები კატასტროფულად იზრდება, რაც ცხადია უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის მასალებიდან ჩანს შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფაქტორები. მაგალითად, ფასები პროდუქტებზე და მომსახურებაზე 2017 წელს 2011 წელთან შედარებით გაიზარდა 68,8% პუნქტით, ხოლო დანარჩენ პოზიციებში მდგომარეობა გაუმჯობესდა. სესხის დაფარვის მაჩვენებელი 74%-დან შემცირდა 7,9%-მდე. მძიმე ავადმყოფობა 27%-დან 23,1%-მდე. შემოსავლების კლება - 17,3%-დან 16,2%-მდე. სამსახურის დაკარგვა 13,6%-დან 6,9%-მდე.

უცხოეთიდან თანხების გადმორიცხვა 2011 წელს წინა წელთან შედარებით 14,3%-ით შემცირდა, ხოლო 2017 წელს წინა წელთან შედარებით მხოლოდ 0,6%-ით შემცირდა, რაც ცხადია დადებით მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

ცხრილი №7

შინამეურნეობების რაოდენობა, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ კომუნალურ მომსახურებაზე - 2017 წ.

დასახელება	პრობლემების მქონე შინამეურნეობების %	შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის %	შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების %	შინამეურნეობებში მცხოვრები პენსიონერების %
წყალი	30,6	30,3	30,6	32,7
სანიტარია	49,1	50,7	52,1	51,9
გათბობა	12,8	9,4	6,9	14,1

შენიშვნა: ცხრილი აღებულია „იუნისეფის“ 2018 წლის კვლევის მასალებიდან.

ცხრილი №8

შინამეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობა 2011-2017 წლებში

პრობლემები	**შინა მეურნეობების % წლების მიხედვით**				**2017 წ. 2011 წელთან შედარებით (+) (-)**
	2011 წ.	**2013 წ.**	**2015 წ.**	**2017 წ.**	
ფასების ზრდა	0,9	28,4	73	69,7	+68.8
სესხის დაფარვა	74	10	10	7,9	-66.1-
მძიმე ავადმყოფობა	27	39,5	26,5	23,1	-3.9
შემოსავლების კლება	17,3	23,5	19	16,2	-1.1
სამსახურის დაკარგვა	13,6	18,5	10	6,9	-6.7
სოფლის მეურნეობის პროდუქციის კლება	13,1	13,2	7,2	3,6	-9.5
უცხოეთიდან თანხის გადმორიცხვის შემცირება	14,3	0,7	1,1	0,6	-13.7

შენიშვნა: ცხრილი აღებულია საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის „საყოველთაო კეთილდღეობის კვლევის მასალებიდან“ (2018 წ.).

ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მათი უზრუნველყოფა საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების საქონლით, მსუბუქი ავტომანქანებით.

კვლევები გვიჩვენებს, რომ საყოფაცხოვრებო ტექნიკით 2017 წლისათვის მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე არც თუ სახარბიელოა. მტვერსასრუტი არ ქონდა შინამეურნეობის 69%-ს, ბავშვების 65,6%-ს და პენსიონერების 70,9%-ს. ანალოგიური მდგომარეობაა ავტომანქანების ქონის მხრივ (69,4% ÷ 70,9%).

სარეცხი მანქანა არ ქონდა მოსახლეობის 23,6%-ს, მაცივარი 8,6%-ს, მობილური ტელეფონი - 5,2%-ს, უთო - 6% და ტელევიზორი - 3,4%-ს (იხ. ცხრილი №9).

„იუნისეფის" კვლევებიდან ჩანს, რომ 2017 წლისათვის საცხოვრებელი სახლის სახურავი დაზიანებული ჰქონდა მოსახლეობის 24,8 პროცენტს, კედლები - 22,7%-ს. მიწის იატაკით სარგებლობდა 6,9%, ნესტიანი იყო საცხოვრებლის 24,2%, მინებით ჩამსხვრეულ ბინებში ცხოვრობდა მოსახლეობის 10,4%, ფართის სიმცირეს უჩიოდა - 20,5%.

შედარებისათვის ცხრილში შეტანილია შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების საცხოვრებელი პირობები - 2013 და 2017 წლებში.

აღნიშნული კვლევიდან ჩანს, რომ 2017 წლისათვის 2013 წელთან შედარებით 4 პოზიციაში (დაზიანებული სახურავი, კედელი, იატაკი, ნესტიანობა და ხმაური) მდგომარეობა გაუმჯობესდა, ხოლო დანარჩენ 4 პოზიციაში, როგორიცაა: მიწის იატაკი, ჩამსხვრეული მინები, სუსტი განათება და საცხოვრებელი ფართის სივიწროვე, მდგომარეობა 2017 წლისათვის 2013 წელთან შედარებით გაუარესდა. (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №9

ძირითადი საყოფაცხოვრებო საგნების არქონა მოსახლეობის კატეგორიების მიხედვით 2017 წელს

საგნების დასახელება	არმქონე შინამეურნეობების %-ით	მთლიანი მოსახლეობის %-ით	ბავშვების, %-ით	პენსიონერების, %-ით
მტვერსასრუტი	69.5	66 .7	65.6	70.9
ავტომობილი	69.4	61.3	56.9	70.9
სარეცხი მანქანა	29.2	23.6	20.7	31.3
მაცივარი	11.1	8.6	8.4	11.1
მობილური ტელეფონი	8	5.2	4	9.7
უთო	7.9	6	5.5	8.6
ტელევიზორი	4.4	3.4	3.8	4.7

შენიშვნა: მასალები აღებულია „საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის ანგარიშიდან" „იუნისეფის" საქართველოს ოფისის ანგარიში, 2018 წელი.

ცხრილი №10

საცხოვრებელი პირობები 2013-2017 წლებში

პრობლემების დასახელება	2017 წლის მონაცემები			შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვები, %	
	პრობლემების მქონე შინამეურნეობების %	მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის, %	პენსიონერების, %	2013 წ.	2017 წ.
დაზიანებული სახურავი	25.7	24.8	26.2	33	25,6
დაზიანებული კედელი ან იატაკი	24.1	22.7	23.6	28,3	23,3
მიწის იატაკი	7.4	6.9	7.1	4,7	7,1
ნესტიანი საცხოვრებელი	25.3	24.2	26	29	25,5
ფანჯრის მინები ჩამსხვრეული	10.4	10.4	10.2	10,8	12,2
არასაკმარისი განათება	6.1	5.6	6.1	4,6	5,6
ხმაური	6	5.9	5.5	6,3	6
ფართის სიმცირე	6.7	20.5	14.5	24,4	27,6

შენიშვნა: ცხრილი აღებულია „იუნისეფის" კვლევის მასალებიდან.

ცხრილი №11

მოსახლეობის პრობლემები 2011-2017 წლებში %-ით

პრობლემების დასახელება	**2011 წ.**	**2013 წ.**	**2017 წ.**	**2017 წელი 2011 წელთან შედარებით (+), (-)**
უმუშევრობა	32.2	41	22	-10.2
მედიკამენტების შეძენა	14.6	18.4	27.8	+13.2
სამედიცინო მომსახურება	18.7	11.6	5.4	-13.3
საცხოვრებელი პირობები	9.1	8.3	11.9	+2.8
არასათანადო კვება	6.8	4.7	9.3	+2.5
საბანკო ვალების დაფარვა	9.4	8.3	11.2	+1.8
კომუნალური გადასახადების გადახდა	6.8	4.3	7.7	+0.9
დასვენება, გართობა	1	2.1	2.6	+1.6
ტანსაცმლის შეძენა	0.5	0.3	0.5	-
ავეჯის შეძენა	0.3	0.7	1.3	+1
სასკოლო ნივთების შეძენა	0.5	0.3	0.3	-0.2
ჯამი %-ით	100	100	100	-
შემთხვევათა რაოდენობა	3932	3584	4194	+262

შენიშვნა: ცხრილი აღებულია „იუნისეფის“ 2018 წლის კვლევის მასალებიდან.

კვლევებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს პრობლემად აქვს უმუშევრობა. 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი 32,2%-დან 22%-მდე შემცირდა, მედიკამენტების შეძენა უჭირთ რესპოდენტთა 27,8%-ს. შესაფერისი საცხოვრებელი არა აქვთ მოსახლეობის 11,9%-ს. კვების პრობლემა 2011 წელს ჰქონდა მოსახლეობის 6,8%-ს. 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაუარესდა და 9,3%-ს შეადგენს. ბანკების ვალები აქვს 11,2%-ს. კომუნალური გადასახადები აწუხებს რესპოდენტთა 7,7%-ს და ა. შ.

ქვეყანაში მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან პენსიონერების, უმწეო ოჯახების, იძულებით გადაადგილებული პირების და მსგავსი კატეგორიის მოსახლეობის ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშების მიხედვით, 2018 წელს სახელმწიფო პენსიებსა და კომპენსაციებზე დაიხარჯა 1716,7 მილიონი ლარი, სოციალურ დახმარებებზე - 641,3 მილიონი ლარი. მაღალმთიანი რეგიონის განვითარების კანონის თანახმად, იქ მცხოვრებლებზე გაიცა დანამატი პენსიებზე - 20%-ის ოდენობით, დაიფარა მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების 50%, თანხით 46,4 მილიონი ლარი.

2018 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გახარჯული იქნა 756,5 მილონი ლარი, ფინანსური დახმარება გაეწია 11430 დევნილს. საჯარო და კერძო სკოლების დასაფინანსებლად მიმართული იქნა - 596,1 მილიონი ლარი, ანუ ერთი სკოლის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს დაუჯდა საშუალოდ 268,5 ათასი ლარი, უმაღლეს სასწავლებლებს, სახელმწიფო კვლევებისათვის გამოეყო 22,7 მილიონი ლარი. ინკლუზიური განათლების დასაფინანსებლად გაიხარჯა 4,8 მილიონი ლარი.

ყაზბეგისა და სხვა მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობას ბუნებრივი აირის დასაფარად ჩაერიცხა 7,4 მილიონი ლარი. ქვეყანაში ირიგაცია-მელიორაციის სამუშაოებზე დაიხარჯა 46 მილიონი ლარი, აგროკრედიტების თანადაფინანსებაზე - 69,8 მილიონი ლარი.

2018 წელს ქვეყანაში სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე გაიხარჯა 3502,1 მილიონი ლარი, ანუ საერთო ხარჯების 27,8%, განათლების სფეროს მოხმარდა 1255,9 მილიონი ლარი, ანუ 3,27%.

ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ სიდუხჭირესა და არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 630 ათასი ადამიანი შეტანილია ე. წ. მევალეთა „შავ სიაში“, ანუ მოსახლეობის 16,9%-ს პრობლემა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკებთან და სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებებთან.

მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთი მახასიათებელია მსუბუქი ავტომანქანების ყოლა. 2019

წელისათვის მანქანების საერთო რაოდენობამ 1 მილიონს გადააჭარბა, ყოველწლიურად მათი რიცხვი 8%-ით იზრდება. საერთო რაოდენობიდან 2 მანქანა ყავს 51 ათას, 3 მანქანა და მეტი - 12 ათას ადამიანს.

სათანადო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს ძველი, ამორტიზირებული მანქანების ყოლა, საერთო რაოდენობიდან - 11-20 წლის ასაკისა - 404,8 ათასი მანქანა, ხოლო 20 წელზე ზევით 413,8 ათასი. შესაბამისად, საერთო ოდენობის 45 და 46 პროცენტი.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ასაკოვანი მანქანების შენახვა უფრო ძვირი უჯდება მოსახლეობას, ასევე ჯანმრთელობისათვის საშიშია, იწვევს გარემოს დაბინძურებას და მრავალი სახის დაავადებებს.

დასკვნა

ქვეყანაში მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

- სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მაქსიმალურად მობილიზება, საგადასახადო კოდექსით მინიჭებული უფლებების სრულად გამოყენება და მოთხოვნების გამკაცრება;
- ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების განახლება. შემოწმების არეალის მაქსიმალურად გაზრდა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის მომჭირნეობით ხარჯვა, მმართველობითი აპარატის, სსიპ და სხვა სტრუქტურების მინიმუმამდე შემცირება;
- ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი ბიზნესმენების ჩართულობით მცირე საწარმოების და ქარხანა-ფაბრიკების გახსნა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე (5-6%) შემცირება;
- საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საშემოსავლო გადასახადების პროგრესიული სისტემის შემოღება; შემოსავლების განაწილებაში ზღვარგადასული სხვაობების მინიმუმამდე შემცირება.
- სოფლად ინფრასტრუქტურების მოწესრიგება, მოსახლეობის ადგილზე დასაქმების მიზნით მცირე საწარმოების შექმნა. სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინება, მიწების უკეთ და დროულად დამუშავების მიზნით მომსახურების ცენტრების შექმნა.
- მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის სრულად ამოქმედება მოქმედი კანონების სრული დაცვით;
- გატარდეს რიგი ღონისძიებები იმპორტის მინიმუმამდე შესამცირებლად და მაქსიმალურად წახალისდეს ადგილობრივი მეწარმეები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „საქსტატის“ ყოველწლიური ანგარიშები, 2012-2018 წწ.
2. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი და სხვები „მაკროეკონომიკა“, თბ. 2010 წელი;
3. საქართველოს საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის მასალები, თბილისი, 2018 წელი;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიური ანგარიშები;
5. საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მასალები „იუნისეფის“ საქართველოს ოფისის ანგარიში, თბილისი, 2018 წელი.

ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემების და ეკოლოგიური ასპექტების ანალიზი

თათა ფილიპიდის
აკადემიური დოქტორი, ასისტ. პროფესორი
მაია ლომსაძე -კუჭავა
აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი

ANALYSIS OF MODERN ENERGY PROBLEMS AND ENVIRONMENTAL ASPECTS

Tata Filippidis,
Maia Lomsadze-kuchava

RESUME

The article presents an analysis about the main problems of energy and their possible ways of solving regarding present economic situation.

Keywords: energy security, ecological problems, energy saving, energy substitution, alternative fuels, renewable energy sources, alternative methods of energy production

* * * *

ენერგეტიკული პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაც უწევს დღეს კაცობრიობას. დღეისათვის უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთი მიღწევები, როგორიცაა მყისიერი საკომუნიკაციო საშუალებები, ჩქაროსნული ტრანსპორტი, კოსმოსური სივრცის ათვისება. ეს ყველაფერი რაღათქმა უნდა ენერგიის უზარმაზარ ხარჯვას მოითხოვს. ენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია გარემოსდაცვითი დაბინძურების ახალი და მწვავე პრობლემები, რაც კაცობრიობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

მსოფლიო ენერგეტიკული მოთხოვნილებები უახლოეს ათწლეულებში გლობალურ ტემპში კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება. ყველა სახეობის ენერგო წყარო ვერ შეძლებს წარმოქმნილი საჭიროების უზრუნველყოფას, ამიტომ აუცილებელია ყველა სახეობის ენერგორესურსების განვითარება და მათი ეფექტურად გამოიყენება.

ენერგეტიკის განვითარების მიმდინარე ეტაპზე (21-ე საუკუნის პირველი ათწლეულები), ყველაზე პერსპექტიულად რჩება ქვანახშირისა და ბირთვული ენერგია, საინჟინრო თერმული და სწრაფი ნეიტრონული რეაქტორებით. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ კაცობრიობა არ შეწყვეტს პროგრესის გზას, რომელიც დაკავშირებულია ენერგომოხმარების თანდათან უფრო მზარდ რაოდენობასთან.

სიტყვა "ენერგია" ბერძნულ ენაზე მოქმედებს, საქმიანობას აღნიშნავს. ენერგიის კონცეფციის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ ის არ ემორჩილება კონსერვაციის (შენახვის) კანონს. ენერგიის კონცეფცია ხელს უწყობს მუდმივი ძრავის მანქანების შექმნის შეუძლებლობას. სამუშაო შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარშემომყოფი სხეულებისა და სისტემების ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლის შედეგად (საწვავის წვა, წყლის ვარდნა). სხეულის უნარი გადავიდეს ერთი მდგომარეობიდან მეორეში ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს (მუშაობის უნარი) და მას ენერგია ეწოდება. ახლა ვიდრე ოდესმე წარმოიქმნება კითხვა: რა ელოდება კაცობრიობას - ენერგეტიკული შიმშილი თუ ენერგეტიკული კეთილდღეობა. მსოფლიო გაზეთებსა და ჟურნალების გვერდებზე მუდმივად იწერება ენერგეტიკული კრიზისის შესახებ. ბუნების გარდაუვალი კანონები გვამცნობენ: იმისათვის, რომ მიიღო მოხმარებისთვის გამოსადეგი ენერგია, შესაძლებელია ენერგიის მოპოვება მხოლოდ მისი სხვა ფორმით ტრანსფორმაციის გზით. დღეისათვის 4 – 5 წარმოებული კოლოვატი-დან ელექტროენერგია მიიღება საწვავის წვით ან ქიმიური ენერგიის მარაგის გამოყენების შედეგად, მისი გარდაქმნით ელექტროენერგიად თბო სადგურებში. ნავთობზე გაზრდილმა ფასებმა, ბირთვული ენერგიის სწრაფმა განვითარებამ და გარემოს დაცვის მზარდმა მოთხოვნებმა დააყენეს ენერგეტიკისადმი ახალი მიდგომის საკითხი.

გასაკვირი არ არის, როდესაც ამბობენ: "ენერგეტიკა - მრეწველობის პურიაო". რაც უფრო განვითარებულია მრეწველობა და ტექნიკა, მით მეტი ენერგიაა საჭირო. არსებობს სპეციალური ცნება- "ენერგეტიკის წინმსწრები განვითარება". ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი სამრეწველო საწარმო, არც ერთი ახალი ქალაქი ან უბრალოდ ახალი სახლი არ აშენდება იქამდე, სანამ არ იქნება იდენტიფიცირებული ან ახლიდან შეიქმნილი ენერგიის წყარო, რომელსაც მოიხმარენ. აქედან გამომდინარე, მოპოვებული და გამოყენებული ენერგიის რაოდენობით, შეიძლება ზუსტად ვიმსჯელოთ ქვეყნის ტექნიკურ და ეკონომიკური სიძლიერეზე, უფრო მარტივად კი, ნებისმიერი სახელმწიფოს სიმდიდრეზე.

ბუნებაში, ენერგეტიკული რეზერვები უზარმაზარია. მას მოიცავს მზის სხივები, ქარისა და წყლის მასების გადაადგილები, ინახება ხის, ბუნებრივი აირის, ნავთობისა და ქვანახშირის საბადოებში. ნივთიერებათა ატომების ბირთვებში "დახურული" ენერგია თითქმის შეუზღუდავია. მაგრამ ენერგიის

ყველა ფორმა ცხადია არ გამოდგება პირდაპირი მოხმარებისთვის.

ენერგეტიკის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე დაგროვდა ენერგიის მოპოვების და საჭირო ფორმაში გარდაქმნის მრავალი ტექნიკური საშუალება. სინამდვილეშიც ადამიანი ადამიანად იქცა სწორედ მაშინ, როცა ისწავლა თერმული ენერგიის მიღება და გამოყენება. პირველი კოცონი დაინთო პირველყოფილი ადამიანების მიერ, რომელთაც ჯერ კიდევ არ ესმოდათ ცეცხლის ბუნება, თუმცა ეს ქიმიური ენერგიის თბოდ გარდაქმნის მეთოდი ინახება და უმჯობესდება ათასობით წლის განმავლობაში.

საკუთარი კუნთებისა და ცეცხლის ენერგიაზე ადამიანებმა დაუმატეს ცხოველების კუნთების ენერგია. მათ გამოიგონეს ტექნიკა ქიმიურად დაკავშირებული თიხისგან წყლის მოცილების შედეგად თბური ენერგიის მიღებისა - ცეცხლის მეშვეობით, თიხის გამოსაწვავი ღუმელი, სადაც აკეთებდნენ ცეცხლგამძლე კერამიკულ ნაკეთობებს. რა თქმა უნდა, მიმდინარე პროცესები, ადამიანებმა გაიგეს შინაარსობრივად მხოლოდ ათასწლეულების შემდეგ.

უკვე შემდგომ წლებში მოიგონეს წისქვილი - ტექნიკური საშუალება გარდაექმნა ქარის ნაკადებისა და ქარის ენერგია მექანიკური ენერგიად, მბრუნავი ლილვის მეშვეობით. მაგრამ მხოლოდ ორთქლის ძრავის, შიდა წვის ძრავის, ჰიდრავლიკური, ორთქლის და გაზის ტურბინების, ელექტრო გენერატორისა და ძრავის გამოგონებით, კაცობრიობამ შეძლო მიეღო სარგებელი საკმაოდ მძლავრი ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით. მათ შეუძლიათ ბუნებრივი ენერგიის გარდაქმნა მის სხვა სახეობებად, რაც გამოსადეგია დიდი რაოდენობის სამუშაოების შესასრულებლად. თუმცა ენერგიის ახალი წყაროების ძიება ამით არ დასრულებულა: გამოიგონეს აკუმულატორები, საწვავის ელემენტები, მზის ენერგია-ელექტროენერგიის კონვერტორები და მე -20 საუკუნის შუა რიცხვებში უკვე ატომური რეაქტორები.

მსოფლიო ეკონომიკის მრავალ სექტორზე ელექტრული ენერგიით უზრუნველყოფის პრობლემა, სულ უფრო მზარდი 6 მილიარდიანი მოსახლეობის მოხმარების ზრდა და დაკმაყოფილება, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

თანამედროვე მსოფლიო ენერგეტიკის საფუძველს წარმოადგენს თბო და ჰიდროელექტროსადგურები. თუმცა მათი განვითარება შეზღუდულია რიგი ფაქტორებით. ნახშირის, ნავთობისა და გაზის ღირებულება, რომელითაც ფუნქციონირებს თბოსადგურები, იზრდება და ამ საწვავის ბუნებრივი რესურსები მცირდება. გარდა ამისა, ბევრ ქვეყანას ან არ გააჩნია საკუთარი საწვავის რესურსები ან შეზღუდული რაოდენოთ აქვთ. თბოელექტროსადგურებში ელექტროენერგიის წარმოების პროცესში ხდება მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფეროში. ამასთან, თუ საწვავად ხდება ნახშირის გამოყენება, განსაკუთრებით მურა ნახშირის, რომელსაც პრაქტიკულად გამოყენების სხვა ღირებულების მცირე ღირებულება არ გააჩნია, და რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს არასასურველი მინარევებს, ემისიები აღწევენ კოლოსალურ ზომებს. ბოლოსდაბოლოს თბოელექტროსადგურებზე მომხდარი ავარიები გაცილებით დიდ ზიანს აყენებს ბუნებას, ვიდრე ნებისმიერი მასშტაბური ხანძარი. ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში ხანძარს თან ახლავს აფეთქება და ქვანახშირის მტვერის ან ჭვარტლის გაფრქვევა.

ჰიდროენერგეტიკული რესურსები განვითარებულ ქვეყნებში თითქმის მთლიანად გამოიყენება: მდინარის უმრავლესობათა ნაწილი ჰიდრავლიკური საინჟინრო სადგურისთვის თითქმის მთლიანად ათვისებულია. და რა ზიანის მოტანა შეუძლიათ ჰიდროელექტროსადგურებს ბუნებისთვის! მართალია არ არსებობს ჰაერში გამონაფრქვევები ჰესებიდან მაგრამ წყლის გარემოზე მიყენებული ზიანი საკმაოდ დიდია. უპირველეს ყოვლისა, თევზები, რომლებიც ვერ გადალახავენ ჰიდროელექტროსადგურების კაშხლებს. მდინარეებზე, სადაც აშნებულია ჰიდროელექტროსადგურები, განსაკუთრებით თუ რამდენიმეა - ე.წ. კასკადები - მკვეთრად იცვლება წყლის რაოდენობა კაშხლამდე და კაშხლის შემდეგ. დაბლობზე მდინარეებში იღვრება უზარმაზარი წყალსაცავები, რის შედეგადაც დატბორილი მიწები სრულიად გამოუსადეგარი ხდება სოფლის მეურნეობისათვის, ტყეების, მინდვრებისა და დასახლებებისთვის. რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებზე მომხდარ ავარიებს, ნებისმიერი ჰიდროელექტრო სადგურის გარღვევის შემთხვევაში წარმოიქმნება უზარმაზარი ტალღა, რომელსაც შეუძლია წალეკოს კაშხლის ქვემოთ მდებარე მთელი ტერიტორია. თან ეს იმ დროს, როდესაც კაშხლების უმრავლესობა განლაგებულია დიდ ქალაქებთან და დასახლებულ პუნქტებთან ახლოს.

გამოსავალი გამოჩნდა ატომური ენერგიის განვითარებაში. 1989 წლის ბოლოს, 400-ზე მეტი ატომური ელექტროსადგური (NPPs) აშენდა და ფუნქციონირებდა მსოფლიოში. თუმცაღა, დღესდღეობით ატომური ელექტროსადგურები აღარ განიხილება როგორც იაფი და ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყარო. ატომური ელექტროსადგურისთვის საწვავს წარმოადგენს ურანის მადანი - ძვირი და რთულად მოსაპოვებელი ნედლეული, რომლის მარაგები შეზღუდულია. გარდა ამისა, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა და ექსპლუატაცია უკავშირდება დიდ სირთულეებს და ხარჯებს. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა განაგრძობს ახალი ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას. ატომური ენერგიის შემდგომი განვითარების სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს გარემოს დაბინძურების პრობლემა. ეს ყველაფერი კიდევ უფრო ართულე-

ბს ბირთვულ ენერგეტიკასთან დამოკიდებულებას. უფრო და უფრო ხშირად გაისმის მოთხოვნები, უარი ითქვას ბირთვული ენერგიის გამოყენებაზე მთლიანობაში, დაიხუროს ყველა ატომური ელექტროსადგური და ელექტროენერგიის წარმოება დაუბრუნდეს თბო და ჰიდროელექტროსადგურებს, ასევე გამოყენებული იქნასენერგიის მიღების ეგრეთ წოდებული განახლებადი - მცირე, ანუ „არატრადიციული“ სახეობები. ამ უკანასკნელს უპ. ყოვლისა მიეკუთვნება დანადგარები და მოწყობილობები, რომლებიც მოიხმარებ წყლის, მზის, ქარის და გეოთერმულ ენერგიებს, ასევე სითბოს, რომელიც არის ჰაერში, წყალში და მიწაში.

თბოელექტროსადგურები. მოცემული ენერგო სექტორის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ენერგიის წარმოების არსებითი წილი მოდის თბოელექტროსადგურებზე, სადაც წიაღისეული საწვავის წვის შედეგად გამოიყოფა სითბო და ორთქლი, რომელიც მიეწოდება ტურბინა გენერატორებს, რომლებიც გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას. როგორც საწვავი გამოიყენება ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი გაზი, ხოლო ატომურ ელექტროსადგურებში - ბირთვული საწვავი. დადებითი მხარეები: თბოელექტროსადგურები უზრუნველყოფენ მოსახლეობას ცხელი წყლით და გათბობით. უარყოფითი მხარეები: დიდი რაოდენობით წარმოებული ელექტროენერგია იწვევს ნარჩენებით გამოწვეულ გარემოს დაბინძურებას - მდინარეებში, წყალსაცავებსა და ატმოსფეროში. გამოფრქვეულ სითბოს მივყავართ გარემოს თერმული დაბინძურებასთან. სხვა ტიპის დაბინძურებებაა - ჩაკეტილი ციკლით, როდესაც წყლის გაგრილებით მიღებული სითბო გაიფრქვევა ატმოსფეროში.

ატომური ელექტროსადგურები. სექტორის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თანამედროვე აეს- ებში ხდება რადიაციის დონის მკაცრი კონტროლი დაწესებულებასა და რეაქტორის არხებში, შექმნილია ავტომატური რეგულირების მაღალეფექტური სისტემა - რაც საშუალებას იძლევა გაზარდოს ატომური ელექტროსადგურის საიმედო მუშაობა და მინიმუმამდე შემცირდეს ავარიების ალბათობა. დადებითი: სამხედრო მიმართულება - რეაქტორების შემუშავება სამხედრო საზღვაო ფლოტებისა და წყალქვეშა ნავებისთვის, რომელთაც გააჩნიათ წყალქვეშ მოქმედების ხანგრძლივი რადიუსი. დადებითი მხარეა ისიც, რომ ენერგიის წარმოება ატომურ ელექტროსადგურებში მიიჩნევა ენერგიის წარმოების ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა გზად. უარყოფითი: ავარიები ატომურ ელექტროსადგურებზე (ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური - 1986 წლის 26 აპრილი).

ჰიდროელექტრო სადგურები. ენერგეტიკული სექტორის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის პრინციპი ეფუძნება მიწოდებული წყლის პოტენციური ენერგიის გარდაქმნას კინეტიკურ ენერგიად ტურბინის როტაციით (ბრუნვით) ბული გენერატორთან, რომელიც კინეტიკურ ენერგიას ელექტრო ენერგიად გარდაქმნის. დადებითი: ჰიდროელექტროსადგურები ქმნიან არა მარტო წყლის რეზერვუარს წყლის დაგროვებისთვის, არამედ ზრდიან წყლის დონეს. რაც იწვევს ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდას. უარყოფითი: ჰიდროელექტროსადგურების შენახვა ძვირი ჯდება. ისინი არღვევენ ეკოლოგიურ ბალანსს. წყალსაცავების უზარმაზარი უბნები იწვევენ წყლის აორთქლების დიდი რაოდენობით ატმოსფეროში, რასაც მივყავართ ბუნებრივი ამინდის კლიმატურ დარღვევასთან.

სათბურის ეფექტი და გლობალური დათბობა.

ადამიანის მრავალმხრივი აქტივობის შედეგად ატმოსფეროში მატულობს სხვადასხვა გაზისა და მათი მინარევების შემცველობა. ისინი ატარებენ დედამიწის ზედაპირზე მზის სინათლეს, ათბობენ, და ამავე დროს ირეკლავენ გრძელტალღოვან სითბურ გამოსხივებას. ამასთან ერთად, სითბო გროვდება დედამიწის ზედაპირთან ახლოს არსებულ ატმოსფერულ ფენაში. ასე წარმოიქმნება სათბურის ეფექტი, რაც იწვევს გლობალური დათბობას. სათბურის ეფექტი განპირობებულია ძირითადად ნახშირორჟანგის, ფრეონის და მეთანის (დაახლოებით 50%) გამო ყოველ წელს მსოფლიო ოკეანის დონე 1-3 მმ-მდე მატულობს. ეს უკავშირდება ყინულის დნობასა და წყლის თერმული გაფართოებას. დროთა განმავლობაში დედამიწის ზედაპირის ტემპერატურა იმატებს. ეს არის გამოწვეული დამწვარი საწვავის რაოდენობის ზრდის გამო. მრეწველობის ინტენსიური განვითარება იწვევს ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ზრდას ატმოსფეროში, დაახლოებით 20% -ით.

ოზონის ფენის განადგურების პრობლემა.

ოზონი არის მძაფრი, მოცისფრო გაზი. ძირითადი მახასიათებლები: შესაძლებლობა შთანთქოს ცოცხალი ორგანიზმებისთვის საშიში, მზის ულტრაიისფერი გამოსხივება. მეორეს მხრივ, ის არის ყველაზე ძლიერი მჟანგავი, რომელსაც შეუძლია ფლორისა და ფაუნის მოწამვლა. ოზონის მომწამვლელი ეფექტი სასარგებლოა წყლის გასაწმენდად დაავადების გამომწვევი ორგანიზმებისგან. ოზონის ბუნებრივი დაშლის დაჩქარება ხელს უწყობს ქლორსა და ბრომთან ურთიერთქმედებას - ანთროპოგენურ ხასიათი. ოზონის შრე სტატოსფეროში მდებარეობს და გვიცავს მზის ულტრაიისფერი სხივებისგა. ბოლო პერიოდში ფრეონის ფართო გამოყენებამ აეროზოლის ბალონებში. მაცივრებსა თუ კონდიციონერებში გამოიწვია ამ აირის იმაზე მეტი რაოდენობით დაგროვება, ვიდრე ატმოსფეროს შეუძლია შეიწოვოს. ატმოსფეროში მოხვედრისას ეს აირები იშლებიან და წარმოქმნიან

ქლორს, რომელიც თავის მხრივ აზიანებს და ანადგურებს ოზონის შრეს.

1985 წელს, როდესაც ოზონის შრის სამხრეთ ნახევარსფეროზე გაჩნდა ხვრელი, მეცნიერები პირველად ალაპარაკდნენ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. 1995 წელს ოზონის შრე დაირღვა არქტიკისა და ჩრდილოეთ ევროპის თავზე (რაშიც დიდი როლი ითამაშა წინა საუკუნეში კოსმოსში გაგზავნილმა ხომალდებმა და თანამგზავრებმა, რომელმაც დაარღვია ოზონის შრის მთლიანობა). მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ეს მოვლენები ოზონის შრის თანდათან შეთხელებას გამოიწვევს პლანეტის სხვა ნაწილებშიც. ამ შემთხვევაში კი გაიზრდება მავნე რადიაციის საფრთხე. ეკოლოგიური საფრთხიდან გამომდინარე აკრძალულია ოზონის დამშლელი ნივთიერებების წარმოება. ცოტა ხნის წინ სტრასფეროში ოზონის შემცველობის სტაბილიზაცია მოხდა. ამ პროცესის დაჩქარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ოზონის შრის შენარჩუნების პრობლემის დაძლევაში.

მჟავა წვიმა

მჟავა წვიმა გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მჟავა წარმოიქმნება ბუნებრივი გზით ჭექა-ქუხილის დროს, ვულკანების ამოფრქვევის, ბაქტერიების სასიცოცხლო აქტივობის შედეგად, ასევე საავტომობილო ტრანსპორტიდან გამონაბოლქვი აირების შედეგად. მჟავა წვიმა (გოგირდისა და აზოტის მჟავა) წარმოიქმენება მაშინ, როდესაც ინდუსტრიული დაბინძურების შედეგად გამოყოფილი გოგირდის ორჟანგი და აზოტის ოქსიდი ატმოსფეროში წყლის ორთქლს შეერევა. მჟავა წვიმის მოსვლა ანადგურებს ფლორას და ფაუნას, ჩაედინება ტყეებსა და მდინარეებში, წამლავს და კვლავს მილიონობით ცოცხალ არსებას. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ რამდენიმე წელიწადში მარტო ამერიკასა და კანადაში 50000 ტბა ბიოლოგიურად მკვდარი იქნება.

თუ თავდაპირველად ფასდებოდა ის ზიანი, რომელიც მჟავურ წვიმას მოჰქონდა ტბებისა და მდინარეებისთვის, შემდეგში უკვე გაითვალისწინეს ისეთი ზიანის შედეგები რაც მოჰქონდა შენობებისა და ხიდებისთვის. ტბებში მჟავე წყლების ჩაღვრის შეედეგად ჩერდება მცენარეებისა და წყალმცენარეების ზრდა, მცირდება თევზის პოპულაცია. მჟავე წვიმა ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას, ამცირებს მოსავლიანობის მაჩვენებელს.

ეს სწორედ ის თანამედროვე ენერგეტიკული პრობლემებია, რომლის გამოსწორებაზეც ახლავე უნდა ვიზრუნოთ. ენერგიის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს საკვანძო ფაქტორს ეკონომიკის განვითარებაში და ხელს უწყობს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

მსოფლიო ეკონომიკისა და მოსახლეობის რიცხოვანების ზრდა ენერგიის მოხმარების უწყვეტი ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

მსოფლიო მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ავტომობილების რაოდენობა უკანასკნელ წლებში გაიზარდა 2-ჯერ მეტად, მაინც ერთი ავტომობილი მოდის 40 სულ მოსახლეზე, მაშინ როდესაც ხოლო აშშ-ში ეს მაჩვენებელი ორი ადამიანზე ერთი ავტომობილის ტოლია. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დარწმუნებთ გავაკეთოთ პროგნოზი ჩინეთში მანქანის გაყიდვების და საწვავის მოხმარების მოსალოდნელი სწრაფი ზრდის შესახებ. მოხმარების დაჩქარებული ტემპები, მოსახლეობის დიდ რიცხოვნებასთან შეფარდებით, რომელიც კიდევ უფრო აგრძელებს ზრდას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ენერგიის მოხმარების ზრდის ახალი ტალღა მეტწილად განვითარებადი ქვეყნებიდან მოდის.

ადამიანი მხოლოდ ახლა იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ წიაღისეული რესურსები შეზღუდული რაოდენობით მოიპოვება, და საჭიროა მათი რაციონალური გამოყენება. ნავთობი 1960-დან 1970 წლებში იმდენივე დაიხარჯა, რამდენიც წინა 100 წლეულის განმავლობაში. 2030 წლისთვის ნავთობის წილი ენერგომატარებლებში 16% -მდე შემცირდება. ამასთან ერთად, ბოლო პერიოდში ათვისებული საბადოებიდან მხოლოდ 30% ნავთობის არის ამოღებული. ქვანახშირი შესაძლოა კვლავ იქცეს ენერგიის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ. სხვა ალტერნატივად უფრო ხშირად ასახელებენ - ატომურ ენერგიას.

ეკონომიკური ზრდის ნაყოფით სარგებლობს დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 15% (ძირითადად დასავლეთის ქვეყნები), ხოლო ენერგორესურსები ძირითადად განვითარებად ქვეყნებშია კონცენტრირებული. აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა, იაპონია მოიხმარენ მსოფლიო ენერგიის 1/2, სასუქის 1/3, ყველა ლითონის 2/3, სამრეწველო ხის 2/3. სწორედ ისინი აწარმოებენ მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 2/3-ზე მეტს, უზრუნველყოფენ მსოფლიო ვაჭრობის 2/3-ს, აბინძურებენ მსოფლიოს 3/4 -ით. კაპიტალდაბანდება ენერგეტიკაში 100 000 ადამიანზე შეადგენს 914 პენტაჯუულს, გერმანია - 418, დიდი ბრიტანეთი - 355, იაპონია - 352, აშშ -74, რუსეთი - მხოლოდ 16. ენერგორეურსების ფლობაზე ბრძოლა ხშირად გადადის საომარ კონფლიქტებში. თანამედროვე პირობებში, ამ კონფლიქტებში ძალისხმევა მიმართულია არა კონკურენტის ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად, არამედ სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალზე ზეწოლით, რომელიც აღმოფხვრის "მოწინააღმდეგეს" და გაიმარჯვებს ნედლეულისა და გასაღების ბაზრებზე. ეს აზრი განსაკუთრებით აქტუალურია მსოფლიოში არსებულ დღევანდელ ვითარებაში.

დღეისათვის, ძირითადი ენერგორესურსების წყაროს წარმოადგენს ნახშირწყალბადები და ურანის მადანი. მათი მსოფლიო მარაგები დაახლოებით უკვე ცნობილია და, თუნდაც ყველაზე ოპტიმისტური შეფასებით, საეჭვოა რომ ახალი დაკვირვება

მნიშვნელოვნად გაზრდის მათი მოცულობას. ვინაიდან ამ რესურსების მოხმარების დონეც ასევე ცნობილია, გამოთვლილია პერიოდიც, რომლის შემდგომაც მოხდება მათი მთლიანად ამოწურვა. ცხადია, რომ ვერანაირი ეკონომიური რეჟიმი ვერ შეძლებს გადაარჩინოს ენერგიის წყაროები, როდესაც ისინი მთლიანად ამოიწურებიან. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება რამდენიმე სხვა ფაქტორებით.

პირველ რიგში, სამრეწველო წარმოების გაფართოებით. გასული საუკუნის განმავლობაში მთლიანი სამრეწველო პროდუქტი იზრდებოდა საშუალოდ ყოველ 20 წელიწადში ერთხელ. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება XXI საუკუნეში, მაშინ 20 წელიწადში ენერგეტიკული საჭიროება 2-ჯერ გაიზრდება, 40 წლის განმავლობაში - 4 ჯერ, XXI საუკუნის ბოლოს. - 32-ჯერ, XXII საუკუნის ბოლოს. - 1024 ჯერ. და რამდენადაც მიუხედავად დღევანდელი რესურსების მოხმარების შენარჩუნების მცდელობისა, რესურსები საკმარისი იქნება მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მრეწველობის ზრდა კატასტროფულად დააჩქარებს გლობალური რესურსის კატასტროფის მოახლოებას.

თუმცაღა, თანამედროვე ენერგეტიკის მთავარი პრობლემა არ არის მხოლოდ მინერალური რესურსების განადგურების, არამედ ეკოლოგიური მდგომარეობის საფრთხე.

ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემები (კლიმატის ცვლილება, მჟავა ნალექი, ზოგადი გარემოს დაბინძურება და სხვა) პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება ან ენერგიის წარმოებას, ან გამოყენებას. ენერგეტიკას ეკუთვნის პირველი ადგილი არა მხოლოდ ქიმიურ, არამედ სხვა სახის დაბინძურებაში: თბური, აეროზოლური, ელექტრომაგნიტური, რადიოაქტიური. აქედან გამომდინარე, არ იქნებოდა გადაჭარბებული იმის თქმა, რომ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის პრობლემა პირდაპირ დამოკიდებულია ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ушаков В. Я. Электроэнергетические системы и сети: учебное пособие для бакалавриата и магистратуры. — М.: Издательство Юрайт, 2017
2. https://www.conserve-energy-future.com

2. ENERGY CONSERVATION AND WAYS TO OPTIMIZE THE USE OF ELECTRICITY - https://science-education.ru/en/article

3. Горбанев В. А., Митрофанова И. Б. Природные ресурсы мировой экономики // Мировое и национальное хозяйство. — 2014. — № 2. — С. 7.

4. Blazev A. Energy Security for the 21st Century

არქიტექტურის მხატვრულ - გამომსახველობითი სახის, მოცულობით - სივრცითი კომპოზიციის მუსიკალურობის შესახებ

თამარ სალუქვაძე
დოქტორანტი

ანოტაცია

სტატიაში საუბარია, კომპოზიციის როლზე როგორც მუსიკასა ასევე არქიტექტურაში. ასევე, მის მხატვრულ - გამომსახველობითი ფორმირების პროცესის ერთ - ერთ უმთავრეს სტრუქტურულ მაჩვენებელზე. სწორედ, რომ კომპოზიციის დახმარებით არქიტექტურის ვიზუალური ფორმა უახლოვდება მუსიკალურ ფორმასა და წარმოადგენს მათი ელემენტებისა და ფორმების ორგანიზების მიღწევის საშუალებას.

ABOUT THE TYPE OF ARTISTIC-EXPRESSIVE ARCHITECTURE AND THE MUSICALITY OF VOLUMETRIC - SPATIAL COMPOSITION

T. Salukvadze
Doctoral student

ANNOTATION

The article discusses the role of composition in both music and architecture. Also, one of the key structural features of its artistic-expressive formation process. That happens with the help of composition; the visual form of architecture approaches the musical form and is a means of achieving the organization of their elements and forms.

* * * *

ხელოვნების ობიექტური სინამდვილის მხატვრული შემეცნების პრინციპი აქტუალური იყო ყოველთვის და მისი მნიშვნელობა შეადგენს მხატვრული შემოქმედების არსს. ყოველივე ეს დამახასიათებელი იყო ძველი დროისათვის და ასევე აქტუალურია დღესაც. მხატვრული სახის ბუნების ფილოსოფიური პრობლემა ასახულია პლატონისა და არისტოტელეს თეორიულ ნაშრომებში, სადაც ისინი იხილავენ კონცეპტუალურ საფუძვლებს მხატვრული გამომსახველობის პრობლემისა. მხატვრული სახე, როგორც ინდივიდუალურისა და კონკრეტულის კატეგორია, წარმოადგენს ემოციონალურისა და რაციონალურის, სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობას, ის არის ცენტრალური საბაზო კატეგორია ხელოვნების ნებისმიერ ჟანრში. (1)

„მხატვრული სახე, ეს არის ხელოვნებაში ობიექტური სინამდვილის არეკვლა (ასახვა) გარკვეული ესთეტიური პოზიციიდან. მხატვრულ სახეში ხდება მხატვრის მიერ ათვისება შემოქმედებითი ფანტაზიით, წარმოსახვით, ტალანტითა და ოსტატობით ხელოვნების სპეციალური საგნისა, როგორიცაა ცხოვრება, ყველა თავისი ესთეტური მრავალსახეობითა და სიმდიდრით, მისი ჰარმონიული მთლიანობითა და დრამატული კოლიზიებით. მხატვრული სახე წარმოადგენს უწყვეტ, ურთიერთშეღწევად ერთიანობას ობიექტური და სუბიექტური, ლოგიკურისა და გრძნობითის, რაციონალურისა და ემოციონალურის, აბსტრაქტულისა და კონკრეტულის, საერთოსა და ინდივიდუალურის, აუცილებლისა და შემთხვევითის, შინაგანისა და გარეს, მთლიანისა და ნაწილის, შინაარსისა და ფორმისა. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო შემოქმედებითი პროცესის შერწყმის წყალობით მხატვარს უჩნდება შესაძლებლობა, მიაღწიოს ნათელ, ემოციურად გაჯერებულ, პოეტურად განმსჭვალულ და იმავდროულად ღრმად ზეშთაგონებული, დრამატულად დაძაბული ადამიანის ცხოვრების აღდგენას. ამ შერწყმის საფუძველზე, განხორციელებული ხელოვნების თითოეული სახისთვის სპეციფიური მატერიალური საშუალებებით (სიტყვა, რითმა, ბგერა, ინტონაცია, ნახატი, ფერი და ჩრდილი, ხაზობრივი თანაფარდობა და ა.შ.) შერწყმით იქმნება სახე-ხასიათი, სახე-ამბავი, სახე-მდგომარეობა, სახე -კონფლიქტი, სახე-დეტალი გამომხატველი გარკვეული ესთეტიური იდეისა და გრძნობისა“. (2)

როგორც არქიტექტურულ, ასევე მუსიკალურ ხელოვნებაში მხატვრულობის რეალიზება ხდება მათი მხატვრული გამომსახველობითი შესაძლებლობების დახმარებით. არქიტექტურისა და მუსიკალური ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებები მათი ბუნებით მეტად მრავალმხრივია და წარმოადგენს საკმაოდ დიდ სპექტრს მუსიკისათვის, ისევე როგორც არქიტექტურისათვის, უმთავრესი სტრუქტურული მაჩვენებელი მხატვრული გამომსახველობისა - არის კომპოზიცია. სწორედ კომპოზიცია პასუხობს შეამდგენელთა მთლიანობას. ეს არის იმ საშუალების ერთობლიობა, რომლის დახმარებითაც ვიზუალური ფორმა (არქიტექტურაში) უახლო-

ვდება მუსიკალურ ფორმას. ეს წარმოადგენს დროში სამგანზომილებიან განფენილობას, რომლის მიღებაც შესაძლებელია სივრცეში განსაკუთრებული ორგანიზების გზით და რიტმული თანამიმდევრობის წყობით. (3)

თუ მუსიკალურ კომპოზიციას გავიგებთ, როგორც სამეცნიერო ტექსტს, რომელიც წარმოადგენს „კონკრეტულ გრძნობით-ჟღერად ფორმას", მაშინ ამ შემთხვევაში უინტერესო არ იქნება ვიპოვოთ მისი ანალოგიური ვიზუალი. არქიტექტურულ კომპოზიციაში, მაგალითად, ფასადის ზედაპირი, შეიძლება „წავიკითხოთ" როგორც ტექსტი, რომელიც შედგენილია ცალკეული სივრცითი რგოლებისგან. (4) ვ. კანდინსკი აღნიშნავს, რომ მისთვის უბრალოდ ორგანიზებული კომპოზიცია არის მელოდიური, ხოლო რთული კომპოზიცია, რომელიც შედგება რამდენიმე ფორმისგან - არის სიმფონიური. (5) იმისათვის, რომ კომპოზიცია იყოს მოყვანილი სრულ ჰარმონიაში, ჰქონდეს მის ყველა ნაწილს და დეტალს თანაზომიერი და ჰარმონიული დამოკიდებულება და ჰქონდეს ასევე ყოველმხრივი სრული ესთეტური გამომსახველობა, აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ კომპოზიციის ზოგიერთი სპეციალური საშუალებებით, ანუ ჰარმონიის საშუალებებით, კერძოდ, რითმით, მეტრით, პროპორციით, სიმეტრიით და ა.შ. ყოველივე ეს ახასიათებს როგორც არქიტექტურას, ასევე მუსიკას, რამეთუ კომპოზიცია - ეს არის ელემენტებისა და ფორმების ორგანიზაციის საშუალება ერთიანობისა და ჰარმონიულობის მიღწევის მიზნით.

ნებისმიერი ნაწარმოების ფორმა, მუსიკალური იქნება ის თუ არქიტექტურული, ეს არის ფუნდამენტი, კომპოზიციური საყრდენი, რომელიც გვეხმარება შევიცნოთ ნაწარმოების შინაარსი, მისი იდეა.

მუსიკალური ფორმა, ეს არის მუსიკალური ნაწარმოების კონსტრუქცია. მუსიკოსები, ფორმას გებულობენ ორნაირად: ერთის მხრივ, ეს არის მუსიკალური კომპოზიციის ყველა ნაწილების განლაგების სქემა რიგის მიხედვით, მეორეს მხრივ, ფორმა - ეს არის გამომსახველობითი საშუალებების განვითარების პროცესი, რომლის დახმარებითაც იქმნება მოცემული ნაწარმოების მხატვრული სახე. რომელია ეს გამომსახველობითი საშუალებები? ეს არის მელოდია, ჰარმონია, რითმი, ტემბრი, რეგისტრი და ა.შ.

არქიტექტურული ფორმა თუ არქიტექტურული ელემენტი, არქიტექტურულ კომპოზიციაში ძირითადად ვითარდება როგორც სივრცითი სტრუქტურა. მუსიკაში კი მძლავრობს მოძრაობა, დინამიკა, ხოლო სივრცითი შემადგენელი (ელემენტი, ფორმა) არსებობს „სინთეზური აურის" სახით, (6) რასაც ახლავს მელოდიის განვითარება. აქედან გამომდიანრე, არქიტექტურული ელემენტებისა და ფორმების ასოციაციური დინამიკა თავის ასახვას მუსიკაში ჰპოვებს. ამრიგად, პრინციპული ხარისხი, რომლის დახმარებითაც ვიზუალური ფორმები უახლოვდება მუსიკალურ ფორმას, ეს არის დროში განფენილობა, ხოლო მისი მიღება შესაძლებელია სივრცეში განსაკუთრებული ორგანიზებით და რითმული თანმიმდევრობის წყობით. (7)

ამდენად, არქიტექტურის ჰარმონიულობა, მიღწეული კომპოზიციური პრინციპების ერთიანობით, თავის გამოხატვას მუსიკალური ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის დიალექტიკურ ერთიანობაში პოულობს, რომელსაც ის აღწევს არქიტექტურულ-გამომსახველობითი სისტემის საშუალებით. არქიტექტურისა და მუსიკის გამომსახველობითი საშუალებების ასეთი მჭიდრო ნათესაობა, რაც ასე მკაფიოდ ჩანს ჩვენს მიერ განხილულ სამეცნიერო წყაროებიდან, გვაძლევს საფუძველს დაბეჯითებით ვაღიაროთ, რომ მათ აქვთ საერთო ბუნება, რომელიც ეყრდნობა ხელოვნების ამ ორი დარგის გამომსახველობითი საშუალებების შესატყვისობას, რომ „მუსიკალურობა" არის სწორედ ერთ-ერთი შემადგენელი იმ მხატვრული გამომსახველობისა, რომელსაც ქმნის არქიტექტურული სივრცე, არქიტექტურული კომპოზიცია. ანუ არქიტექტურის ჰარმონიული გარემო, რაც განისაზღვრება ჩვენს მიერ, როგორც „მუსიკალურობა", რომელიც თავის მხრივ, არის თვისება არქიტექტურისა.

გერმანელი ფილოსოფოსის გერმანული რომანტიზმის იდეური ლიდერის ფრიდრიხ შელინგის გამონათქვამი, რომ „არქიტექტურა - გაქვავებული მუსიკაა", ეს არ არის მარტო ხერხი და მეტაფორა, როგორც ზოგადად აღნიშნავენ, ეს არის „ონთოლოგიური რეალიზმის" თვისება. (8) „ არქიტექტურა - გაქვავებული მუსიკა ", ეს არის არქიტექტურის აღქმა განსხვავებული ხედვით დაფუძნებული პოეტური ტრანსფორმაციის განცდაზე ჩვენში, და გამოხატავს იმას, რასაც უწოდებენ მუსიკის შინაგან აზრს, „მხატვრულობას", ანუ „მუსიკალურობას„. ეს პოეტური ტრანსფორმაცია ჩვენში ქმნის კავშირს ორ დარგს, მუსიკასა და არქიტექტურას შორის. სხვა სიტყვებით მეტაფორა ფლობს უნარს, განახორციელოს გარკვეული ტრანსფორმაციული პროცესი და მისი ძალისხმევით მოახდინოს გარკვეული თანხვედრა ხელოვნების ამ ორი დარგის ურთიერთობის აღქმისას, რასაც შემდეგ მივყავართ მსგავსების ცნებამდე.

ალბათ, საქმე იმაშია, რომ რეალურად ხალხმა დაიწყო ნაკლები ყურადღების დათმობა ლამაზი ფორმების მნიშვნელობის მიმართ, მარტივად რომ ვთქვათ, დაიკარგა უნარი მშვენიერების ენის აღქმისა. (9) არ უნდა ვიფიქროთ, რომ სილამაზის

როლი გაქრება. მთავარია, არ მოხდეს მშვენიერების უგულვებელყოფა. თუ მას ვერ დავინახავთ, მაშინ ყველაფერი დაკარგულია.

ამრიგად, არქიტექტურის მხატვრულ - გამომსახველობითი მეთოდის მოკლე ანალიზმა, დაფუძნებულმა კომპოზიციური პრინციპების მოთხვნებზე გვიჩვენა, რომ მუსიკალურობა არის ერთ-ერთი კრიტერიუმი მხატვრულობისა და თუ ვაღიარებთ, რომ მხატვრული გამომსახველობა თავის მხრივ არის არქიტექტურის თვისება, გამოდის, რომ მუსიკალურობა არის არქიტექტურის თვისება, დაფუძნებული არქიტექტურის მისწრაფებაზე გადმოსცეს ადამიანის, შემოქმედის მხარე, გახსნას მასში ხელოვანის სულიერი ჩანაფიქრი. ხელი შეუწყოს არქიტექტურის მხატვრულ - გამომსახველობითი სახის მოცემულობით - სივრცითი კომპოზიციის სრულყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Комурджи Р.С. Сущность художественного образа в музыкальных произведениях. სტატია, ინტერნეტიდან.
2. Философский словарь/ Ред. И. Т. Фролова – М. Полириздат. 1986. 405 стр. 1980.
3. Левтишин В. Рождение живописы из духо музыки. Пространство и время в живописи.
4. Бакуто С.В. Музыка и архитектура. К. вопросу межвидовых соответствий. Красноярск, Ленина 22. 660049. УАК 781).
5. Кандинский В. Точко и линия на плоскости. СПБ: Азбука, 2001-с. 105.
6. Султанова М. «Изобразительное искусство и музыка»
7. Янишевская Н. «Орнамент и музыка» Структурные параллели и интерпретация.
8. Мыпякова Н.М. Литература и музыка в русской культуре XIX века. Дисс. автореферат. გვ. 42/45
9. Бурцев А.Г. Дисс как арх. Семиотическая модель языка архитектурных форм. 2001.

ნარკოპოლიტიკა საქართველოში

ნიკოლოზ დგებუაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

მსოფლიოს მაშტაბით ნარკოპოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი ორგანოა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მის მიერ მიღებული საერთაშორისო კონვენციები. გაეროს კონვენციებს მიერთბულმა სახელმწიფოებმა თავიანთ ქვეყნებში ნარკომანიის დასამარცხებლად არაერთგვაროვანი მიდგომები დააწესა. ზოგიერთ მათგანში მკაცრი პოლიტიკაა ჩამოყალიბებული, ზოგში ლიბერალური მიდგომებია სასჯელებთან მიმართბაში.

რაც შეეხება საქართველოს, იგი ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ხისტ პოლიტიკას აწარმოებს. კანონმდებლობის თანახმად დასჯად ქმედებადაა მიჩნეული, როგორც ნარკოტიკების მოხმარება ისე მათი ფლობა-რეალიზაცია. სტატისტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მიუხედავად მკაცრი პოლიტიკის გატარებისა ქვეყანაში არ შემცირებულა ნარკომომხმარებელთა რაოდენობა.

ნარკომანიის დასამარცხებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ბოლო პერიოდში, მის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, რომ კონკრეტულმა სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე უნდა შეიმუშოს ისეთი მოდელი, რომელიც არ იქნება ორიენტირებული ნარკომომხმარებლის მხოლოდ დასჯაზე, პირიქით პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მათ მკურნალობას და რესოციალიზაციას. განავითარონ სამედიცინო და სარეაბილიტაციო ინსტიტუტები, რომლებიც მორგებული იქნება მომხმარებელთა მკურნალობა - რესოციალიზაციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა ნარკომანიის დამარცხების მიზნით პრიორიტეტი მიანიჭეს ნარკოტიკების ლეგალიზაციას და მომხმარებელთა სამკურნალო სერვისებში გადამისამართებას, საქართელოში ასეთ ცვლილებებს ნაადრევად მიიჩნევენ, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ან ამ მიზნით ნარკოტიკების ფლობის დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, ქვეყანას არ გააჩნია ის სამედიცინო და სპეციალური სოციალური სერვისები, რომლებსაც წამალდამოკიდებულ პირებს შესთავაზებს. ასეთი სერვისების ჩამოყალიბებას და სპეციალური პროფილის მქონე სამედიცინო დაწესებულების გახსნას სჭირდება დიდი ფინანსური დახმარება, რაც სამწუხაროდ საქართველოს არ გააჩნია. ამდენად აუცილებლობას წარმოადგენს შევისწავლოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უკვე ადაპტირებული მოდელები და შევარჩიოთ ჩვენთვის სასურველი ისეთი სისტემა, რომელიც ნაკლები ფინანსური რესურსების გამოყენებით ხელს შეუწყობს წამალდამოკიდებულთა სტატისტიკური მაჩვენებლის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; ნარკომანია; ნარკოპოლიტიკა; აივ ინფექცია; C ჰეპატიტი; ნარკოტიკების ბრუნვა; ფსიქოტროპული ნივთიერებები; ჰეროინი; კოკაინი; მარიხუანა; მდმა; ლიზერგინის მჟავა; სამედიცინო პრეპარატები; გაეროს ერთიანი საერთაშორისო კონვენცია; გაეროს ანგარიში; დემოკრატიული ინსტიტუტები, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; სუფთა სუბსტანცია; ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება; ევროპოლი; ინტერპოლი; პრევენციული ღონისძიებები, პრობლემური მომხმარებელი; ტრანზიტი.

DRUG POLICY IN GEORGIA

Nikoloz Dgebuadze
Doctorant of GTU

RESUME

The United National is the organization that defines a Drug Policy development over the world and all conventional acts related to this matter. Later, the countries, that follow and operate under those conventions, adopted or designed various approaches relevant to their countries. Some developmed very strict and streight forward policies, some have more liberal approaches towards the drug relatd crimes.

In this regards, Georgia choose quite robust approach against narco-crimes. According to the Georgian legislation, drug consumption, as well as the drug realization is considered to be a crime and is subject legal punishment/conviction.

Statistics and analyses reveal that, despite such a robust drug policiy in the coutry, the number of drug consumers/users has not decreased.

UN, within its anti-drag campaign, encourages its member coutries to create the legislative models, that are not oriented on the drug users legal punishement, rather than consentrate and prioritize the re-socialisaiton and treatment models. Those coutries are encouraged to establish medical rehabilitation institutions that ara specialised in drug treatment nad rehabilitation, resocialisation.

During last years, almost all developed coutries in the world focused on legalizing drugs in oder to fight drug usage and, prioritize drug treatment and improving rehabilitation services.

Despite such trends, the drug legalization in Georgia is still considered to be an early step. In case of decriminalisation of druge use in the coutry, Georgia shall

offer special medicanor social services to individuals requiring treatment. Creating such services require lot of financial resourves, and at this moment the country does not have such resources at all.

That is why, at this moment, we need to research and study models, trends that exsist in different coutries and replicate them in Goergia, so the country, with limited resources becomes able to decrease the number of drug users.

ძირითადი ტექსტი

ნარკოტიკებთან დაკავშირებული საფრთხეები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ფუძემდებლურ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, კერძოდ გაეროს ერთიან, საერთაშორისო კონვენციაში - „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ". კონვენცია აღიარებს, რომ ნარკომანია წარმოადგენს სერიოზულ ბოროტებას ცალკეული პიროვნებებისათვის და სოციალურ-ეკონომიკურ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას.

ნარკოტიკებით გამოწვეული გლობალური პრობლემა აღიარებულია „ნარკოტიკების შესახებ" გაეროს გენერალური ანსამბლეის 1998 წლის მე-20 სპეციალური სესიის ისტორიულ-პოლიტიკური დეკლარაციით, სადაც აღნიშნულია, რომ ნარკოტიკები მსოფლიო პრობლემაა.

ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე მონაცემები მოყვანილია გაეროს მოხსენებაში „მსოფლიო ნარკოვითარების შესახებ", სადაც აღნიშნულია რომ ყოველწლიურად მსოფლიოში იღუპება 200 000 ნარკომანი. გარდა იმ ზიანისა, რასაც ნარკომანები თავის თავს აყენებენ, ისინი სერიოზულ საფრთხეს უქმნიან სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. დაახლოებით 3 000 000 ნარკომომხმარებელი დაავადებულია აივ ინფექციით, 8 000 000 C ჰეპატიტით და ისინი წარმოადგენენ ამ ინფექციის წყაროს.

მსოფლიო ხალხების ცივილიზებულმა ნაწილმა გააცნობიერა, რა აღნიშნული საფრთხეების მაშტაბები, ქვეყნების უმეტესმა ნაწილმა აღიარა ნარკოტიკების მოხმარების აკრძალვის პრინციპები და მისი დარღვევისათვის მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციები დააწესა. ასეთი სახის სანქციები თითოეულმა სახელმწიფომ სხვადასხვანაირად ჩამოაყალიბა, ზოგან ლიბერალური მიდგომები განისაზღვრა, ზოგან მკაცრი რეგულაციები დაწესდა. მაგალითად, პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკების ფლობა დასჯად ქმედებად ითვლება მალტაში, რუსეთში, თურქეთში. საფრანგეთი თავისი კანონმდებლობით სჯის გამოყენებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი არ დაემორჩილება დეზინტოქსიკაციის ღონისძიებებს, ხოლო ირლანდია ნარკოტიკების მოხმარებას სჯის რეციდივისას. არსებობს ლიბერალური მიდგომის მქონე ქვეყნებიც, ესენია ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, სადაც არ ისჯება ნარკოტიკების მოხმარება და ასეთი პირების გადამისამართება ხდება სამედიცინო თუ ფსიქონევროლოგურ სტრუქტურებში.

რაც შეეხება საქართველოს, იგი მკაცრი რეგულაციებით გამოირჩევა. ქვეყნის კანონმდებლობით ორი სახის პასუხისმგებლობაა დაწესებული ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასა და ფლობაზე. ასეთ ქმედებებს არეგულირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კანონმდებლობა. მათ შორის ზღვარის გასავლებად გამოიყენება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" კანონი, რომელიც მიღებულია 1988 წლის გაეროს „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ"კონვენციის საფუძველზე და განსაზღვრავს, რომელი ნივთიერებები მიეკუთვნება ნარკოტიკულ თუ ფსიქოტროპულ საშუალებებს და რა მოცულობა მიიჩნევა მცირე, დიდ ან განსაკუთრებით დიდ ოდენობებად.

ნარკოტიკული საშუალების (გარდა მცენარე კანაფის და მარიხუანისა) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისთვის ან მცირე ოდენობამდე ფლობისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ჯარიმას (500 ლარის ოდენობით) ან 15 დღემდე პატიმრობას ითვალისწინებს, ხოლო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება მცირე, დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფლობა რეალიზაციისთვის ან ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ განმეორებით ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისთვის.

რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა ფსიქოტროპულ ნივთიერებებთან მიმართებაში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ამ ნივთიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება 67 დასახელების პრეპარატი, თუმცა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ისჯება მხოლოდ სუფთა სუბსტანციები და არა მათი წამლის ფორმები, გარდა ორი სახის პრეპარატისა - თიანეპტინის და პრეგაბალინის წამლის ფორმებისა. კანონში ამ ჩანაწერის არსებობის გამო, სისხლის სამართლებივი რეგულირების ჩარჩოდან გადის 65 სახის ფსიქოტროპული ნივთიერების ფლობა და რეალიზაციის ფაქტები, რაც ხელს უწყობს მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქართველოში შემოტანას და ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის" აყვავებას.

ნარკოვითარების განხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მაგალითად საქართველოში 2014 წელს გამოძიება დაიწყო სულ 46154 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის ნარკოდანაშაულზე 7883 ფაქტზე (17%);

2015 წელს რეგისტრირებული იყო 43972 დანაშაული, მათ შორის 5791 (13,1%) ნარკოდანაშაული; 2016 წელს 44444 დანაშაული, მათ შორის 5646 (12,7%) ნარკოდანაშაული.

რაც შეეხება პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, 2014 წელს დევნა დაიწყო 19298 პირის მიმართ, მათ შორის ნარკოდანაშაულის ჩადენაზე 7939 პირის მიმართ; 2015 წელს 17823 პირის მიმართ, მათ შორის ნარკოდანაშაულის ჩადენაზე 5203 პირის მიმართ; 2016 წელს 16085 პირის მიმართ, მათ შორის ნარკოდანაშაულის ჩადენაზე 4860 პირის მიმართ.

სტატისტიკური მაჩვენებლების თანახმად, სამი წლის მანძილზე ნარკოდანაშაულს ახასიათებს კლების ტენდენცია, მათ შორის შემცირებულია საერთო დანაშაულში ნარკოდანაშაულის ხვედრითი წილიც. კერძოდ, 2014 წელს იგი შეადგენდა - 41,1 პროცენტს, 2015 წელს - 29,1 პროცენტს, ხოლო 2016 წელს - 30,2 პროცენტს.

ცნობილია, რომ ნარკოდანაშაულის საგანია კონკრეტული სახეობის ნარკოტიკი, ამდენად, ნარკოდანაშაულის სიმრავლეს მნიშვნელოვნად განაპირობებს ე.წ. „შავ ბაზარზე“ ამ ნივთიერებების უკანონო ბრუნვის მაშტაბები.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების წარმოება არ ხორციელდება, თუმცა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იზრდება მცენარე კანაფი, რომლიდანაც მიიღება სხვადასხვა დასახელების პროდუქტი - მარიხუანა, კანაფის ფისი (გაშიში), კანაფის ზეთი, კანაფის ექსტრაქტი. ზოგიერთ რეგიონში (კახეთი, ქვემო ქართლი) გვხვდება ყაყაჩოს ნამჯის მოყვანის ფაქტებიც, რისგანაც მზადდება ნარკოტიკული საშუალება ოპიუმი. სხვა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე საქართველოში არ მოიპოვება და ისინი შემოედინება იმპორტის სახით სხვა ქვეყნებიდან. უმეტესწილად ჰეროინი შემოდის ირანის, თურქეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებიდან. ბუპრენორფინის შემცველი პრეპარატები (სუბოტექსი, სუბოქსინი) შემოდის ევროპის ქვეყნებიდან (ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია). ამავე ქვეყნებიდან და უკრაინიდან საქართველოში შემოედინება ე.წ. კლუბური ნარკოტიკი მეთილენდიოქსიმეტამფეტამინი, - (მდმ-ა) და ლიზერგინის მჟავა (ლზდე). ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების (ბიოს) იმპორტი ხდება რუსეთისა და ჩინეთის რესპუბლიკებიდან. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებების საზღვარზე შემოტანა ხორციელდება ფარული ხერხით - სამალავით, სხეულით, ფოსტის მეშვეობით და სხვა ფორმებით. ასეთი ქმედებების აღკვეთის მიზნით გამკაცრებულია კონტროლის მექანიზმები საბაჟო პუნქტებზე და ფოსტაში შემოსულ გზავნილებსა თუ ამანათებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო წარმოადგენს არა მარტო ნარკოტიკების მომხმარებელ ქვეყანას, არამედ ერთ-ერთ მსხვილ ნარკო ტრანზიტულ ზონასაც. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე იგი მაკავშირებელია აღმოსავლეთის ქვეყნების ევროპის ქვეყნებთან. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ, მათ შორის, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით აღიკვეთა არაერთი ნარკოტრანზიტის ფაქტი, რის ფარგლებშიც აღმოაჩინეს და ამოღებული იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალებები.

ნარკო ტრანზიტის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციასთან - DEA (Drug enforcement administration), ევროპოლთან და ინტერპოლთან.

ნარკომანიასთან ბრძოლის ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიებაა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ამოღება და ამ ფორმით მათი უკანონო ბრუნვაში მიქცევისთვის ხელის შეშლა. 2013 – 2016 წლებში გატარებული შესაბამისი ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ამოღებული იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით არაერთი დასახელების ნარკოტიული საშუალება, კერძოდ:

5676 კგ.და 44 გრ. კანაფი; 288 კგ.და 468 გრ. მარიხუანა; 21 კგ. და 950.3 გრ. კოკაინი, მათ შორის 21 კგ.439.9 გრ. ტრანზიტული ტვირთი; 748 კგ. 276,7 გრ. ჰეროინი, მათ შორის 747 კგ.045 გრ. ტრანზიტული ტვირთი; 118 გრ. მეთადონი, 2997 აბი მდმა; 4570 აბი სუბუტექსი; 2კგ. და 529 გრ. კოდეინი, მათ შორის 2 კგ. ტრანზიტული ტვირთი; 162.6 გრ. ოპიუმი; 11 კგ. და 759 გრ. მორფინი - მათ შორის 11 კგ. 759 გრ. ტრანზიტული ტვირთი.

ამდენად, ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების ოდენობების და მათი მიზნობრიობის გათვალისწინებით კიდევ ერთხელ დგინდება, რომ საქართველო ერთ-ერთ ტრანზიტულ ქვეყანას წარმოადგენს, რომლის გავლითაც ხორციელდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების საერთაშორისო გადაზიდვა (იხ. გრაფიკი 1).

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ 2014 წელს ამოღებული ნარკოტიკების ერთ მესამედზე მეტს შეადგენს დეზომორფინი (საზოგადოებისთვის ცნობილია „კრაკადილის“ სახელწოდებით), რაც შემდგომ წლებში ფაქტიურად აღარ გვხვდება. მისი ასეთი მკვეთრი შემცირება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ცვლილებები განხორციელდა „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რითაც დეზომორფინის დამზადებისათვის აუცილებელი ერთ-ერთი კომპონენტი - **„კოდეინის“** შემცველი ყველა კომბინირებული პრეპარატი გახ-

ბრალდებული პირებისგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების სახეობები



ბრალდებული პირების მიერ მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებების სახეობები



და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი. განხორციელებული ცვლილების თანახმად მოსახლეობისთვის რეცეპტის გარეშე მიუწვდომელი გახდა ამ ნივთიერების შემცველი პრეპარატების მოპოვება (იხ. გრაფიკი 2).

როგორც უკვე აღინიშნა 2015 – 2016 წლებში ამოღებული და მოხმარებული ნარკოტიკული ნივთიერებებიდან ლიდერობს მარიხუანა. ამ მონაცემების მკვეთრ ზრდას საფუძვლად უდევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რითაც დაკმაყოფილდა საქართველოს მოქალაქე **ბექა წიქარიშვილის** სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 70 გრამამდე მშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო სასჯელის სახით პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო სასამართლოში ახალი პრაქტიკის დანერგვას, კერძოდ: 70 გრამამდე მშრალი მარიხუანის ამოღების შემთხვევაში მოსამართლე სასჯელის დანიშვნის გარეშე ბრალდებულ პირს მხოლოდ სცნობდა დამნაშავედ.

მოცემული მავნე პრაქტიკის დროულად მოგვარების მიზნით, 2017 წლის 26 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი ნორმა 273[1]-ე მუხლი, რომელმაც საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შესაბამისობაში მოიყვანა კანონთან მიმართებაში და ახლებურად განსაზღვრა მცენარე კანაფის და მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნით ფლობის სანქციები, (კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ ოდენობასთან მიმართებაში თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის სახით განისაზღვრა უფრო მსუბუქი სანქციები - ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა).

ნარკოდანაშაულთან ბრძოლის კუთხით საქართველოში სხვადასხვა მიდგომებია დაწესებული. შედარებით ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა ხორციელდება ნარკომომხმარებლებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებების და მსუბუქ ნარკოტიკების (მცენარე კანაფი, მარიხუანა) ფლობაზე. ასეთ შემთხვევებზე ძირითადად გამოიყენება არასაპატიმრო სასჯელები. მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკაა დამკვიდრებული და დღემდე გრძელდება ნარკორეალიზატორებზე, ნარკო-

ტიკული ნივთიერებების შემოტანასა და ტრანზიტზე, ძლიერმოქმედ ნარკოტიკულ ნივთიერებებზე (ჰეროინი, ბუპრენორფინი ამფეტამინი, მდმა, კოკაინი, ლიზერგინის მჟავა და სხვა).

საქართველოში 50,000-ზდე მეტი ნარკოტიკების პრობლემური (ინტრავენურად) მომხმარებელია, რომელთაც ესაჭიროებათ რაიმე სახის დახმარება, იქნება ეს კონსულტაცია და ინფორმაციის მიწოდება, სრულ თავშეკავებაზე ორიენტირებული მკურნალობა (დეტოქსიკაცია) და რეაბილიტაცია, თუ ოპიოდებით ჩანაცვლებითი მკურნალობა. დღეის მდგომარეობით ქვეყანაში არ არსებობს არც ერთი სრულფასოვანი რეზიდენტული სარეაბილიტაციო დაწესებულება, არ ფუნქციონირებს არცერთი პაციენტების სტაციონალური მკურნალობის შემდგომი მოვლისა თუ რეინტეგრაციის ინსტიტუციური მექანიზმები. ძირითადად ფუნქციონირებს ჩანაცვლებითი პროგრამები ერთი სახელწიფო დაფინანსებით ე. წ. „მეთადონს“ პროგრამა და ექვსი კერძო ე. წ. „ბუპრენორფინის“ პროგრამა. 2015 წლის პერიოდში საქართველოში 4459 პაციენტმა გაიარა ოპიოდური ჩანაცვლებითი მკურნალობა, ხოლო 933-მა სტაციონალური ან ამბულატორული დეტოქსიკაცია.

გარდა კლინიკური სერვისებისა, ქვეყანაში მოქმედებს ზიანის შემცირების პროგრამები, რომლებიც მუშაობენ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებთან და მათ პარტნიორებთან, რომლებსაც აწვდიან ისეთ სერვისებს, როგორიცაა ინფექციურ დაავადებებზე ტესტირება და კონსულტირება. სხვა ალტერნატიული სერვისი საქართველოში არ მოიპოვება, ხოლო არსებული კი ვერ აკმაყოფილებს მიზერულ მოთხოვნილებებსაც კი.

აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიდგომა ნარკოდამოკიდებული პირების მიმართ. თავდაპირველად გაერო თავის ყოველწლიურ ანგარიშებში წევრ ქვეყნებს რეკომენდაციას აძლევდა ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ სასჯელთან ერთად გამოეყენებინათ იძულებითი მკურნალობის მექნიზმებიც. ბოლო პერიოდში ეს მიდგომა შეიცვალა და წევრ ქვეყნებს მოუწოდებს უარი თქვან ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ გატარებულ არაეფექტურ სადამსჯელო ზომებზე და რეკომენდაციას აძლევს დანერგონ ადამიანის უფლებებისა და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული მკურნალობისა და დახმარების ახალი მიდგომები. გაეროს 2015 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: „საჭიროა მუშაობა ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაციისათვის, საჭიროა შემუშვდეს და აღსრულდეს ანტი-დისკრიმინაციული და დამცველობითი კანონები, რათა აღმოიფხვრას სტიგმა, დისკრიმინაცია, სოციალური გარიყულობა და ძალადობა იმ ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარენ...“

„კანონი, რომლის თანახმად, პირები ისჯებიან ნარკოტიკების ან საინექციო აღჭურვილობის შენახვა მოხმარებისათვის, ხელს უწყობს, რომ ადამიანები თავს იკავებენ მომსახურების მიღებისგან იმის შიშით, რომ მათ დააპატიმრებენ ან სისხლის სამართლის ბრალდება წარედგინებათ. ეს კანონები ხელს უშლიან ზიანის შემცირების სერვისების მიმწოდებლებს, დახმარება გაუწიონ ნარკოტიკების მომხმარებლებს, რადგან თავად მომსახურების მიმწოდებლები ხდებიან სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე. ნარკოტიკული საშუალებების კრიმინალიზაცია მსჯავრდებული პირების დასაქმების პერსპექტივებს ამცირებს, რაც იწვევს მათი ფინასური მდგომარეობის არასტაბილურობას“.

ამდენად, ნარკომანიის დასამარცხებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, რომ კონკრეტულმა სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე უნდა შეიმუშოს ისეთი მოდელი, რომელიც არ იქნება ორიენტირებული ნარკომომხმარებლის მხოლოდ დასჯაზე, პირიქით პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მათ მკურნალობას და რესოციალიზაციას. განავითარონ სამედიცინო და სარეაბილიტაციო ინსტიტუტები, რომლებიც მორგებული იქნება მომხმარებელთა მკურნალობა - რესოციალიზაციისკენ.

საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც გაეროს რეკომენდაციები გაითვალისწინეს და ნარკომომხმარებლების მიმართ ლიბერალური მიდგომები დააწესეს, პოზიტიური შედეგები მიიღეს. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ პორტუგალიური მოდელი, რომელმაც 2001 წელს ნარკოტიკების მოხმარების და არარეალიზაციის მიზნით ნებისმიერი სახის ნარკოტიკის ფლობის დეკრიმინალიზაცია მოახდინა. რეფორმის შედეგად ნარკომომხმარებელს სახელმწიფო ნაცვლად სასჯელისა სთავაზობდა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სერვისებს. რეფორმის შედეგად შემცირდა ზედოზირებით გარდაცვალების ფაქტები, აივ-შიდსის და C ჰეპატიტის დაავადების გავრცელების სტატისტიკური მაჩვენებლები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განსხვავებული, მკაცრი მიდგომები გააჩნია ნარკოტიკების მწარმოებლებთან, რეალიზატორებთან და მიმწოდებლებთან მიმართბაში. აღნიშნული ქმედებები მიჩნეულია დანაშაულად და მათ აღსაკვეთად მკაცრი სამართლებრივი ზომების გატარების აუცილებლობას აწესებს.

რაც შეეხება საქართველოს, ქვეყანაში ნარკომანიასთან ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სადამსჯელო ღონისძიებები და ნაკლებად განვითარებული (ფაქტიურად არ არსებობს) სამედიცინო თუ სხვა სოციალური სერვისები. ქვეყანაში სამკურნალო თუ სარეაბილიტაციო სერვისების არარსებობა გამომდინარეობს არსებული სოციალური თუ ეკონომიური მდგომარეობის დაბალი მაჩვენებლებით.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს განვითა-

რებულმა ქვეყნებმა ნარკომანიის დამარცხების მიზნით პრიორიტეტი მიანიჭეს ნარკოტიკების ლეგალიზაციას და მომხმარებელთა სამკურნალო სერვისებში გადამისამართებას, საქართველოში ასეთ ცვლილებებს ნაადრევად მიიჩნევენ, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ან ამ მიზნით ნარკოტიკების ფლობის დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, ქვეყანას არ გააჩნია ის სამედიცინო და სპეციალური სოციალური სერვისები, რომლებსაც წამალდამოკიდებულ პირებს შესთავაზებს.

აღნიშნული რეფორმების განხორციელება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. თავდაპირველად უნდა შეიქმნას სპეციალიზებული სერვისები და მის შემდგომ დადგეს საკითხი ნარკოტიკების მოხმარების და ამ მიზნით მათი ფლობის დეკრიმინალიზაცია. სახელმწიფომ ნარკომომხმარებელს უნდა შესთავაზოს არა მხოლოდ სამედიცინო სერვისების მრავალფეროვნება, არამედ დაეხმაროს მათ რესოციალიზაციაში, დასაქმებასა თუ განათლების მიცემაში. ამავე დროს უნდა განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, როგორიცაა სკოლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოზარდებში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, ლექცია-სემინარების ჩატარებით ყურადღების გამახვილება უნდა მოხდეს იმ მავნე თვისებებზე და სავალალო შედეგებზე, რაც შეიძლება მოუტანოს კონკრეტულ პირს ნარკოტიკების მოხმარებამ. კომპლექსური ღონისძიებების გატარების, სამედიცინო თუ ფსიქონევროლოფიური სერვისების შექმნის შემდგომ შესაძლებელი გახდება სადამსჯელო ღონისძიებები ეტაპობრივად შეიცვალოს სამკურნალო ღონისძიებებით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ამ სახის რეფორმების განხორციელებას სჭირდება დიდი ფინანსური მხარდაჭერა რაც სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია, შესაბამისად მათი განხორციელება ამ ეტაპისთვის შეუძლებელია. ამდენად, ნარკომანიის დასამარცებლად აუცილებლობას წარმოადგენს შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უკვე ადაპტირებული მოდელები და შევარჩიოთ ჩვენთვის სასურველი ისეთი სისტემა, რომელიც ნაკლები ფინანსური რესურსების გამოყენებით, ხელს შეუწყობს საქართველოში წამალდამოკიდებულთა სტატისტიკური მაჩვენებლის შემცირებას.

გარდა ნარკომომხმარებლებისა, საქართველოში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ე.წ. „საფთიაქო ნარკომანიის“ არსებობაც. აფთიაქები ექიმის დანიშნულებისა და რეფეპტის გარეშე ნებისმიერ პირზე (მათ შორის არასრულწლოვნებზე) ყიდიან ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, რომელთა ხშირი მოხმარება იწვევს ტოქსიკომანიას და ფსიქიკურ აშლილობას. ამ პრობლემის არსებობას ხელს უწყობს საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც იურიდიულ პირებს უფლებას აძლევს თავისუფლად შემოიტანონ საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერებები და მოახდინონ რეალიზაცია. უკანონო რეალიზაციის ფაქტების გამოვლების შემთხვევაში კი სახელწიფო ასეთ პირების მიმართ უპირისპირებს მხოლოდ ადმინისტრაციულ სახდელს, რაც არაეფექტურია, ვინაიდან აფთიაქის მფლობელები, მათი ბრუნვის მაშტაბებიდან მიღებული დიდი შემოსავლების გათვალისწინებით, უპრობლემოდ იხდიან ჯარიმებს. ფსიქოტროპულ ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შეჩერების და „საფთიაქო ნარკომანიის“ დამარცხების მიზნით, აუცილებლობას წარმოადგენს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმაების შესახებ“ კანონში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად ცვლილებების შეტანა და მათი სამართლებრივ სივრცეში დაბრუნებით კონტროლის მექანიზმების მოპოვება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება - 1/4/592
3. საქართველოს კანონი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ
4. საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქორტოპული ნივთიერებების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ
5. საქართველოს პროკურატურის სტატისტიკური მონაცემები
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები
7. ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები (ავტორი - ბეროზაშვილი)
8. საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის კვლევა 2017 წელი
9. გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტილული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

უცხოელებზე მიწის გაყიდვის დადებით და უარყოფითი მხარეები

კახაბერ ჭუმბაშვილი
სტუ დოქტორანტი

შესავალი

სასოფლო-სამეურნეო მიწებზე განხორციელებულმა რეფორმამ, რომელიც 1992 წელს მინისტრთა კაბინეტის #48-დადგენილების საფუძველზე წარიმართა, მიწების ეფექტური გამოყენების მხრივ სასურველი შედეგი არ გამოიღო, რაც განპირობებულია არასაკმარისი ინვესტიციების არსებობით ამ დარგში. შედეგად კი მივიღეთ გაღარიბებული სოფელი და დაკნინებული აგრალური სექტორი-შრომის დაბალი ნაყოფიერებითა და გაზრდილი დაუმუშავებელი მიწის ფართობებით.

აგრო სექტორში დაფინანსების წყაროს ნაკლებობამ, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, განაპირობა აქცენტირება გარე ინვესტიციებზე. რასაც 2012 წელს სამართებლივი მხარდაჭერა მოჰყვა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე (უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საშუალება ეძლეოდათ შეეძინათ მიწები შეუზღუდავი რაოდენობით).

კანონში განხორციელებულ ცვლილებას შედეგიც მოჰყვა, ქართული მიწით დაინტერესებულ არარეზიდენტ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს საშუალება მიეცათ შეზღუდვების გარეშე ჩართულიყვნენ სასოფლო-სამეურნეო მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესში. მაგრამ აქვე აღსანიშნავია, ის გარემოებაც შეძლებს თუ არა, მხოლოდ უცხოური კაპიტალი, სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებას, მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობის უკეთეს სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას.

საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების და დაცვის მიზნით. აღნიშნული პოლიტიკის საფუძველზე უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმები სასოფლო-სამეურნეო მიწის სამართლებრივი რეგულირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო მიწა, რეფორმა, უცხოელებზე შეზღუდვები.

SHOULD WE SELL THE LAND TO FOREIGNERS OR NOT?

Kakhaber Chumbashvili
PhD of GTU

The reform of agricultural land has not produced the desired results in terms of efficient land use, which is due to insufficient investment in this sector. As a result, we got to a poorer village and unprocessed arable land.

current situation in the agribusiness sector has got led to a focus on external investment. This was followed by legitimate support in 2012. on the basis of changes to the Law on Agricultural Land Ownership (foreign citizens were allowed to buy land in unlimited quantities).

The change in the law also resulted in non-resident natural or legal persons interested in Georgian land being able to engage in the process of buying agricultural land without restrictions. But it is also worth noting that only foreign capital can promote the development of the agricultural sector, increase land use efficiency and create better socio-economic conditions for rural people.

The Government of Georgia should develop a unified state policy on rational land use and protection of agricultural land ownership. This policy requires significant legislative reforms to legalize agricultural land.

Keywords: agricultural land, reform, restrictions on foreigners.

ძირითადი ნაწილი

მოგეხსენებათ, რომ მიწების რეფორმის დაწყებიდან გასულია თითქმის 27 წელი და ამ ხნის განმავლობაში ის სასურველი შედეგი, რომელიც მიწის რეფორმას უნდა მოეტანა ქართული სოციუმისთვის, (პირველი ის, რომ უნდა მომხდარიყო სრულყოფილი საკანონმდებლო სისტემის შექმნა რაც უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფდა საკუთრების რეგისტრაციას, გამიჯვნას და მესაკუთრეთა უფლებების დაცვას. მეორე ის, რომ რეფორმას უნდა გამოეწვია სასოფლო-სამეურნეო მიწების უფრო ეფექტური გამოყენება, რაც თავის თავში მოიცავს მიწების დამუშავებას, სოფლად მეტ დასაქმებას და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებას და მესამ ის, რეფორმას ხელი უნდა შეეშალა სოფლის მიგრაციისთვი), ჯერაც მიუღწევადია. მოკლეთ ქვეყანა დღესაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

არსებული მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია, სამართბლივ მხარეს თუ არ გავითვალისწინებთ, იმით, რომ ჩვენი რეგიონი განიცდის უცხოური ინვესტიციების სიმცირეს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტურია ქვეყნის ეკონომიკისთვის, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია განხორციელებული ინვესტიციების წარმოშობა, მიზნობრიობა და ინვესტიციების სწორად მართვა დარგის განვითარებისთვის.

სწორედაც, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა 2012 წელს „სასოფლო-სამეურნეო

ცხრილი 1

წელი	ნათესების ფართობი ჰა	მსხვილ რქოსანი პირუტყვი	ღორი	ცხვარი დათხა	სოფ.მერ.წილი მშპ
1990	**701,900**	**1,298,300**	**880,200**	**1,618,100**	**31,6%**
1995	**453,100**	**944,100**	**352,600**	**724,800**	**44,4%**
2000	**610,800**	**1,177,400**	**443,400**	**627,600**	**21,9%**
2005	**539,600**	**1,190,600**	**455,300**	**815,300**	**16,7%**
2006	**330,200**	**1,080,300**	**343,500**	**789,200**	**12,8%**
2007	**297,200**	**1,048,500**	**109,900**	**797,100**	**10,7%**
2008	**329,300**	**1,045,500**	**86,400**	**769,400**	**9,4%**
2009	**289,700**	**1,014,700**	**135,200**	**673,800**	**9,4%**
2010	**256,700**	**1,049,400**	**110,100**	**653,900**	**8,4%**
2011	**262,400**	**1,087,600**	**105,100**	**630,400**	**8,8%**
2012	**295,600**	**1,128,800**	**204,300**	**742,600**	**8,6%**
2013	**310,700**	**1,229,700**	**191,200**	**856,800**	**8,4%**
2014	**274.900**	**970.000**	**169.700**	**919.600**	**8,0%**
2015	**263.700**	**992.100**	**161.500**	**891.400**	**7,9%**
2016	**240.000**	**962.700**	**136.200**	**936.500**	**7,7%**
2017	**220.300**	**909.700**	**150.700**	**907.000**	**6,9%**
2018	**207.100**	**878.900**	**163.200**	**869.400**	**6,6%**

დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები, რითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საშუალება ეძლეოდათ შეეძინათ მიწები შეუზღუდავი რაოდენობით. ცვლილებას შედეგიც მოყვა, 2011 წელს უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ მთლიან ინვესტიციებში შეადგენდა 1,3%, ხოლო 2012 წელს ინვესტიციების წილი 2,3%-2,5%-მდე გაიზარდა.[1] მიუხედავად ამისა, დროის ამ პერიოდში განხორციელებულმა ინვესტიციებმა ვერ უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, დამუშავებული თუ მოწეული პროდუქციის მოცულობის ზრდა მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ), რაზეც შემდეგი მონაცემები მეტყველებს (იხ. ცხრილი1[2]).

ზემოთ მოყვანილი მონაცემები სრულფასოვან სურათს ვერ გვაძლევს, რადგან არც სახელმწიფოს მხრიდან ხდება დამუშავებული მიწის ნაკვეთების თუ მოსავლიანობის სრულყოფილი აღრიცხვა და მეორეს მხრივ ფერმერული მეურნეობების უმეტესობა არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას დამუშავებულ თუ მოწეული მოსავლის შესახებ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და მოსავლიანობის ზრდის ტენდენცია არ შეიმჩნევა.

ბოლო პერიობში უცხოელებზე გაყიდული მიწების რაოდენობა მცირეა (ცხრილი 2) საქსტატის მონაცემებით მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების 1% არ აღემატება, თუმცა საზოგადოების მხრიდა პროტესტი დიდია, რასაც ხშირ შემთხვევაში ზოგიერთ რეგიონებში მოჰყვა სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტები, რაც განპირობებული იყო მოსახლეობის არა ინფორმირებულობით გასასხვისებელი მიწის ნაკვეთების თაობაზე, რაც პროცესებს უფრო ძაბავს. ხშირია შემთხვევები კახეთის რეგიონში, ქვემო ქართლში, სადაც დიდია ინტერესი მიწების ყიდვის უცხოელი ინვესტორების მხრიდან.

ცხრილი2[3]

2003-2013წლები, სახელმწიფოს მიერ გასხვისებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები რეგიონების მიხედვით

რეგიონები	ჰა
თბილისი	**889**
მცხეთა-მთიანეთი	**7463**
შიდა ქართლი	**11075**
ქვემო ქართლი	**67033**
კახეთი	**83294**
იმერეთი	**2235**
რაჭა-ლეჩხუმი	**229**
სამეგრელო	**9018**
გურია	**1930**
აჭარა-ზემო სვანეთი	**4041**
სამცხე-ჯავახეთი	**32573**

1 კვლევა „ლიბერალური აკადემია-თბილისი“ 2014 წელი
2 საქსტატი

3 საქსტატი

უნდა აიკრძალოს თუ არა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა? რა უფრო უმტკივნეულოდ აისახება ჩვენს რეალობაზე, უცხოური ინვესტიციების შეზღუდვა თუ უცხოელებზე გაყიდული მიწების საფრთხე? ამ საკითხის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს პოლიტიკოსებს, ექსპერტებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებში.

„საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს" წარმომადგენელი თეო ზაქარეიშვილის აზრით: ბლანკეტური აკრძალვა, უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვის თაობაზე, საინვესტიციო გარემოს დააზიანებს და უცხოური ინვესტიციების შემოსვლას ხელს შეუშლის.

ექსპერტი გია ხუხაშვილი აღნიშნავს,რომ „როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა , უცხოელებზე მიწების გასხვისება საინვესტიციო გარემოსთვის არანაირი შედეგის მომტანი არ ყოფილა, ამიტომ დრამატიზირება იმისა, რომ მიწების მიყიდვის აკრძალვა საინვესტიციო გარემოს გააუარესებს, არა ღირს. ეს ევროპის პრაქტიკამაც აჩვენა"

„ნაციონალური პარტიის" წევრის გიორგი ბოტკოველის აზრით: უცხოელებზე მიწების მიყიდვის აკრძალვა ქვეყნის საინვესტიციო გარემოს დაზიანებს. მთავრობა არა საერთოდ შეზღუდვაზე, არამედ რეგულაციების გამარტივებაზე უნდა ფიქრობდესო.

ბექა ნაცვლიშვილი საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება". „მიმაჩნია, რომ უცხოელებზე მიწა არ უნდა გასხვისდეს. ჩვენ ჯერ არ გვაქვს დადგენილი მიწის ბალანსი, ანუ არ არის აღრიცხული მიწა-ვისია, რაკ კატეგორიაა და ა. შ. ამასთან არ გვაქვს მიწის მართვის სამსახური, რომელმაც მიზანმიმართულად უნდა მართოს მიწის გასხვისების პროცესი. აქედან გამომდინარე, სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება, მიწების გასხვისებაზე, განსაკუთრებით უცხოელებზე, ლაპარაკი არ უნდა ოყოს. სახელმწიფოს მთელი მიწის რესურსი ოპტიმალური გამოყენებისთვის მაქსიმალურად უნდა ამოიწუროს საკუთარი მოსახლეობის შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. საინვესტიციო გარემოს რაც ეხება, საქართველოში შემოდის ძალზე მდარე ხარისხის ინვესტიციები, რომლებიც თითქმის არანაირ დამატებით ღირებულებას არ ქმნიან"[4]

ასე, რომ ამ დროისთვის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" (25/06/2019 წ) ორგანული კანონის თანახმად სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვები უცხო ქვეყნის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე შეჩერებულია, რაც იმით არის განპირობებული, რომ არ გვაქვს დადგენილი მიწის ბალანსი, არ არის აღრიცხული მიწების კატეგორია, რა ოდენობის და კატეგორიის მფლობელია სახელმწიფო და რა რაოდენობას ფლობს კერძო სექტორი, მიწები არ არის მოქცეული ერთიან კადასტრში და შესაბამისად არ არის ნაკვეთები ერთმანეთისგან გამიჯნული, რაც ართულებს ზუსტად გავერკვეთ , თუ რა ოდენობის სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ან იჯარით გაცემის შესაძლებლობა აქვს ქვეყანას, ასევე არ გვაქვს მიწის მართვის სამსახური, რომელმაც მიზანმიმართულად უნდა მართოს მიწის გასხვისების პროცესი.

არსებული გამოწვევების საპირწონეთ შეგვიძლია ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნების გამოცდილება გავიზიაროთ, რომლებიც ანალოგიური დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელშიც დღეს საქართველოა, (2003 ევროკავშირში მიერთებული ქვეყნები: ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი) მიეცად 7-დან 12 წლამდე სატრანზიტო პერიოდი, რომლის დროსაც მათ მიეცათ უფლება უცხოელებზე შეზღვუდების შესანარჩუნებლად. აღნიშნული რეგულაციები ამ პერიოდის შემდგომ კვლავ გაგრძელდა, თუმცა მიუხედავათ გატარებული მკაცრი ღონისძიებებისა ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში, უცხოელებზე მიწების გასხვისების სტატისტიკა კვლავაც მაღალია. ამიტომ საქართველოს, აუცილებლად ესაჭიროება, მაქსიმალურად გამოიყენოს ევროკავშირის ახალი წევრ ქვეყნების გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო მიწების პოლიტიკის შემუშავების დროს.

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფოის მხრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების საკითხს, აქ მნიშვნელოვანია რამოდენიმე ძირითადი რეგულაციების გათვალისწინება, რაც მომავალში აუცილებლად წაადგება ჩვენი ქვეყნის მიწის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს.

მიწის მოცულობის რეგულირება: მაგალითად: რიგ ქვეყნებში კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაძენ თუ იჯარით გასაცემ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ზედა და ქვედა ზღვარი. 5 ჰა-დან 150-200 ჰა-მდე.

სპეციალური რეჟიმის დაწესება სტრატეგიულად მგრძნობიარე ტერიტორიებზე: ბევრ რიგ ქვეყნებში საზღვრის პირა ტერიტორიები ან არ იყიდება, ან სჭირდება სპეციალური ნებართვა თავდაცვის უწყებიდან.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეობა: ამ მხრივაც არის შეზღუდვები, ევროკავშირის არარეზიდენტს იმ შემთხვევაში შეუძლია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შეძენა, თუ იგი აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, მაგ: სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში უნდა იყოს ევროკავშირის მოქალაქე, ასევე ბიზნეს გამოცდილება და აკადემიური განათლება აგრო სფეროში.

სახელმწიფო ინსტიტუტების როლი: რიგ ქვეყნებში უცხოელებზე მიწის გასხვისებას სჭირდება სხვადასხვა უწყებების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, სამინისტროებისა ან სპეციალურად შექმნილი ორგანიზაციების თანხმობა. ასევე სახელმწიფო იტოვებს უპირატესი შესყიდვის უფლებას,

4 უნდა აიკრძალოს თუ არა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების ... europress.ge/2017/05/13/უნდა...

რასაც, რიგ შემთხვევებში მიწების კონსოლიდაციის ან არაეფექტური გამოყენების დროს, მძლავრი რეგულაციის სახით იყენებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

მიწის ფასის რეგულირება: მრავალ ევროკავშირის ქვეყანაში სახელმწიფო უშუალოდ ერევა სასოფლო-სამეურნეო მიწის გასაყიდი ფასის დადგენაში.

ცხრილი 3

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი ევროებში ერთ ჰა

ინგლისი	**15000**
ბელგია	**15000**
იტალია	**16000**
დანია	**16000-20000**
საფრანგეთი	**11000-13000**
ესპანეთი	**8000-12000**
პოლონეთი	**6000-7000**
უნგრეთი	**5000-7000**
ლიტვა	**3000-3500**
რუმინეთი	**1500-2800**
საქართველო	**125 -400**

მოკლეთ, რომ ამ საკითხის გარშემო საფიქრალი და სამუშაო ნამდვილად საკმარისზე მეტია. ნუ შევეცდებით ახალი ველოსიპეტის გამოგონებას და გამოვიყენოთ დღემდე არსებული უცხოური გამოცდილება, რომელიც ყველაზე ოპტიმალურად უზრუნველყოფს არსებული მდგომარეობის დარეგულირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვლევა „ლიბერალური აკადემია-თბილისი“ 2014 წელი
2. საქსტატი
3. უნდა აიკრძალოს თუ არა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა europress.ge/2017/05/13
4. სასოფლო-სამეურნეო მიწების 30 30 ათასი ჰექტარი უცხოელებზეა გაყიდული...geoworld.ge/ge/4473.
5. საქართველოში მიწების უცხოელებზე გაყიდვა კონსტიტუციით აიკრძალება... imedinews.ge/ge/theme/94/saqartveloshi-mitsis…

ინვესტიციები განათლებაში და განათლების როლი კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაში

ნანა სულაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ადამიანური კაპიტალის ფორმირების პროცესის ის თავისებურებები, რომლებიც, განათლების განვითარების ერთ – ერთი მთავარი ფაქტორია. განვიხილავთ ადამიანური კაპიტალის კონცეფციას, გამოვლენილია მისი ნიშნები, მიმოხილულია განათლების სისტემაში არსებული ვითარება და მისი როლი ადამინისეული კაპიტალის ფორმირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში უმნიშვნელოვანესი ყურადღება ენიჭება საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის თეორიისა და პრაქტიკის სხვადასხვა ასპექტებს, საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანი მმართველლობითი კონცეფციის შემუშავება ჯერ-ჯერობით განვითარებად ეტაპზეა. "ადამიანური კაპიტალის" კონცეფცია მეცნიერებაში შევიდა XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში. დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ კონცეფციის ინტერესის გაჩენის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ეს არის თანამედროვე მეცნიერების განვითარების ზოგადი კანონზომიერება, რომელიც გამოიხატება მეცნიერების კვლევის კონცენტრაციაზე ადამიანის პრობლემები შესახებ. მეორეც, ეს იმ ფაქტის აღიარებაა, რომ ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურება, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბება ყველაზე ეფექტური გზაა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, ადამიანური პოტენციალი, განათლება, საგანმანათლებლო კაპიტალი, კონკურენტუნარიანობა, ცოდნის ეკონომიკა.

РЕЗЮМЕ

В статье представлены особенности процесса формирования человеческого капитала, который является одним из ключевых факторов развития образования. Мы обсудим понятие человеческого капитала, определим его особенности, рассмотрим текущую ситуацию в системе образования и ее роль в формировании человеческого капитала.

Хотя различные аспекты теории и практики управления образованием в развитых странах имеют большое значение, разработка концепции эффективного управления образовательными учреждениями в Грузии все еще находится в стадии разработки. Понятие «человеческий капитал» было введено в науку в начале 1960-х годов. Существует две основные причины этой концепции интереса к западной экономической литературе. Прежде всего, это общий порядок развития современной науки, который выражает концентрацию научных исследований на проблемах человека. Во-вторых, это признание того, что активизация своего творческого потенциала, создание высококвалифицированной рабочей силы является наиболее эффективным способом достижения экономического роста в любой стране.

Ключевые слова: человеческий капитал, человеческий потенциал, образование, образовательный капитал, конкурентоспособность, экономика знаний.

* * * *

ადამიანური კაპიტალი ადამიანის მიერ ინვესტიციების შედეგად დაგროვილი ფიზიკური ჯანმრთელობის, ცოდნის, უნარების, შესაძლებლობებისა და მოტივაციების გარკვეული მარაგია, რომელიც გამოიყენება შრომის ამა თუ იმ სფეროში მოხმარებისათვის და მოაქვს შემოსავლები როგორც დასაქმებულისათვის, ასევე დამსაქმებლისათვის[1]. ადამიანური კაპიტალის კონცეფცია შემუშავებულ იქნა XX საუკუნის 60-იან წლებში. ეკონომისტმა ტ. შულცმა პირველად გამოიყენა ტერმინი „ადამიან-კაპიტალი", რომელშიც გულისხმობდა ადამიანში ინვესტიციების ერთობლიობას, რაც ამაღლებს მის შრომისუნარიანობას[2]. შულცის იდეები განავითარეს ე.წ. "ჩიკაგოს სკოლის" წარმომადგენლებმა (გ. ბეკერი, პ. ბოვენი, ე. ჰანსენი), რომლებმაც ჩამოაყალიბეს ადამიანური კაპიტალის კონცეფციის ძირითადი დებულებები. ნობელის პრემიის ლაურეატის გ. ბეკერის მიხედვით, „ადამიან-კაპიტალი წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილი შესაძლებლობე-

1 Campbell R. McConnell, Stanley L. Brue, Sean M. Flynn. Economics: Principles, Problems, and Policies. McGraw-Hill Education. 19th edition. 2011

2 Schultz, T. Investment in Human Capital, The American Economic Review, 1961 51 (1), 1-17

ბის, შეძენილი უნარების, ცოდნის და მოტივაციების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის და წარმოადგენს ადამიანისა და საზოგადოების შემოსავლის წყაროს“[3].

კემბრიჯის სკოლისა და ნეოკლასიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, ა. მარშალი უშუალოდ უკავშირებს სიმდიდრის დაგროვებას ადამიანის განვითარებასთან: ”სიმდიდრის წარმოება არის ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება, მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მისი განვითარება - ფიზიკური, გონებრივი და იმპლიციდური. მაგრამ თავად ადამიანი არის სიმდიდრის წარმოების მთავარი საშუალება და ის ასევე ემსახურება სიმდიდრის საბოლოო მიზანს ...[4] ”. ადამიანები წარმოადგენენ ორგანიზაციის მნიშვნელოვან რესურსს, ისინი განსაზღვრავენ კომპანიის სამომავლო სტრატეგიას, თვით სტრატეგიების რეალიზაცია ხდება ადამიანების მიერ. ორგანიზაციის მიერ შერჩეული სტრატეგიის წარმატება დამოკიდებულია არა მარტო წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებებზე, არამედ ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანების მიერ ამ გადაწყვეტილებების ეფექტიან რეალიზაციაზე. ღირებულებათა შექმნაში სწრაფად იზრდება ადამიანური რესურსების როგორც არამატერიალური აქტივების როლი. სახელდობრ, ეს არამატე-რიალური აქტივები დღეისათვის წარმოადგენს ქვეყნის ღირებულების შექმნის გადამწყვეტ ფაქტორს. დღეისათვის კომპანიების აქციების ღირებულებას მეტწილად განსაზღვრავს საწარმოს ინტელექტუალური, ადამიანური და სტრუქტურული კაპიტალი, ე.ი. კაპიტალი, რომელიც უზრუნველყოფს მის უნარს შექმნას ახალი ღირებულება მსოფლიოში დაგროვილი საწარმოო სიმძლავრეების დახმარებით. თანამედროვე დასაქმებულის შრომის გონებრივი ხასიათი ცვლის მის მდგომარეობას - დაქირავებული მომუშავის პოზიციიდან, ინტელექტუალური კაპიტალის ინვესტორის პოზიციით. ინტელექტუალური კაპიტალის განმანსხვავებელი თავისებურებაა მისი ყველგან არსებობა და მრავალმხრივობა. ინტელექტუალური კაპიტალი აღწევს ნებისმიერი საწარმოს როგორც მატერიალურ, ასევე ფინანსურ და შრომით სფეროში. ასეთ ვითარებაში ინტელექტუალური კაპიტალის მფლობელის როლი ბიზნესში, საკმაოდ დიდია. დღეს ისინი სხვადასხვაგვარად მოიხსენიებიან - როგორც ინტელექტუალური თანამშრომლები (Knowledge workers), მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები, მეცნიერები ან მეცნიერ-თანამშრომლები, „ოქროს საყელოები“. თუმცა, როგორც არ უნდა უწოდონ მათ, ისინი აღარ არიან საწარმოს არა უბრალო თანამშრომლები, არამედ მეწარმეები და ინვესტორები არიან. მაღალი პროფესიონალიზმი და ცოდნა მათ საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, განახორციელონ პროფესიული საქმიანობა წარმოების პროცესში, მეორე მხრივ კი მონაწილეობა მიიღონ საწარმოს მართვასა და მფლობელობაში. ისინი ერთდროულად ახერხებენ იყვნენ დაქირავებულები და განახორციელონ საკუთარი სამეწარმეო საქმიანობა. დასავლეთში საკმაოდ გავრცელებულია, ე.წ. ადამიანური კაპიტალის თეორია. ამ თეორიის მიხედვით, მომუშავეთა ცოდნა და კვალიფიკაცია მიჩნეულია თვით მათ კუთვნილებად, რომელსაც მოაქვს შემოსავალი; ამ ცოდნისა და ჩვევების მიღებაზე დროისა და ხარჯების დანახარჯები მიჩნეულია ინვესტიციებად. ამჟამად ადამიანურ კაპიტალში დაბანდებათა აღრიცხვის ორი სახის მოდელი არსებობს; აქტივების მოდელები, როცა ხდება ადამიანურ კაპიტალში დანახარჯების აღრიცხვა და სარგებლიანობის მოდელი, როცა ხდება ასეთი დანახარჯების ეფექტიანობის შეფასება. ადამიანური რესურსების განვითარებაში დაბანდებული კაპიტალი ერთერთი ძვირად ღირებული ინვესტიციაა, მაგრამ, როგორც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, ეს, ამავდროულად, ყველაზე ეფექტიანი, მომგებიანი ინვესტიციებია. რასაკვირველია, ადამიანური რესურსების განვითრებაში დაბანდებული კაპიტალის ეფექტიანობა შედარებით ადვილად და კონკრეტულად შეიძლება შეფასდეს საქმიანობის ისეთ სფეროებში (უპირველესად წარმოებაში, ასევე მომსახურების სფეროში), სადაც შრომის ეფექტიანობა მისი უშუალო შედეგებით და კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრებით განისაზღვრება. ამრიგად, ადამიანური კაპიტალის ერთეულს წარმოადგენს არა თავად სპეციალისტი, არამედ მისი ცოდნა, უნარები. პიროვნების შესაძლებლობები და ცოდნა აღიარებულია, როგორც კაპიტალის განსაკუთრებული ფორმა იმის საფუძველზე, რომ ის არის პირადი აქტივი, პირის სიმდიდრე - მომავალში უზრუნველყონ უფრო მეტი შემოსავალი: მათ აგრეთვე შეუძლიათ ხელფასის სახით არა მხოლოდ ფულადი შემოსავლის შემოტანა, არამედ ფსიქოლოგიური კმაყოფილების მიწოდებაც - აქვთ დაგროვების უნარი. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური კაპიტალი ყალიბდება მთელი ცხოვრების განმავლობაში, სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული, ეკონომიკური, ინსტიტუციური და სხვ. ფაქტორების ზეგავლენის ხარჯზე.

დღეს განათლება ხდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. პაპი

3 Becker G. Human Capital, 2nd edn. Columbia University Press, New York, 1964

4 Маршалл А. Принципы политической экономии. – М.: Прогресс, 1983. с.416

იოანე პავლე II თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა: "ერთ დროს წარმოების გადამწყვეტი ფაქტორი მიწა იყო, შემდეგ კაპიტალი... დღეს გადამწყვეტი ფაქტორი თავად ადამიანია და მისი ცოდნაა...."[5]. საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში შესვლისკენ საქართველოს სწრაფვამ, ქვეყნის შიდა საგანმანათლებლო პოლიტიკამ განაპირობა განათლების სისტემისადმი დამოკიდებულების შეცვლა, რაც გამოიხატა, სხვა საკითხებთან ერთად, ცოდნის მაძიებელი ადამიანების შესაძლო სტრატეგიების ფოკუსირებაზე, მათ მოტივაციასა და ხელმისაწვდომ რესურსებზე. დღეს განათლებაა ადამიანურ კაპიტალში ინვერტირების მთავარი მიმართულება, რამდენადაც ის მოითხოვს დროისა და ფინანსების საკმაოდ მაღალ დანახარჯებს. თანხების ჩადებისას განათლებაში, მოსწავლეები და მათი მშობლები, როგორც გ. ც. ბეკერი აღნიშნავდა, ელოდებიან მოსალოდნელ უკუგებას ალტერნატიული საინვესტიციო სარგებელის სახით (საბანკო დეპოზიტების პროცენტი, დივიდენდები ფასიანი ქაღალდებიდან და ა.შ.)[6]. განათლების აქტუალობა და როლი ადამიანის პოტენციალის ეფექტურ განვითარებაში ასევე დასტურდება იმით, რომ ამჟამად ეს კონკრეტული კომპონენტი ითვლება ინვესტირების ერთ – ერთ ყველაზე მომგებიან ტიპად. მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ინვესტიციები ჯანმრთელობისა და განათლების სფეროში[7]. ადამიანური კაპიტალის თეორიის წყალობით, დღეს ინვესტიციები განათლებაში განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის წყარო, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვეულებრივი ინვესტიციები. ადამიანური კაპიტალი არა მხოლოდ ახალი ცოდნის მატარებელია, არამედ მისი შემქმნელიც - სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის მამოძრავებელი ძალა. მეცნიერების განვითარების შედეგები მოიცავს არა მხოლოდ შექმნილ ინტელექტუალურ პროდუქტებს, რომელთა საფუძველზეც შემდეგ ჩნდება ახალი ტექნოლოგიები და მომსახურება, არამედ თვით ამ პროცესში მონაწილეთა ტრანსფორმაცია, რომლებიც ხდებიან ახალი ცოდნისა და თვისებების მატარებლები. ზოგადი განათლების, ტრენინგის და ჯანმრთელობის ხარჯები აღარ განიხილება არაპროდუქტიულ ხარჯებში. კაპიტალი განათლებაში ხასიათდება იგივე მახასიათებლებით, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის კაპიტალი. ამასთან, ეკონომიკური კაპიტალისგან განსხვავებით, ეკონომიკური საგანმანათლებლო კაპიტალი არ გულისხმობს რაოდენობრივ შემცირებას და ამორტიზაციას, მაგრამ წარმოადგენს მისი განვითარების გაგრძელებას ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების გზით, მათ შორის ფორმალური და არაფორმალური სწავლის გზით. ცოდნის შეფერხების და უნარების დაკარგვის შემთხვევაში, საგანმანათლებლო კაპიტალის მორალური ცვეთა ხდება. განათლების როლი საზოგადოების განვითარებაში და სახელმწიფოს კეთილდღეობის უზრუნველსაყოფაში შეუფასებელია, რამდენადაც სწორედ საზოგადოების განათლების დონეზეა დამოკიდებული სახელმწიფოს შესაძებლობა დარჩეს კონკურენტუნარიანი მსოფლიო არენაზე. როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილე ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარების პროცესში, სახელმწიფო უშუალო გავლენას ახდენს ამ პროცესზე სახელმწიფო სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების გზით.

ყოველივე ეს დასტურდება ისეთი ქვეყნების გამოცდილებით, როგორიცაა ჰონკონგი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, სადაც ინვესტიციები განათლებაში, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის შექმნისას ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის. მსოფლიო ბანკის ცოდნის ეკონომიკის ინდექსის (მონაცემები 2017) და ინოვაციების გლობალური ინდექსის (მონაცემები 2018) თანახმად, ცოდნის ეკონომიკის განვითარების კუთხით ლიდერობენ ისეთი ქვეყნები როგორებიცაა: შვედეთი, ფინეთი, დანია, ნორვეგია, ახალი ზელანდია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, შეერთებული შტატები.[8] საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციაც შეუძლებელია ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირების გარეშე. თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყანა ადამიანური კაპიტალის განვითარების მაჩვენებლებით ბევრად ჩამორჩება მსოფლიო ლიდერებს[9]. ქვეყნის არსებული მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია განათლების სისტემების განუვითარებლობით და იმ ფაქტით, რომ ადამიანური პოტენციალი ძირითადად გამოიყენება არამიზნობრივად. საქართველო არის ქვეყანა არასაკმარისი განათლების დონით რეალური ეკონომიკის სტრუქტურისადმი. ეს განპირობებულია უმაღლეს განათლებაში არსე-

5 Нордстрем К., Риддестрале Й. Бизнес в стиле фанк. Капитал пляшет под дудку таланта. Стокгольмская школа экономики в Санкт-Петербурге; Санкт-Петербург; 2005 გვ.34

6 Беккер Г. С. Человеческое поведение: экономический подход. Избранные труды по экономической теории. – М.: ГУ ВШЭ, 2003. – 672

7 Добрынин А. И., Дятлов С. А., Цыренова Е. Д.Человеческий капитал в транзитивной экономике. – М.: Наука, 1999. с.312; Каражакова Д. А. Человеческий капитал и его роль в формировании инновационной экономики: автореф. дис. … канд. экон. наук. – СПб., 2007. с.18

8 Education at a Glance 2018 OECD INDICATORS http://www.cnedu.pt/content/noticias/internacional/Education_at_a_glance_2018.pdf

9 International Human Development Indicators : http://hdrstats.undp.org/en/tables

ბული პრობლემებით, რომელთა ორგანიზაციული მექანიზმები მნიშვნელოვნად განსხვავდება და ჩამორჩება განათლების დასავლურ მოდელებს. დღეისთვის ნათელი ხდება, რომ მომავალი იმ ქვეყნებსა და ერებს აქვთ, რომლებიც სხვებს აჯობებენ ახალი ცოდნის ათვისებაში, სამეცნიერო მიღწევებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში. განათლების დონე და ხარისხი განაპირობებს როგორც ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობას, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო ფუნქციის რეალიზაციაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ისეთი რთული სოციალური ინსტიტუტი, როგორიცაა განათლების სისტემა. საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ გამოიწვია სერიოზული ცვლილებები უმაღლესი განათლების სფეროში. ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი, რომელიც სთავაზობს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების უმაღლესი სასწავლებლის ფართო არჩევანს. თითოეული მათგანი მომხმარებელს სთავაზობს არა მარტო სპეციალობების ფართო არჩევანს, არამედ სწავლების სხვადასხვა მეთოდებს. მნიშვნელოვნად განსხვავდება მათ მიერ შემოთავაზებული მომსახურების საფასურიც. საქართველოში მიმდინარე განათლების სისტემის ძირეულმა რეფორმამ, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მცდელობამ და საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბებამ უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დააყენა უამრავი თეორიული და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პრობლემა, რომლებიც მკაცრ კონკურენციულ პირობებთან ადაპტაციის აუცილებლობასთანაა დაკავშირებული. ნათელია, რომ აღნიშნულ პირობებში აუცილებელია შემუშავებული იქნას საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სრულყოფის ახალი მიდგომები და მიმართულებები. ამისათვის კი ერთერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია მარკეტინგული საქმიანობა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო სფეროს საბაზრო ტრანსფორმაციისა და, პირველ რიგში, მისი განვითარების თანამედროვე მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებისა და პრაქტიკულად დანერგვის პრობლემები. XXI საუკუნე გარდამტეხი გახდა განათლების სისტემის განვითარებაში. შეიცვალა განათლების მიზნები, მნიშვნელოვნად გაიზარდა უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ცოდნის მქონე ადამიანთა რიცხვი. ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესები მოითხოვენ მომავალი სპეციალისტების მომზადების სისტემაში ინოვაციურ მიდგომას. განათლება თავისი არსით არის ინოვაციური სფერო, ვინაიდან ეფუძნება სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ პროდუქცირებული ახალი ცოდნის მუდმივ გამოყენებას. საგანმანათლებლო სისტემის კადრები ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომლებიც, სამეცნიერო მუშაკებისაგან განსხვავებით, ასრულებენ ისეთ სოციალურ ფუნქციას, როგორიცაა მომავალი თაობის აღზრდა, აგრეთვე უკვე ცნობილი თეორიული მიდგომების, კონცეფციების, დასკვნების ტირაჟირება და გარკვეული პრაქტიკული უნარჩვევების გავრცელება. სასწავლო პროცესის აღნიშნული მხარეებიც ატარებენ გარკვეულწილად ინოვაციურ ხასიათს. უკანასკნელ წლებში აღინიშნება ახალგაზრდების სწრაფვა, შეიძინონ უფრო მაღალი კვალიფიკაცია, რასაც, სავარაუდოდ, განპირობებს შემდეგი:

- უმაღლესი განათლების პრიორიტეტი საშუალოსთან შედარებით;
- უმაღლესი განათლების მისაწვდომობა, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის შემოსავლების დონის ზრდასა და სწავლების ფასიანი ფორმის არსებობასთან;
- კარგი სამსახურისა და სამუშაო ადგილის ალტერნატიული არჩევანის შეძენის სურვილი;
- ჩამოყალიბებული აზრი, რომ განათლების მაღალ დონეს მივყავართ მაღალ შემოსავლებთან და, კერძოდ, შრომის მაღალ ანაზღაურებასთან.

რა თქმა უნდა, ადამიანი, რომელიც ფლობს ცოდნის გარკვეულ მარაგს, უფრო კონკურენტუნარიანი და კრეატიულია. სახელმწიფოსთვისაც ყოველივე ამას მოაქვს დადებითი შედეგები, რადგან განათლების დონის ზრდას მივყავართ ქვეყნის ადამიანური პოტენციალის ამაღლებასთან. საწარმოებსა და ფირმებში საჭიროა მცოდნე, განათლებული კადრები, ვინაიდან ახალი ტექნოლოგიები მოითხოვენ მაღალ შესაძლებლობებს. თუ ადრეულ ეპოქებში საკმარისი იყო რაიმე ხელობის შესწავლა, რათა ადამიანს თერძობით ან მეწაღეობით მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყო საკუთარი და ოჯახის მოთხოვნილებები, დღეისათვის სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური პროცესები მოითხოვენ, რომ ადამიანის, როგორც წარმოების მთავარი ფაქტორის, კვალიფიკაციის ამაღლება მინიმუმ 5 წელიწადში ერთხელ მოხდეს.[10]

ეკონომისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ადამიანური რესურსები და არა კაპიტალი და ბუნებრივი სიმდიდრე განსაზღვრავენ მთლიანობაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხა-

10 ლ. ხურცია, საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. დისერტაცია. თბ. 2006. გვ. 96.

სიათს და ეტაპებს. ადამიანური რესურსები სახელმწიფოს ძირითადი სიმდიდრეა. კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები წარმოების პასიური ფაქტორებია, ხოლო ადამიანი მისი აქტიური ნაწილია, რომელიც ახდენს კაპიტალის დაგროვებას, იყენებს ბუნებრივ რესურსებს, ქმნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ორგანიზაციებს და განვითარების წინაპირობას. ქვეყანა, რომელსაც არ ძალუძს ადამიანების ცოდნისა და უნარის ეფექტური გამოყენება ეკონომიკაში, დასაღუპადაა განწირული. მსოფლიო ბანკის უახლესი დასკვნები მეტყველებენ იმაზე, რომ ამ ქვეყნების 64%-ის ეკონომიკური ზრდა განპირობებულია ადამიანური კაპიტალის განვითარებით.[11] ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები ნათლად მიანიშნებენ შედარებით ახალი მოვლენის შესახებ, რომელსაც შეიძლება ცოდნის ეკონომიკა ვუწოდოთ.[12]ფაქტია, რომ თანამედროვე ეკონომიკური პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა ადამიანი, რომელიც წარმოადგენს კაპიტალში გამოხატული ცოდნის დაგროვების სუბიექტს. ადამიანი თვითონ იქცა თავისი წარმატების საფუძვლად და ეს წარმატება აღარაა დამოკიდებული მემკვიდრეობაზე, გენეალოგიასა თუ სხვა პირობებზე. განმსაზღვრელი ფაქტორი ამ წარმატებისა არის კონკურენტუნარიანი ცოდნა, რომელსაც ადამიანი აგროვებს მთელი სიცოცხლის მანძილზე. ცოდნის ეკონომიკა მზარდ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ წარმატებაზე. თუ დავესესხებით ნეოკლასიკურ თეორიას, ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს კაპიტალის დაგროვებისა და სამუშაო ძალის ზრდის შედეგს წარმოების ხარჯების შემამცირებელი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვასთან ერთად. ცოდნის ეკონომიკის გათვალისწინებით კი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებული გახდა ადამიანისეულ ფაქტორზე, რომელიც საწარმოო პროცესებში მონაწილეობს მუდმივად განახლებადი ცოდნის კაპიტალის სახით. რაც მეტია და ახალი დაგროვილი ცოდნა და რაც უფრო შეესაბამება იგი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, მით უფრო მაღალია კაპიტალში შეფასებული ადამიანისეული ცოდნის მაჩვენებელი[13].

ყოველი სახელმწიფოს ინტერესში უნდა შედიოდეს ინვესტიციების განხორციელება „ადამიანისეულ კაპიტალში". უილიამ შვეკე, ავტორი წიგნისა „ჭკვიანი ფული", თვლის, რომ მსოფლიოს ქვეყნები, პირველ რიგში, უნდა ახდენდნენ სახსრების ინვესტირებას „ადამიანურ კაპიტალში". მისი აზრით, ინვესტიციებს ჯანდაცვაში, განათლებასა და პროფესიულ სწავლებაში შეუძლია დადებითად იმოქმედოს არა მხოლოდ შრომის მწარმოებლურობაზე, არამედ მნიშვნელოვნად შეამციროს ისეთი სოციალური პრობლემების სიმძაფრე, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, დამნაშავეობა, სიღარიბე და სხვა, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება ეროვნულ ეკონომიკებს[14].

რუსი მეცნიერების აზრით, ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები პირობითად შეიძლება ორ, პირდაპირ და ირიბ, ინვესტიციებად დავყოთ. პირდაპირს მიეკუთვნება დანახარჯები ადამიანის განათლებასა და პროფესიულ გადამზადებაზე, ხოლო ირიბს - ხარჯები სამედიცინო მომსახურებასა და სხვა სახის სოციალურ უზრუნველყოფაზე. პირდაპირი დაბანდება ადამიანურ კაპიტალში ზრდის ამ კაპიტალის მოცულობას, ხოლო ირიბი – ახანგრძლივებს ამ კაპიტალის ექსპლუატაციის ვადას, აუმჯობესებს მის ქმედუნარიანობას, ამცირებს ავადობას და სიკვდილიანობას[15]. არსებობს დამაჯერებელი არგუმენტები იმისა, რომ განათლების სფეროში ინვესტიციები მომგებიანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. გამოწვევა, რომელსაც აყენებს თანამედროვე გლობალური ეკონომიკური ტენდენციები, უკვე მიღებულია განვითარებადი ქვეყნების მიერ. ეს არის გამოწვევა საქართველოსთვისაც, რომლის შესახებ დაახლოებით ერთი საუკუნის წინ გვამცნო ილია ჭავჭავაძემ. ქვეყანამ, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს ცნობილი იყო თავისი ინტელექტუალური პოტენციალით, ამ გამოწვევას პასუხი რაც შეიძლება მალე უნდა გასცეს. საქართველო ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყანას არ წარმოადგენს. ამიტომ როდესაც ჩვენი ქვეყნის მომავალ პერსპექტივებზე ვსაუბრობთ, ძირითადად, მოხერხებული გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ჩვენი ერის ინტელექტუალური პოტენციალის იმედი უნდა გვქონდეს. ცხადია, ერთსაც და მეორესაც გამოყენება უნდა. იმისათვის, რომ ჩვენი ერთ ერთი მთავარი იმედი - ინტელექტუალური პოტენციალი სრულფასოვნად იქნეს რეალიზებული, დიდი ძალისხმევის გამოჩენაა საჭირო, პირველ რიგში, აუცილებელია საშუალო და უმაღლესი განათლების ხარისხიანი, ეფექტური სისტემის შექმნა.

11 http://www.worldbank.org/reference/

12 ლ. ჩიქავა, ინოვაციური ეკონომიკა. თბ., "სიახლე". 2006. გვ. 103

13 ხურცია ლ., ცერცვაძე ვ. ინვესტიცია ინტელექტში – გლობალური გამოწვევა განვითარებადი ქვეყნებისათვის. //ჟურ. „ბიზნესი და მენეჯმენტი"

http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=0&mas=615

14 Schweke W. Smart Money: Education and Economic Development. July 7, 2004 https://secure.epi.org/files/page/-/old/newsroom/releases/2004/07/040708-schweke-pr1.pdf

15 Л.Бреслав, Б.Лисовик, И.Ломова.Кадровый потенциал и пути его повышения. Человек

и труд. 2003. № 4. გვ. 52.

განათლება და სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე ხელს უწყობს ხანგრძლივ ეკონომიკურ ზრდას

დაწყებითი და საშუალო განათლების გაფართოება ხელს უწყობს ხანგრძლივ ეკონომიკურ ზრდას. ხარისხიანი განათლება და კვალიფიცირებული კადრები ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ტექნოლოგიურ ცვლილებებს. აღმოსავლეთაზიური „ეკონომიკური საოცრება" და ლათინოამერიკული „დაკარგული ათწლეულები" აიხსნება განათლების სისტემებისა და პოლიტიკის ხარისხის განსხვავებებით. ხარისხიან საშუალო და უმაღლეს განათლებაში დაბანდებული ინვესტიციები წარმოადგენენ ნებისმიერი ქვეყნის აყვავების აუცილებელ პირობას.

იმისათვის, რომ განათლებამ შეინარჩუნოს ეკონომიკური ზრდის ძრავის როლი, მან ადაპტირება უნდა მოახდინოს სწრაფად ცვლადი შრომის ბაზრისადმი. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ მიგვიყვანა არა მარტო მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდამდე, არამედ საშუალო დონის კვალიფიკაციის მქონე მუშაკების, კერძოდ, მდივნებისა და გაყიდვების მენეჯერების, აგრეთვე, სხვადასხვა სახის მოწყობილობების ოპერატორების მოთხოვნის შემცირებამდე, რომელთა ფუნქციები ადვილად შეიძლება შეიცვალოს მანქანებით. მომავალში ეს შეიძლება შეეხოს მილიონობით მუშაკს. უკვე 2015 წელს სამუშაო ადგილების ორ-მესამედზე მეტი შეადგინა ისეთმა თანამდებობებმა, რომლებიც საჭიროებენ საშუალო დონის კვალიფიკაციას. 2020 წლისთვის უმაღლესი განათლებისა და საჭირო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დეფიციტი მთელ მსოფლიოში შეადგენს 40 მლნ. ადამიანს[16].

ფაქტები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ განათლების სისტემების უმრავლესობას არ შესწევს უნარი დააკმაყოფილონ საბაზრო მოთხოვნა. 2020 წლისთვის უმაღლესი განათლებისა და საჭირო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დეფიციტი მთელ მსოფლიოში შეადგენს 40 მლნ. ადამიანს, ხოლო უფრო დაბალი დონის განათლების მქონე მუშაკების უკმარისობა შეადგენს დაახლოებით 95 მლნ. ადამიანს. მოსალოდნელია, რომ ზოგადი სრული განათლების ჩარჩოებში განვითარებადი კომპეტენციები და ჩვევები, ისეთები, როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, ამოცანების გადაჭრის უნარი, გუნდში მუშაობის ჩვევები და პროექტების განხორციელების გამოცდილება, წიგნიერების, კომუნიკაციისა და ინფორმაციის წარდგენის მტკიცე ჩვევებთან ერთად, მომავალშიც იქნება მოთხოვნილი შრომის ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით, მომავალში სამუშაოს მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება რიგი გადასაცემი ბაზური პროფესიული ჩვევების შეძენას. განათლების დღევანდელი სისტემის მოძებნა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებში ვიპოვოთ ამ ჩვევების განვითარების ყველაზე ეფექტური ხერხები.

განათლება ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას

განათლება თამაშობს საკვანძო როლს ეკონომიკური ზრდის მტკიცე ხასიათის უზრუნველყოფასა და პირობების შექმნაში, რომელთა დროს საზოგადოების არცერთი წევრი არ იქნება დავიწყებული. განათლება წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ძრავას, ხელს უწყობს მოსახლეობის უღარიბესი ფენების შემოსავლების ზრდას, შექმნილი სიმდიდრის სამართლიანი განაწილების პირობისას, უთანასწორობის შემცირებას. 2020 წლისთვის დასახული მიზნების მიღწევა და უმაღლესი განათლების მოცვის ზრდა სწავლების ადრე შეწყვეტის მაჩვენებლის შემცირების საშუალებას მისცემს ევროკავშირში (ეკ) ახლახანს შესული ათ წევრ-სახელმწიფოს 3,7 მლნ. ადამიანით შეამცირონ იმ პირთა რიცხვი, ვინც რისკავს აღმოჩნდეს სიღარიბის ზღვარს იქით.

ხაზგასასმელია, რომ სოციალური უთანაბრობის შემცირებამდე პროფესიული მომზადებისა და ჩვევების განვითარების პროგრამების გაფართოებას ყოველთვის თანაბრად არ მივყავართ. ქვეყნების შიგნით შემოსავლებში განსხვავების ზრდის ტენდენციის დასაძლევად განათლებასთან სამართლიანი წვდომის უზრუნველყოფაზე ზომების მიღებასთან ერთად მათ მთავრობებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სოციალური პოლიტიკის ჩატარებაზე, რომელიც დაფუძნებულია სიმდიდრის გადანაწილების პრინციპებზე.

განათლება ხელს უწყობს შრომის ბაზარზე მდგომარეობის გაუმჯობესებას

უფრო განათლებულ ადამიანებს შორის, განსაკუთრებით მდიდარ ქვეყნებში, აღინიშნება უმუშევრობის უფრო დაბალი დონე. 2013 წელს *OECD* (*Organisation for Economic Co-operation and Development,*)-ის ქვეყნებში დასაქმების დონე 25-დან 64 წლამდე ასაკის მოზრდილ მოსახლეობას შორის განათლებით, რომელიც არ აღემატება არასრული საშუალო სკოლის დონეს, შეადგენდა სულ 55% მაშინ, როდესაც დასრულებული საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირებს შორის დასაქმების დონე შეადგენდა 73%, ხოლო უმაღლე-

16 Education for people and planet: Creating sustainable futures for all. UNESCO 2016 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245752_rus

სი განათლების მქონე პირთა შორის - 83%.[17] ღარიბ ქვეყნებში ეს კავშირი აღინიშნება არც ისე მკაფიოდ ახალგაზრდებს შორის, რაც მეტყველებს კვალიფიცირებულ კადრებზე შეზღუდული მოთხოვნის შესახებ, აგრეთვე, იმის შესახებ, რომ განათლების სისტემები მოსწავლეებს არ აძლევენ საჭირო ჩვევებს.

განათლების სფეროში დისპროპორციების შემცირება შეიძლება ხელს უწყობდეს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფების მიერ ღირსეული სამუშაოს მიღების შესაძლებლობათა გაფართოებას. განათლება მჭიდროდაა დაკავშირებული შემოსავლის დონესთან: მსოფლიოს 139 ქვეყანაში სწავლების ყოველი დამატებითი წლის რენტაბელობის ნორმა შეადგენს 9,7%[18]. რენტაბელობის ყველაზე მაღალი ნორმები აღინიშნება ღარიბ ქვეყნებში, სადაც არსებობს კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი. ამასთანავე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეების დაინტერესებულობა უფრო მაღალი განათლების მიღებაში, საჭიროა, რომ განათლებაში დაბანდებული ინვესტიციები განმტკიცებული იყოს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც ხელს უწყობს კვალიფიცირებულ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას.

დღეს ადამიანური კაპიტალი აღიარებულია, როგორც ყველაზე ღირებული რესურსი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ბუნებრივი რესურსები ან სხვა. ეს არის ადამიანური კაპიტალი და არა წარმოების მატერიალური საშუალებები, ეს არის სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მთავარი ინდიკატორი.

საქართველოში არსებული განათლების დაბალი დონე ზრდის არაკვალიფიციური კადრების რაოდენობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყანაში შრომის მწარმოებლურბას. თანამედროვე პერიოდში კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა წარმოდგენილი ქვეყანაში გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. ამდენად დასაქმებულთა პროფესიული ხარისხი და ცოდნის დონე, რომელსაც უზრუნველყოფს განათლების სისტემა, სულ უფრო არსებითი ფაქტორი ხდება, რომელსაც ძალუძს ქვეყანაში მწარმოებლურობის ზრდა და დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესება. განათლება ასრულებს მნიშვნელოვან როლს ადამიანური-კაპიტალის ფორმირების პროცესში, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობასა და მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

17 Education for people and planet: Creating sustainable futures for all. UNESCO 2016 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245752_rus

18 Education for people and planet: Creating sustainable futures for all. UNESCO 2016 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245752_rus

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული რეფორმის მიზანი იყო ისეთი განათლების სისტემის შექმნა, რომელიც შეესაბამებოდა საუკეთესო სტანდარტებს, მართვის ახალ მეთოდებს, დაფინანსებასა და ხარისხის კონტროლს.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანური-კაპიტალის წარმატებული მომზადებისთვის ქვეყანაში აუცილებელია დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა კერძო სექტორს, მთავრობასა და შრომისუნარიან მოსახლეობას შორის, რაც უზრუნველყოფს პროდუქტიულობის მაღალ ხარისხს. თითოეული სუბიექტი ურთიერთქმედებისას დაინტერესებულია მიიღოს მაქსიმალური მოგება. ამიტომაც, კიდევ ერთი შესაძლებლობა, დაჩქარდეს ადამიანური-კაპიტალის განვითარება, არის თანამშრომლობის განმტკიცება და გაღრმავება ამ პროცესში დაინტერესებულ მხარეებს შორის იმისათვის, რომ მოხდეს საერთო ღირებულებების და სტრატეგიის ფორმირება, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიღწევისკენ. მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში, აუცილებელია, სახელმწიფომ ზემოქმედება მოახდინოს მუშახელის მოთხოვნისა და მიწოდების მახასიათებლებზე, რისთვისაც საჭიროა საქართველოს მთავრობა დინამიურად ჩაერთოს ეკონომიკურ პროცესებში. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვან მოთხოვნას შექმნის მაღალკვალიფიციურ ადამიანურ-კაპიტალზე. სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ძირითადი ინვესტორის ფუნქცია განათლების სექტორში. გარდა ამისა, აუცილებელია კომპანიებს მიეცეს სტიმული, დააბანდონ კაპიტალი განათლებაში და მონაწილეობა მიიღონ ადამიანური-კაპიტალის განვითარების პროცესში. კერძო ბიზნესის როლი ასევე მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი ადამიანური-კაპიტალის ფორმირების პროცესში. ქართულმა კომპანიებმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ ხარჯები საკუთარი პერსონალის განათლებისა და პროფესიული მომზადებისთვის, მოკლევადიანი მოგების მიღებიდან, რომელიც იაფი, არაკვალიფიციური მუშახელის გამოყენებით მიიღება ყურადღება უნდა გადაიტანონ, გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიღწევაზე, რომლის მიღებაც შესაძლებელია კარგად მომზადებული, კვალიფიციური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მაღალმწარმოებლური ადამიანური რესურსებით. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თანამშრომელთა მუდმივი მოტივაცია, შეიძინონ ახალი ცოდნა, გაუმჯობესონ შრომის მწარმოებლურობა და ხელი შეუწყონ მათ აქტიურ მონაწილეობას ამ პროცესში, ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნული პრობლე-

მის სოციალურ ასპექტს. ბიზნეს ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ მწარმოებლურობა და ადამიანური-კაპიტალის შემოქმედებითი პოტენციალი დამოკიდებულია, თუ როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ ინტერესს კომპანიის წარმატების მიღწევაში და როგორ აფასებენ სოციალურ სამართლიანობას არსებულ სიტუაციაში. ხელისუფლებას, კომპანიის ხელმძღვანელობას და დასაქმებულებს შორის თანამშრომლობას ხელს უწყობს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვა მსგავსი ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება მთელი მსოფლიოს მასშტაბით და შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს საგანმანათლებლო შესაძლებლობების, შრომის მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის პროგრამების მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხურცია ლ., საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. დისერტაცია. თბ. 2006

2. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა. თბ., "სიახლე". 2006

3. ლ., ხურცია ცერცვაძე ვ. ინვესტიცია ინტელექტში – გლობალური გამოწვევა განვითარებადი ქვეყნებისათვის. //ჟურ. „ბიზნესი და მენეჯმენტი"
http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=0&mas=615

4. Campbell R. McConnell, Stanley L. Brue, Sean M. Flynn. Economics: Principles, Problems, and Policies. McGraw-Hill Education. 19th edition. 2011

5. Schultz, T. Investment in Human Capital, The American Economic Review, 1961 51 (1), 1-17

6. Becker G. Human Capital, 2nd edn. Columbia University Press, New York, 1964

7. Education at a Glance 2018 OECD INDICATORS http://www.cnedu.pt/content/noticias/internacional/Education_at_a_glance_2018.pdf

8. Education for people and planet: Creating sustainable futures for all. UNESCO 2016 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245752_rus

9. http://www.worldbank.org/reference/

10. International Human Development Indicators : http://hdrstats.undp.org/en/tables

11. Schweke W. Smart Money: Education and Economic Development. July 7, 2004 https://secure.epi.org/files/page/-/old/newsroom/releases/2004/07/040708-schweke-pr1.pdf

12. Маршалл А. Принципы политической экономии. – М.: Прогресс, 1983

13. Нордстрем К., Риддестрале Й. Бизнес в стиле фанк. Капитал пляшет под дудку таланта. Стокгольмская школа экономики в Санкт-Петербурге; Санкт-Петербург; 2005

14. Беккер Г. С. Человеческое поведение: экономический подход. Избранные труды по экономической теории. – М.: ГУ ВШЭ, 2003

15. Бреслав Л., Лисовик Б., Ломова И.,Кадровый потенциал и пути его повышения. Человек и труд. 2003. № 4

16. Добрынин А. И., Дятлов С. А., Цыренова Е. Д. Человеческий капитал в транзитивной экономике. – М.: Наука, 1999.

17. Каражакова Д. А. Человеческий капитал и его роль в формировании инновационной экономики: автореф. дис. … канд. экон. наук. – СПб., 2007

მოგების გადასახადის რეფორმის გამოწვევები საქართველოში

მურმანი ციქუბაძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის უმთავრეს ინდიკატორს ეკონომიკის მდგრადი განვითარება წარმოადგენს. ეკონომიკის განვითარება კი წარმოუდგენელია სწორი საგადასახადო სისტემისა და პოლიტიკის გარეშე.

ჩვენი ქვეყნისთვის ახლა უმნიშვნელოვანესი ეტაპია, 2017 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი მოგების გადასახადის შესახებ. აღნიშნულ კვლევაში გამოყოფილია და გაანალიზებულია საქართველოს ზოგიერთი გამოწვევა ამ პროცესში. მაგალითად საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი შემცირება, მოგების გადასახადის დეკლარირების გახშირება, სალაროს დანაკლისზე ჯარიმის ზრდა, და კიდევ ბევრი პრობლემური დეტალი, რომელიც წარმოადგენს რეფორმის გამოწვევებს.

მოგების გადასახადის რეფორმის ანალიზმა აჩვენა, რომ მართალია აღნიშნული ცვლილება წაახალისებს მეწარმეობას საქართველოში თუმცა ამ პროცესს, განსაკუთრებით რეფორმის პირველ წლებში თან ახლავს სერიოზული პრობლემები, რომელიც აღმოსაფხვრელი იქნება. ესტონურ მოდელზე დაყრდნობით შეიძლება რეფორმის იმგვარად წარმართვა რომ დადებითი შედეგები მოიტანოს.

საკვანძო სიტყვები: მოგების გადასახადი, ესტონური მოდელი, საგადასახადო კოდექსი, საგადასახადო რეფორმა, საგადასახადო პოლიტიკა, ბიუჯეტის დეფიციტი, შემოსავლების სამსახური, რეინვესტირების ნორმა.

RESUME

A key indicator of the well-being of a country's population is the sustainable development of the economy. But the development of the economy is impossible without a proper tax system and policy.

The most important stage for our country is now, since January 1, 2017, a new law on income tax has entered into force. This study identifies and analyzes some of Georgia's challenges in the process. For example, the expected reduction in tax revenue, the increasing frequency of income tax returns, the increase in the fine for cash flow losses, and many more problematic details that present reform challenges.

The analysis of the profit tax reform has shown that although this change encourages entrepreneurship in Georgia, however, this process, especially in the first years of the reform, has serious problems that will be eliminated. Based on the Estonian model, reform can lead to positive results.

* * * *

საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. მთავარი სიახლე არის შემდეგი: საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება.

გადასახადის განაკვეთების შემცირებით ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების და შესაბამისად, შემდგომ პერიოდში საგადასახადო შემოსავლების ზრდის მიღწევა ცნობილი არის ლაფერის ეფექტით და მისი პრატიკაში განხორციელება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული (მათ შორის, გადასახადების არსებული განაკვეთის დონეზე) თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ისეთი გადასახადის გაუქმება ან განაკვეთის შემცირება, რომელიც ადმინისტრირების კუთხით ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს და ასევე ყველაზე პირდაპირი გავლენა აქვს ეკონომიკურ განვითარებაზე, დიდი ალბათობით იქნება დადებითი ეფექტის მომტანი. სწორედ ამ მიმართულებით საერთაშორისო დონეზე ხშირად განიხილავენ მოგების გადასახადის განაკვეთის გაუქმების შესაძლო ეფექტებს.

ახალი ცვლილებების მიუხედავად, მოგების გადასახადის განაკეევეთი - 15% განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, გადასახადი დაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, უმნიშვენლოვანესია ის ფაქტიც, რომ მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, ხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით. [1]

ახალი დაბეგვრის დაბეგვრის წესი და მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, ლომბარდებისა, საკრედიტო კავშირებისა, "ნავთობისა და გაზის შესახებ" კანონით დადგენილი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

საგადასახადო რეფორმები ესტონეთმა ჯერ კიდევ 1994 წლიდან დაიწყო, როდესაც უარი თქვა დიფერენცირებულ გადასახადებზე და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი ფიქსირებული ტარიფით განსაზღვრა. კომერციული იურიდიული პირების მოგების გადასახადის რეფორმა მოგვიანებით, უკვე 2000 წლიდან შევიდა ძალაში; აღნიშნული მოდელი მსოფლიოს მასშტაბით უნიკალურია თავის სპეციფიკით. რეფორმის ძირითადი არსი საკმაოდ მარტივია - მოგების გადასახადის გადახდის

ვალდებულება კომპანიებს წარმოექმნებათ არა მოგების მიღების, არამედ მისი განაწილებისას. [2]

მოგების გადასახადის რეფორმის კუთხით ე.წ. ესტონური გამოცდილების გაზიარება გულისხმობს, რომ გადასახადისაგან თავისუფლდება მოგების ის ნაწილი, რომელსაც საწარმო უკან ჩააბრუნებს ეკონომიკაში ან გამოიყენებს სხვადასხვა საჭიროებისათვის ანუ განახორციელებს რეინვესტირებას, ხოლო დარჩენილი მოგება, რომელსაც გაანაწილებს საწარმო კვლავ დაიბეგრება. ამავე რეფორმის მიხედვით დივიდენდებიდან და პროცენტიდან მიღებული შემოსავალი კვლავ 5%-ით დაიბეგრება. თუმცა ამასთან ერთად ოდნავ რთულდება გადასახადის გადახდის მექანიზმი და საანგარიშო პერიოდი მოგების გადასახადის მიზნებისთვის ხდება 1 თვე.

ესტონეთში რეფორმის განხორციელებიდან მე-3 და მე-4 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა რეინვესტირებული შემოსავლები, განსაკუთრებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (Ratso, 2005). შესაბამისად მიიჩნევა, რომ მოგების გადასახადის რეფორმამ შესაძლებელია გაზარდოს ეკონომიკაში შიდა ინვესტიციების მოცულობა და შესაბამისად წაახალისოს ეკონომიკური აქტივობა გრძელვადიან პერიოდში. უარყოფითი ეფექტი, რაც მოგების გადასახადის რეფორმას ახლავს თან, ესაა ძირითადად საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში. [3]

2000 წელს 1999 ნელთან შედარებით ესტონეთის ნაერთი ბიუჯეტის მოგების გადასახადი 1 638.8 მლნ კრონიდან 854.5 კრონამდე (48%-ით) შემცირდა, ხოლო 2001 წელს 748.3 კრონა შეადგინა. ხოლო რეფორმის მეოთხე წელს მოგების გადასახადი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2004 წელს 2 522 კრონა იყო. 2000 წელს მოგების გადასახადის წილი 1999 წელთან შედარებით მშპ-ის 2%-დან 0.92%-მდე შემცირდა, ხოლო 2004 წელს ამ მაჩვენებელმა 1.78% შეადგინა. 1999 წელს ესტონეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 284 მილიონ ევროს შეადგენდა. 2000 წელს კი მან 424 მილიონ ევროს მიაღწია, ხოლო 2004 წლისათვის 3-ჯერ გაიზარდა და 838 მილიონი ევრო გახდა. [4]

ეკონომიკური თვალსაზრისით კვლევები მიუთითებს, რომ ესტონური ტიპის საგადასახადო რეფორმას შესაძლოა ჰქონდეს პოზიტიური ზეგავლენა ეკონომიკის კაპიტალის მარაგზე, გამოშვებასა

და მოხმარებაზე, თუმცა გავლენის მასშტაბი დამოკიდებულია ისეთ ცვლადებზე როგორიცაა

დროთაშორისი მოხმარების ელასტიურობა (ანუ რამდენად მაღალია მოხმარების ჩანაცვლებადობა დროის განსხვავებულ პერიოდებს შორის) და ე.წ. მოუთმენელ მომხმარებელთა წილი საზოგადოებაში (რომლებიც ნაკლებად არიან მიდრეკილნი მოგების რეინვესტირებით გადადონ მოხმარება მომავალში) [5] მოგების გადასახადის რეფორმამ საქართველოში, ცალკეულ შემთხვევებში გამოიწვია საგადასახადო ტვირთის გაზრდა გადასახადის გადამხდელთა გარკვეული წრისათვის, მაგალითად ვისაც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარჩათ გამოუყენებლი ზარალი, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ცვლილება, არ უნდა ზრდიდეს გადამხდელის საგადასახადო ტვირთს, აღნიშნულიდან გამომდინარე იმ გადამხდელებისთვის რომლებმაც არ აირჩიეს 100 % - იანი ძირითადი საშუალებების გამოქვითვის უფლება ან დაჩქარებული ცვეთის მოდელი, ეკარგებათ აკუმულირებული ამორტიზაცია, რომელიც უმცირებდათ მათ გადასახდელ თანხებს, ან საქმიანობა რომელიც ახალი რეჟიმით დაბეგვრადი გახდა ან შეღავათი აღარ ვრცელდებაასეთ ეკონომიკურ საქმიანობაზე.

რეფორმის შედეგად მიკრო ბიზნესი, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელები და მთის კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმოები შედარებით მეორეხარისხოვან ბიზნეს სუბიექტებად შეიძლება ჩაითვალონ, რადგან, მათთან ბიზნეს გარიგებების დროს მოგებით დასაბეგრი ოპერაცია ჩნდება. ამასთან მცირე ბიზნესის წილი, მთლიან ეკონომიკაში და დასაქმებაში გვაფიქრებინებს, რომ საგადასახადო შეღავათები მციერ ბიზნესის განვითარებას ყველაზე მეტად ჭირდება, კითხვის ნიშანს აჩენს მთის კანონით განასაზღვრული ბიზნეს შეღავათების არსებობა [6]

რეფორმის გამოწვევაა ისიც რომ გადასახადის გადამხდელები არ არიან მიჩვულები მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარირებას, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას, რომ თავი აარიდონ შეცდომებს, შესაბამისად საგადასახადო ჯარიმებს. მეორეს მხვრივ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით საბუთების შეგროვება ბიზენსისთვის სირთულეს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო თვის ბოლო რიცხვამდე განხორციელებიულ ოპერაციაზე შეიძლება ვერ გქონდეს თვის ბოლომდე შესაბამისი საბუთი, აღნიშნული არ უნდა განიხილებოდეს დასაბეგრ ოპერაციად.

ვფიქრობ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ხელს შეუწყობდა დეკლარირების ინტენსივობის შეცვლა. თავის მხრივ მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში საქართველო არ დაზარალდება, შესაბამისად კანონმდებლებმა უნდა იფიქრონ მოგების საგადასახადო დეკლარირების თვიურიდან ან კვარტალურ დეკლარირებაზე გადასვლაზე, ის შეამცირებს და გაუდვილებს დეკლარირებას და ადმინისტირებასაც, ამასთან ფისკალურად ის შეიძლება ბიუჯეტისთვის უფრო მომგებიანი იყოს, რადგან საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების შიში გადამხდელებს აქვთ, გამომდინარე საგადასახადო რისკების მატებისა.

რეფორმის შედეგად, ურთერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებები და ოფშორებში არსე-

ბული გარიგებების საბაზრო ფასით შეფასების აუცილებლობა აძვირებს გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებებების შესრულების და საგადასახადო ადმინისტრირების ხარჯებს.

რეფორმის შედეგად გაიზარდა ფინანსურ სტანდარტებზე ცოდნის მოთხოვნა, რაც პრობლემებს შეუქმნის ბიზენსს, გამომდინარე ბიზნეს განათლების არსებული დონისა.

საგადასახადო შემოსავლების შემცირების ზომა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ შემოსავლის რა ნაწილს ჩააბრუნებენ საწარმოები ეკონომიკაში და რა გავლენა ექნება ეკონომიკაში დატოვებულ ფულად სახსრებს ეკონომიკურ ზრდაზე. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ აღნიშნული შემცირების მოსალოდნელი მოცულობა, პირველ რიგში საჭიროა დავადგინოთ ე.წ. რეინვესტირების ნორმა. ხოლო შემდეგ, საჭიროა კერძო ინვესტიციების მულტიპლიკატორის შეფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნისათვის ერთიანი რეინვესტირების ნორმის დადგენა თითქმის შეუძლებელია, რადგან დარგების და კონკრეტული საწარმოთა ქცევა ინდივიდუალურია. გამომდინარე აქედან, რაოდენობრივი შეფასებებისათვის შესაძლებელია გამოანგარიშებულ იქნას რეინვესტირების ზღვრული მოცულობები და განხილულ იქნას რამდენიმე სცენარი.

რეფორმის იმ სცენარის განვითარების შემთხვევაში, როდესაც არ იცვლება გადასახადის განაკვეთები და ხდება მხოლოდ რეინვესტირებული მოგების განთავისუფლება, ნებისმიერ რეინვესტირების ნორმას მოსდევს საგადასახადო შემოსავლების შემცირება.

გაანგარიშებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარკვეული თანხის ეკონომიკაში უკან ჩაბრუნებას ეკონომიკაზე ეფექტი ექნება მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამიტომ რეფორმის 2017 წლიდან განხორციელების შემთხვევაში მულტიპლიკატორის ეფექტები გათვალისწინებულია 2018-2019 წლებში. [7]

რეინვესტირების ნებისმიერი დონის პირობებში მოსალოდნელია საგადასახადო შემოსავლების შემცირება და მოდელზე დაყრდნობით ვხედავთ, რომ მცირდება მთავრობის დანაზოგიც (საოპერაციო სალდო). ამ შედეგების საპასუხოდ შესაძლებელია გატარდეს 2 პოლიტიკა: შემცირდეს საბიუჯეტო ხარჯები ან გაიზარდოს საგადასახადო შემოსავლები.

საგადასახადო შემოსავლების ზრდა შესაძლებელია საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით ან საგადასახადო განაკვეთების ზრდით. საგადასახადო ადმინისტრირების შედეგების წინასწარ განსაზღვრა სირთულეს წარმოადგენს, ხოლო რომელიმე გადასახადის განაკვეთის ზრდის გავლენის ანალიზი მეტ-ნაკლებად რეალური გათვლების საშუალებას იძლევა.

საქართველოს შემთხვევისათვის საგადასახადო განაკვეთების ზრდა აკრძალულია ეკონომიკური თავისუფლების აქტით. თუმცა იმავე აქტით საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოითხოვოს გადასახადების დროებით გაზრდა – არა უმეტეს 3 წლის ვადით. ამ შემთხვევაში რეფერენდუმი არ ტარდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაშვებულ იქნას სიტუაცია, როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი იზრდება შემდგომი 3 წლის განმავლობაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დაითვალოს დღგ-ს ის ოპტიმალური განაკვეთი, რომელიც სრულად აღმოფხვრის რეფორმით გამოწვეულ უარყოფით ეფექტებს [8]

შემოსავლების სამსახური"-ს ახალი მიდგომით ახალი მოგების გადასახადის პირობებში სალაროში არსებული ფულის ნაშთის რეალურობასთან დაკავშრებით ეჭვის გამოთთქმის შემთვევაში ბიზნესს საშუალოდ 2-5-ჯერ მეტი თანხის გადახდა მოუწევს ვიდრე უწინ, ძველი მოგების გადასახადის პირობებში.

შემოსავლების სამსახურმა გამოაქვეყნა სიტუაციური სახელმძღვანელო №1819 [9] რისი მიხედვითაც ახალი მოგების გადასახადის (ე.წ. ესტონური მოდელის) დაბეგვრის რეჟიმების მიხედვით სალაროში არსებული ნაღდი ფულის რეალურობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში გადამხდელებს საშუალოდ რამდენჯერმე მეტი გადასახადებისა და ჯარიმების თანხები დაერიცხებათ ვიდრე ეს ადრე ხდებოდა. შემოსავლების სამსახურის ახალი მიდგომების მხედვით თუ მაგალითისთვის სამსახური ჩათვლის რომ შესამოწმებელ პერიოდში ბუღალტრული აღრიცხვის მიხედვით არსებული სალაროს ნაშთი 100 000 ლარი კომპანიას რეალურად არ გააჩნდა სალაროში, სამსახური დაბეგრავს მას როგორც ძველი წესით ანუ განიხილავს თანამშრომლის სარგებლად და დაბეგრავს საშემოსავლო გადასახადით (100000*20%*20%-ით) ,

განვიხილოთ მაგალითი რომელიც №1819 მანუალშია განხილული: კომპანიას 2017 წლის თებერვლისთვის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების მიხედვით ჰქონდა სალაროში ფულის ნაშთი 50 000 ლარი, რაც შემოსავლების სამსახურმა მიიჩნია არარეალურად (ჩათვალა რომ იმ დროისთვის ეს ნაშთი სინამდვილეში არ უნდა ყოფილიყო სალაროში). განვიხილოთ ორი ვარიანტი, როგორ ვიბეგრებოდით ესტონური მოდელის შემოღებამდე 2017 წლამდე და როგორ დავიბეგრებით (ამ მანუალის მიხედვით) დღეს.

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი საშემოსავლო გადასახადი თავი XI უპროცენტო სესხად და სარგებლად სსკ-ის 101-ე მუხლიდან გამომდინარე. კერძოდ სარგებლის თანხის დათვლა მოხდებოდა ფინანთა მინისტრის 34-ე ბრძნებით დადგენილი სარგებლის 20%-იანი განაკვეთის მიხედვით. საბოლოო ჯამში 2016 წელს საურავის თანხების გარეშე

დაგვერიცხებოდა სულ 3000 ლარი, (საშემოსავლო გადასახადი - 2000 ლარი; ჯარიმა - 1000 ლარი და საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე 0,05%).

2. დაბეგვრა 2017 წლიდან: 2018 წელს როგორც შემოსავლების სამსახურის მანუალში ვკითხულობთ დაგვერიცხება ზუსტად იგივე საშემოსავლო გადასახადი თავისი ჯარიმა საურავით (3000 ლარი საურავის გარეშე), გარდა ამისა ამავდროულად 100 000 ლარი ჩაგვეთვლება ფიზკური პირზე, მაგალითად დამფუძნებელზე, დირექტორზე, გაცემულ სესხად, რის შედეგადაც დაგვერიცხება მოგების გადასახადი. მანუალის მიხედვით 2018 წელს დარიცხული მოგების გადასახადი და ჯარიმა იქნება 13 235 ლარი, მათ შორის იქნება მოგების გადასახადის ძირითადი თანხა 8823 ლარი და ჯარიმა 4412 ლარი. ჯამში 16 235 ლ. გარდა ამისა საურავი გადაუხდელი ძირითადი გადასახადის თანხიდან ყოველ გადაცილებულ დღეზე 0,05%-ის ოდენობით.

დასკვნა

ჩვენმა ქვეყანამ, ბოლო წლებში, განვითარების რთული გზა განვლო, თუმცა ჯერ კიდევ უამრავ გამოწვევასთან გამკლავება უწევს რათა ამ ქვეყნის მოქალაქეებმა მშვიდ და განვითარებულ სახელმწიფოში იცხოვრონ. ამ პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი უკავია ქვეყნის საგადასახადო სისტემასა და პოლიტიკას. წინამდებარე კვლევა მოგების გადასახადის ახალ რეფორმას ეძღვნება. კვლევაში განხილულია ზოგიერთი ის გამოწვევა რომელიც უნდა დაიძლიოს რათა „ესტონური მოდელის“ სარგებელი რეალურად აისახოს ჩვენი ქვეყნის ბიზნეს სექტორზე. მასში გამოკვლეულ-გაანალიზებულია ზოგიერთი პრობლემის მდგომარეობა არა მარტო ჩვენი ქეყნის არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით, რომლისკენაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სწრაფვა ცალსახაა.

კვლევაში კრიტიკულადაა განხილული საქართველოს საგადასახადო სისტემის ზოგიერთი გამოწვევა, მოგების გადასახადის ახალ რეფორმასთან დაკავშირებით.

საუკეთესო რეკომენდაცია იქნებოდა, საქართველომ გამოიყენოს ესტონეთის გამოცდილება, სალაროს ნაშთზე შეამციროს ჯარიმის ოდენობა და დაუბრუნოს ძველ ნიშნულს, შეამციროს საბიუჯეტო ხარჯები განსაკუთრებით რეფორმის პირველ წლებში, მაქსიმალურად უზრუნველყოს ფინანსური სტანდარტების (IFRS) დანერგვა ქვეყანაში, შესაქმნელია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებულ პირთა რეესტრზე ღია წვდომა, რათა ბიზნესისთვის ცნობილი იყოს იმ პირთა სტატუსი ვისთან ურთიერთობაც გაუზრდის საგადასახადო ვალდებულებებს. აუცილებელია სახელმწიფომ გაიზიაროს კერძო სექტორის პოზიციები, იმ შემთხვევაში თუ მათ ექნებათ მყარი არგუმენტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 13 იანვარის ბრძანება №7

2. ესტონეთის საშემოსავლო გადასახადის აქტი. Income Tax Act. (1999)

3. ფორბსი, “გზა მოგების გადასახადის ლაბირინთიდან”; 2015

4. The national budget of 2004 https://www.valitsus.ee/en/news/national-budget-2004-focuses-people-juhan-parts

5. Georgi Angelov „Zero Tax on Reinvested Profit – the Example of Estonia“ Institute for Market Economics, Bulgaria

6. ფორბსი. 01 თებერვალი, 2017 http://forbes.ge/news/1875/estonuri-modelis-detalebi-da-misi-gavlena-ekonomikur-zrdaze

7. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში. გავლენის შეფასება სახელმწიფო ფინანსებზე და ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე თებერვალი, 2016 წელი.

8. საქართველოს საბიუჯეტო ოფისი, მოგების გადასახადის რეფორმა საქართველოში: გავლენის შეფასება სახელმწიფო ფინანსებზე და ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე http://pbo.parliament.ge/ge/rs/rpapers/item/230-2016-02-02-09-26-01

9. შემოსავლების სამსახურის სიტუაციური სახელმძღვანელო №1819 http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=5699&lang=1&mid=18

მომხმარებლის ქცევა საცალო ვაჭრობის ობიექტებზე

რამაზ ოთინაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ პროფესორი
ნინო ზავრაშვილი
სტუ ასისტენტ-პროფესორი და დოქტორანტი

რეზიუმე

საცალო ბაზარზე არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, კომპანიები მუდმივად არიან მოწინავე მიდგომების ძიებაში, მომხმარებელთა ყურადღების მისაპყრობად. სუპერმარკეტების მენეჯერები სწავლობენ მყიდველებს უფრო ახლოს - თუ როგორ „შოპინგობენ" ისინი მარკეტებში, რას ანიჭებენ უპირატესობას, რა იზიდავს მათ ყურადღებას. მათი არჩევანი ასევე განისაზღვრება მყიდველის დგომის წერტილით საქონელთან მიმართებაში, რაც შენაძენისას მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის საბოლოო არჩევანზე. მარკეტებში ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ მყიდველი, რაც უფრო ნაკლებად ეძებს საქონელს და ახდენს ფასების შედარებას, მით მალე ღებულობს შენაძენის გადაწყვეტილებას. მრავალფეროვანი ლიტერატურის გაანალიზების შედეგად, სტატიაში, აღნიშნულია თუ როგორ უნდა განათავსონ მერჩენაიზერებმა საქონელი თაროებზე, რათა ქვეცნობიერად გავლენა მოახდინონ მომხმარებლებზე და შეუწყონ ხელი მათი საქონლის შერჩევას კონკურენტების ანალოგიურ საქონელთან მიმართებაში. ასევე გამახვილებულია ყურადღება იმაზე თუ როგორ შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის ლოკაციის ადგილმა მის საბოლოო არჩევანზე, რაც ეხმარება საცალო მოვაჭრეს გაითალისწინოს თაროებზე ნაწარმის განთავსების ნიუანსები.

CONSUMER BEHAVIOR IN RETAIL STORES

Ramaz Otinashvili
Professor, Georgian Technical University
Nino Zavrashvili
Doctoral of Georgian Technical University

RESUME

In terms of high competition in the retail market, companies are looking for new and effective ways to attract customers' attention. The supermarket managers need to explore the buyers closer how they are "shopping" in the supermarkets, what are their preferences and what catches their attention. The consumer choice is also determined by the buyer's standing position towards shelf, which makes a significant impact on its final product choice. As a result based on the researches conducted about consumer's buying behavior, has revealed that less consumer is looking for a product and compares prices, quicker they make buying decisions. The article describes how the Merchandisers should place products on the shelves to make subconscious influence on consumers and to facilitate their choice. It emphasizes how the customer's standing position can influence on its final choice helps retailers to consider the nuances of product positioning on the shelves.

* * * *

თანამედროვე საცალო ვაჭრობის სფერო საკმაოდ გაჯერებულია სხვადასხვა ფორმატის მარკეტებით. მათი დახლები სავსეა მრავალი დასახელების საქონელით. აღნიშნულ სფეროს ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა ნაწარმის ეფექტურად განალაგება მათი თვალსაჩინოდ წარმოჩენისა და გაყიდვების გაზრდის მიზნით.

თაროზე არსებული სივრცე ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია მომხმარებელთა უკეთესი ლოგისტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.[1] დღესდღეობით, ხელმისაწვდომი ბრენდების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ყოველწლიურად დაახლოებით 3000 ახალი სასაქონლო ხაზი ემატება მარკეტებს.[2]

თაროებზე ადგილების მუდმივმა და მზარდმა მოთხოვნამ გამოიწვია წინააღმდეგობა მწარმოებლებსა და საცალო მოვაჭრეებს შორის, რადგან სუპერმარკეტების მფლობელები ეძებენ საშუალებებს თაროზე სივრცის მაქსიმალური გაზრდისთვის და მეტი ადგილების მოძიებისთვის, ხოლო მწარმოებლები ცდილობენ მაქსიმალურად გაზარდონ საკუთარი ბრენდების რეალიზაცია.[3]

ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ჩვენ ახლა ვიმყოფებით რეალობაში სადაც საჭიროზე მეტი სავაჭრო ობიექტია: დიდი რაოდენობის ობიექტების ფონზე ყოველდღიურად უამრავი პროდუქცია იყიდება.[4] მართლაც ერთ-ერთი იმ მრავალ გამოწვევთაგან, რომელიც საცალო ვაჭრობის წინაშე დგას, არის ის თუ როგორ მოახერხონ, გაყიდვების გაზ-

1 Yang M. H., Chen W.C. (1999); "A study on shelf space allocation and management",International Journal: Production Economics 60-61pp: 309-317

2 CorstjensJ.andCorstjensM.(1995)"Storewars,thebattleforMind-spaceandShelf- space". Chichester:Wiley.

3 Drèze X. Stephen J. Hoch Mary E. Purk (1994); "Shelf Management and Space Elasticity": Graduate school of Business; University of Chicago.

4 Underhill P. (1999), "Why We Buy: The Science of Shopping"; New York: Simon & Schuster

რდის მიზნით, თაროზე სავაჭრო სივრცის სწორად გამოყოფა.

ტიპიური მსხვილი სუპერმარკეტები ყოველდღიურად 45000-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა სახეობის საქონლის მოძრაობას ახორციელებენ.[5] მათმა არასწორმა ან შეუსაბამო ადგილას განლაგებამ შესაძლოა შეამციროს რეალიზაცია, სანამ ის სრულ გაყიდვების პოტენციალს მიაღწევს.

საცალო მოვაჭრეები გულმოდგინედ მუშაობენ რათა მაქსიმალურად გაზარდონ ამონაგები, რადგან მრავალი ერთეულის განლაგება ზრდის დანახარჯებს, ხოლო ნაკლების - იწვევს გაყიდვების შემცირებას მარაგების ამოწურვის გამო.[6]

შეერთებულ შტატებში საცალო მოვაჭრეები ხსნიან მაღაზიებს არა იმისთვის, რომ მოემსახურონ ახალ ბაზრებზე შესულ მომხმარებლებს, არამედ მათი მიზანია უკვე არსებული ბაზრებიდან მომხარებლების გადმობირება.[7]

თანამედროვე კვლევების მიხედვი, მაშინ როცა მომხმარებელი თაროს ცენტრალურ პოზიციაზე განლაგებულ საქონელს ანიჭებს უპირატესობას, რითეილერები არ იზიარებენ მათ შეხედულებას და ყველაზე მაღალი საბაზრო წილის მქონე ბრენდს არ ათავსებენ თაროს ცენტრალურ პოზიციაზე. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ საბაზრო სივრცეში მომხმარებელთა შეხედულება თაროს განლაგებაზე ყოველთვის არ შეესაბამება რეალობას.[8]

მომხმარებლების შენარჩუნებისა და მოზიდვის ეფექტური გზების ძიების მიზნით, რითეილერებმა უნდა შეისწავლონ მომხმარებლები უფრო ახლოს, როგორ „შოპინგობენ" ისინი სუპერმარკეტებში, რას ანიჭებენ უპირატესობას, რა იზიდავს მათ ყურადღებას, რაც დაეხმარებათ რითეილერებს მათი ყურადღების მიპყრობაში.

მკვლევარებმა გამოიკვლიეს, თუ რამდენად ახლოსაა ბაზრის მოლოდინები რეალობასთან და როგორ უნდა გამოიყურებოდეს ოპტიმალური სივრცე თაროზე. აღმოჩნდა, რომ არსებობს მომხმარებელთა შორის დისონანსი, თუ სად ჰგონიათ მომხმარებლებს ბრენდისათვის ყველაზე პოპულარული ადგილი თაროზე.[9]

მომხმარებელთა უპირატესობები იდეალური თაროს განლაგებასთან მიმართებაში ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა[10]. მკვლევარების აზრით, მყიდველებს სჯერათ, რომ რითეილერები ყველაზე პოპულარულ ბრენდებს ათავსებენ თაროს შუა ნაწილში, რაც უბიძგებთ მათ თაროს ცენტიდან აირჩიონ ნივთი, როდესაც მათი სურვილია ყველაზე პოპულარული ნივთის შეძენა. არჩეული ოთხი კატეგორიიდან სამის შესწავლის შედეგად ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ყველაზე პოპულარული ბრენდი არ არის განთავსებული თაროს შუაში. აქედან გამომდინარე, არ არის სწორი იმაზე დავა რომ ჰორიზონტალური პოზიციონირებისას რითეილერები ათავსებენ საქონელს მარცხნიდან მარჯვნივ.

საქონლის დახარისხების პროცესმა ხელი შეუწყო შესაბამისი ინფორმაციის გააზრებას, რამაც გააადვილა მომხარებლისთვის არჩევანი.[11] კვლევები გვიჩვენებს, რომ მომხმარებლის წარმოდგენით, მაღალი ხარისხის ბრენდები განთავსებულია ზედა, იაფიანი კი ქვედა თაროებზე, ხოლო ყველაზე პოპულარული ბრენდი თაროს ცენტრში. *რაითის* აზრით მომხმარებლებს გარკვეული სურათი აქვთ წარმოდგენილი გონებაში თუ როგორ უნდა იყოს საქონელი სუპერმარკეტებში განლაგებული.[12]

თაროებზე ვერტიკალური ან ჰორიზონტალური განლაგება იძლევა ინფორმაციას მომხმარებელთა შთაბეჭდილებაზე პროდუქტის ხარისხისა და ფასების შესახებ. ვერტიკალური პოზიციონირება გულისხმობს განლაგებას ფასის და ხარისხის გათვალისწინებით ზემოდან ქვემოთ, მაღალფასიანი პროდუქციის ზედა თაროზე განთავსებით.

ჰორიზონტალური პოზიციონირება გულისხმობს მარცხნიდან მარჯვნივ განლაგებას, სადაც ძვირადღირებული საქონელი განთავსებულია თაროს მარჯვენა კუთხეში. ნაწარმი, რომელიც დევს თაროს ცენტრში აღიქმება, მომხმარებლის მხრიდან, როგორც საშუალო ფასისა და ხარისხის მქონე საქონელი.[13]

ვალენზუელასა და *რაღუბირის* მიხედვით, მომხმარებელებს ზოგადად აქვთ წარმოდგენა ვერტიკალური განლაგების გავლენის შესახებ. მათ ესმით, რომ პროდუქტი თაროებზე განთავსებულია მზარდი ფასისა და ხარისხის მიხედვით. მეორეს მხრივ, მომხმარებლებმა არ იციან ჰორიზონტალური განლაგების გავლენის შესახებ პროდუქტის არჩევანზე, რადგან მათ ეს ჯერ გაცნობიერებული არ აქვთ. აქედან გამომდინარე, ვერტიკალურად განთავსებული საქონლის გავლენა მათ არჩევანზე უფრო მაღალია, რადგან მას შეუძლია გაზარდოს გაყიდვები 40%-ით, ხოლო ჰორიზონტალურ პოზიციონირებას

5 Underhill P. (1999:31), "Why We Buy: The Science of Shopping"; New York: Simon & Schuster

6 Drèze X. Stephen J. Hoch Mary E. Purk (1994); "Shelf Management and Space Elasticity":Graduate school of Business; University of Chicago.

7 Underhill P. (1999:31), "Why We Buy: The Science of Shopping"; New York: Simon & Schuster

8 Valenzuela A.; Raghubir P.; Mitakakis C. (2012), "Shelf space schemas: Myth or reality? "Journal of Business Research

9 Valenzuela A.; Raghubir P.; Mitakakis C. (2012), "Shelf space schemas: Myth or reality? "Journal of Business Research

10 Valenzuela A. and Raghubir P. (2009) "Are top-bottom inferences conscious and left-right inferences automatic? Implications for shelf space position"

11 Felcher M.E., Malaviya P., Ann L.M. (2001) "The Role of Taxonomic and Goal-Derived product categorization in, within, and across Category Judgments" Psychology & Marketing, 18(8) pp.865–887

12 Wright P. (2002) "Marketplace metacognition and social intelligence" Journal of Consumer Research; 28(4) PP.677–682

13 Valenzuela A. and Raghubir P. (2009) "Are top-bottom inferences conscious and left-right inferences automatic? Implications for shelf space position".

მხოლოდ 15%-ით.[14]

თაროზე ცენტრალური პოზიციის პოპულარობის მიზეზი შეიძლება უბრალოდ იყოს ის, რომ უფრო მეტ ყურადღებას იზიდავს მომხამრებლის მხრიდან განაპირა პოზიციებთან შედარებით. ცნობიერების ამაღალლება კი გამოწვეულია იმით, რომ მომხამრებელს შთაბეჭდილება ექმნება თითქოს სუპერმარკეტებში თაროს შუა ნაწილში განთავსებული ნაწარმი აღიქმება უფრო ახლად სხვებთან მიმართებაში.

კრისტენფელდის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი აღნიშნავს, რომ მომხმარებლებმა მოცემული 40 პროდუქტიდან 37-ჯერ არჩევანი გააკეთეს შუა თაროზე ვიდრე კიდეებზე განთავსებული საქონელზე.[15] შესაბამისად, როდესაც ნაწარმი იდენტურია, მყიდველი არჩევანს აკეთებს ცენტრალურ თაროზე.[16]

როგორც ცნობილია, მომხმარებელები ყიდვის გადაწყვეტილებას იღებენ მათი ემოციების ან შემეცნების საფუძველზე. როდესაც მომხმარებლებისთვის ინფორმაცია სქემატურადაა მოცემული, ისინი უფრო მეტად იყენებენ ევრისტიკულ მიდგომას ან გადაწყვეტილებას ღებულობენ რწმენით, ვიდრე მიმართავდნენ ანალიტიკურ აზროვნებას.[17] სუპერმარკეტებში შოპინგის შესახებ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ მომხმარებელი რაც ნაკლებად ეძებს საქონელს და ახდენს ფასების შედარებას, მით მალე ღებულობს მისი შეძენის გადწყვეტილებას.[18] შესაბამისად, ცენტრიდან პროდუქციის შერჩევა მომხმარებლის თვალში აღიქმება უფრო ახალ პროდუქტად, რაც უადვილებს მათ გადაწყვეტილების მიღებას.

როგორც *შანდონის* სტატიაშია აღნიშნული, „ბრენდის პოზიციონება თაროს ცენტრალურ ნაწილში აუმჯობესებს ყურადღებას და შეფასებას, ვინაიდან ჰორიზონტალური პოზიციონირების მიხედვით, პროდუქცია განლაგებულია მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო ცენტრი აღიქმება როგორც ოქროს შუალედი ფასისა და ხარისხის მიხედვით", საქონლის პოზიციონირება შუა თაროებზე (ზედა და ქვედა თაროებთან მიმართბაში) ეხმარება ყურადღების გამახვილებას, მაგრამ არა შეფასებას, რადგან მომხმარებელი მიიჩნევს, რომ საუკეთესო პროდუქტები განლაგებულია ზედა თაროებზე".[19]

ამიტომ შუა თაროდან შერჩევისას მყიდველი ეყრდნობა მარტივ სტიმულებს, როგორიც არის მიმზიდველობა და ყურადღებას ამახვილებს ვიზუალურ მახასიათებლებზე.

სამომხმარებლო არჩევანი ასევე შეიძლება განისაზღვროს სხვა ფაქტორებითაც, მაგალითად, იმ ლოკაციის მიხედვით, სადაც მომხმარებელი იმყოფება, რადგან პარალელურად ის ცვლის თაროს ცენტრს მომხმარებელთან მიმართებაში. ზემოხსენებული განცხადების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელთა დგომის წერტილი საქონელთან მიმართებაში, ყიდვისას დიდ გავლენას ახდენს მათ საბოლოო არჩევანზე. რაც იმას ნიშნავს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორაა საქონელი განლაგებული, არამედ უფრო მნიშვნელოვანია თუ სად დგას მომხმარებელი შენაძენის მომენტში. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა დგომის წერტილს პოტენციური მნიშვნელობა აქვს, მასზე ჯერ კიდევ არ არის საკმარისი კვლევები ჩატარებული.

სიმონსონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომხმარებელი უპირატესად ცდილობს აირჩიოს კომპრომისული ალტერნატივა, რათა მოიპოვოს სხვების კეთილგანწყობა.[20] შესაბამისად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მომხმარებელი შეარჩევს არსებულიდან ცენტრალურ პოზიციას დახლზე, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი სახის კონფლიქტი ან უკმაყოფილება.

სავაჭრო ცენტრის დაგეგმარებისას ბევრი ასპექტი უნდა იყოს გათვალისწინებული. კარგი მარკეტის განმსაზღვრელი კრიტერიუმია მომხმარებელთა ყურადღების მოზიდვა მათი მაღაზიაში შემოსვლის პირველი მომენტიდან. მხოლოდ მყიდველთა 45% იყენებს შოპინგისას შენაძენის სიას, ისინი იღებენ ყიდვის გადაწყვეტილებას მაშინ, როდესაც დაივლიან სუპერმარკეტის რიგებს და დახლებს.[21] შესაბამისად, მერჩენდაიზერები ცდილობენ მიიზიდონ მომხმარებლების ყურადღება. მომხმარებლის მოძრაობის ტრაექტორია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმას, თუ რას დაინახავენ და თვალი საით გაექცევათ. თუ მაღაზიის განლაგება ოპტიმალურია, მაშინ მყიდველები მათთვის საჭირო საქონელს ადვილად პოულობენ.[22]

არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უნდა გათვალისწინებულ იქნას მაღაზიის სექციების განლაგებისას - თუ როგორ გადაადგილდება მყიდველი სავაჭრო დარბაზში: „უმრავლესობა მოძ-

14 Valenzuela A. and Raghubir P. (2009) "Are top-bottom inferences conscious and left-right inferences automatic? Implications for shelf space position".

15 Christenfeld,N.(1995; P 52),"ChoicesfromIdenticalOptions,"PsychologicalScience,6(1), pp.50-55

16 Christenfeld,N.(1995; P53),"ChoicesfromIdenticalOptions,"PsychologicalScience,6(1), pp.50-55

17 Sujan M, Bettman JR, Sujan H. (1986); "Effects of consumer expectations on information processing in selling encounters", Journal of Marketing Research; 23(4) pp.346–53

18 Dickson, P.R. and Sawyer A.G. (1990); "The price knowledge and search of supermarket shoppers", Journal of Marketing54; pp.42–53

19 Chandon P.; Hutchinson J.W.; Bradlow T.E. and Young S.H.; (2008) "Does in-store MarketingWork?EffectsoftheNumberofshelfFacingsonAttentionandEvaluationatthe pointofPurchase"AllianceCentreforGlobalResearchandDevelopment..Facultyand Research WorkingPaper

20 Simonson I. (1989) "Choice Based on Reasons: The case of Attraction and Compromise Effect", Journal of Consumer

21 SomersonH.(2009: 102),"Thescienceofretailing:Insidethemindoftheshopper";Wharton SchoolPublishing

22 Underhill P. (1999: 81), "Why We Buy: The Science of Shopping"; New York: Simon & Schuster

რაობს მარჯვენა მიმართულებით".[23] ანუ თუ ისინი მარკეტში შედიან მარჯვნიდან, მოძრაობენ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. შესაბამისად, სალაროს მაგიდები განლაგებულია მაღაზიის მარცხენა მხარეს, რაც მომხმარებელს „აიძულებს" შემოიაროს მთელი მაღაზია სალარომდე მისვლამდე.

ადამიანების უმრავლესობა მემარჯვენეა. ეს გარემოება უადვილებს მათ გადაწყვეტილებას - თაროს მარჯვნიდან აიღონ ნივთი. აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს მარკეტებს დახლები განთავსონ ისე, რომ მათ ადვილად მიუდგნენ მომხმარებლები.[24] მემარჯვენე მომხარებელი, სანამ დაატარებს სავაჭრო კალათას, მას აწვება მარჯვენა ხელით რითაც აძლევს კალათას მარცხენა მხარეს მოძრაობის მიმართულებას.[25]

ერთი სასაქონლო კატეგორია მოიცავს ერთნაირი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა ბრენდის ნივთებს. ხოლო რამდენიმე სასაქონლო კატეგორია ასახავს სხვადასხვა სახის პროდუქციას და ბრენდს განთავსებულს მთლიან დახლზე. მომხმარებლის ინტერესი საქონლის მიმართ შეიძლება გამოწვეული იყოს მომხარებლის დგომის წერტილიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია ასევე მარკეტში არსებული სივრცე ისე დაგეგმარდეს, რომ მომხარებელმა ადვილად შეძლოს სასურველი ნივთის პოვნა. თუმცა დიდი გავლენა აქვს პირველადი ეფექტით მიღებულ გადაწყვეტილებას. ნივთები რომლებიც უფრო ადრე გვხვდება დახლზე, მათ მეტად ვირჩევთ. უფრო მეტიც, მაღალი მოთხოვნის მქონე საქონლის გვერდით პროდუქტების განთავსება იწვევს ნაკლებ მოთხოვნადი ბრენდის მიმართ ინტერესსაც, რადგან ზრდის იმის ალბათობას, რომ მომხმარებლები შეამჩნევენ და იყიდიან მას.

მაშასადამე, შოპინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია იმის განსაზღვრა, თუ რა ტრაექტორიით გადაადგილდება მომხმარებელი სავაჭრო დარბაზში. შესაბამისად, სუპერმარკეტები უნდა დაგეგმარდეს იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მოძრაობს და საით იყურება მყიდველი შოპინგის დროს.[26]

23 Underhill P. (1999: 77), "Why We Buy: The Science of Shopping"; New York: Simon & Schuster

24 Underhill P. (1999: 76-77), "Why We Buy: The Science of Shopping"; New York: Simon & Schuster

25 SomersonH.(2009: 76),"Thescienceofretailing:Insidethemindoftheshopper";Wharton SchoolPublishing

26 Underhill P. (1999: 79-80), "Why We Buy: The Science of Shopping"; New York: Simon & Schuster

გამოყენებული ლიტერატურა:

1.*Broere, Van G. and Oostrom Van,* (1999). "De relatietussenlooprichting en ankoopgedrag"*ErasmusFoodManagementInstitute*,EFMI2001-05(inDutch);

2.*Broere,VanG. and Oostrom Van,* (1999)."De relatietussenlooprichting en aankoopgedrag"*ErasmusFoodManagementInstitute*,EFMI2001-05(inDutch).

2. Dickson, P.R. and Sawyer A.G. (1990); "The price knowledge and search of supermarket shoppers", *Journal of Marketing54*; pp.42–53

3. Drèze X. Stephen J. Hoch Mary E. Purk (1994); "Shelf Management and Space Elasticity": *Graduate school of Business; University of Chicago.*

4. CorstjensJ. and Corstjens M. (1995)"Storewars, thebattleforMind-spaceandShelf-space". *Chichester:Wiley*.

5. Christenfeld,N.(1995; P 52),"ChoicesfromIdentical Options,"*PsychologicalScience*,6(1), pp.50-55;

6. Chandon P.; Hutchinson J.W.; Bradlow T.E. and Young S.H.; (2008) "Does in-store MarketingWork? EffectsoftheNumberofshelfFacingsonAttentionandEvaluationatthe pointofPurchase"*AllianceCentreforGlobalResearchandDevelopment..*Facultyand Research WorkingPaper

*7. Simonson I. (*1989) "Choice Based on Reasons: The case of Attraction and Compromise Effect", *Journal of Consumer*

8. SomersonH.(2009: 102),"Thescienceofretailing:Insidethemindoftheshopper";Wharton SchoolPublishing

9. Sujan M, Bettman JR, Sujan H. (1986); "Effects of consumer expectations on information processing in selling encounters", *Journal of Marketing Research*; 23(4) pp.346–53

10. Underhill P. (1999:31), "Why We Buy: The Science of Shopping"; New York: Simon & Schuster

11. Valenzuela A. and Raghubir P. (2009) "Are top-bottom inferences conscious and left-right inferences automatic? Implications for shelf space position".

12. Yang M. H., Chen W.C. (1999); "A study on shelf space allocation and management",*International Journal: Production Economics* 60-61 pp: 309-317;

სოციალური მედიის გავლენა ეკონომიკის სტიმულირებაზე

თეა ჩიჩუა
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში, სოციალური ქსელები ბიზნესის განვითარების ძლიერი იარაღია. კომპანიების უმეტესობა ქმნის ანგარიშებს სოციალურ ქსელებში და ავრცელებს ინფორმაციას თავიანთი საქმიანობისა და მომსახურების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს, შემგომში კომპანიას, რომ მიიქციოს მომხმარებლების ყურადღება. სოციალური მედია ეკონომიკის დეველოპერებს შესაძლებლობას აძლევს დაიწყონ მოლაპარაკებები და დაამყარონ კავშირები, რომლებიც საბოლოოდ დაეხმარება მათ თავიანთი მიზნების მიღწევაში.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია, ეკონომიკური ეფექტურობა.

RESUME

In the modern world, social networks are a powerful tool for business development. Most companies create accounts in social networks and spread information about their activities and services, allowing the companies to attract customer attention in the future. Social media enables economic developers to initiate negotiations and build links that will ultimately help them achieve their goals.

Keywords: social networks, economic efficiency.

შესავალი

სოციალური მედია განაგრძობს გლობალურ ლანდშაფტზე მასობრივ ზემოქმედებასა და რეფორმირებას. მას ხშირად განიხილავენ, როგორც პლატფორმას კომუნიკაციებისთვის. კვლევების თანახმად, თანამეროვე მომხმარებლები ყოველდღიურად ცხრა საათს ატარებენ ინტერნეტში, რამაც დაადასტურა, რომ სოციალური ქსელები არის ყველაზე ეფექტური საშუალება ბიზნესისთვის, რათა მიიპყროს აუდიტორიის ყურადღება გლობალური მასშტაბებით.

სოციალური მედია ასევე ხელს უწყობს გლობალური ეკონომიკის გააქტიურებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

სოციალური მედიის გამოჩენამდე კომპანიებს დიდი ფინანსური ხარჯების გაწევა უხდებოდათ ინტერნეტ რეკლამისთვის. ინფორმაცია მიზნობრივ ჯგუფამდე არც კი აღწევდა. ახლა ბიზნესი ფლობს და ქმნის საკუთარ ციფრული მედია-კონტენტს ახალი აუდიტორიის დასაპყრობად.

სოციალური ქსელების განვითრება ხელს უწყობს ბიზნესს, რომ დაუახლოვდეს თავის მომხმარებლებს ინტერნეტ პლატფორმების საშუალებით. ბიზზნესი ხედავს და გრძნობს სოციალური ქსელების მნიშვნელობას ფინანსსური განვითარების მიმართულებით.

კომპანიები აცნობიერებენ, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ სოციალური მედია, იმისთვის, რომ მოახდინონ იდეების გენერირება და მოთხოვნების სტიმულირება. ასევე, შექმნან პროდუქტების მიზნობრივი შეთავაზებები, რაც მნიშვნელოვანია ელექტრონული კომერციის სამყაროში.

ბრენდებმა დაინახეს ძირითადი ძვრები მოთხოვნილების მხრივ, გაზრდილი გამჭვირვალობით, მომხმარებელთა ჩართულობითა და ქცევის საერთო ცვლილებით.

რაც უფრო მეტი ადამიანი გებულობს სოციალურ მედიის შესახებ, მით უფრო მეტი ხვდება, თუ რა სარგებელის მოტანა შეუძლია ბიზნესისთვის, რის შემდეგაც, უფრო ვირუსული ხდება მისი გამოყენების არეალი.

სოციალური მედიის პლატფორმების სწორად გამოყენებისას, კომპანიები უნდა იყვნენ თავიანთ მომხმარებლებთან ერთგულნი ისე, როგორც თავად მომხმარებლები არიან. უნდა მოხდეს დროის ყურადღებით დათმობა და რეაგირება, რათა მარტივად გაიყიდოს პროდუქციები ან მომსახურება.

როდესაც პირველად გამოჩნდა სოციალური მედია, ბევრი კომპანია თვლიდა, რომ ეს იყო ინფორმაციის გავრცელებისთვის რენტაბელური მეთოდი მცირე ბიუჯეტით.

სოციალური ქსელების მთლიანი პოტენციალი, როგორც მარკეტინგის საშუალება, არ იყო რეალიზებული წლების წინ. კომპანიების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ სოციალური ქსელები გამოეყენებინათ, როგორც მარკეტინგული ინსტრუმენტი, რადგან არ სჭირდებოდათ დიდი თანხების გამოყოფა ბიუჯეტიდან.

მათ, როდესაც ნაკლები დისკრეციული თანხა ჰქონდათ, ძალიან ფრთხილად უნდა მოჰკიდებოდნენ, თუ სად, როდის და ვისგან შეეძინათ პროდუქცია და მომსახურება.

რეცესიის ემოციური შედეგი იყო, რომ ადამიანებმა დაკარგეს ბიზნესისადმი ნდობა. უკიდურესი პირობების გამო, ბევრმა კომპანიამ მიიღო ცუდი

და არაეთიკური გადაწყვეტილებები, რომლებმაც უაღრესად უარყოფითი გავლენა მოახდინა მომხმარებლებზე. როგორ უნდა დაებრუნებინათ კომპანიებს თავიანთი მომხმარებლების ნდობა.

სწორედ აქ ჩნდება სოციალური ქსელები, რაც იაფი მეთოდი იყო რეკლამირებისთვის. სოციალური ქსელები ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა მომხმარებელსა და კომპანიებს შორის. ის საშუალებას აძლევს მყიდველებს, მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რას სთავაზობენ კომპანიები. ასევე, მომხმარებელს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი და შეატყობინოს ამის შესახებ.

თუ კი ისინი მათ შეტყობინებებზე არ ახდენენ გამოხმაურებას, მომხმარებლები მიდიან. ისინი არ აპირებენ იმ ბრენდების ერთგულებას, რომლებსაც არ ენდობიან, ან არ თვლიან საიმედოდ.

რაც არ უნდა ღირებული და სასარგებლო იყოს სოციალური ქსელები, მისი გამოყენება ნამდვილად არ არის უფასო. იმისათვის, რომ სოციალურმა ქსელებმა იმუშაოს მომხმარებსა და ბიზნესზე, საჭიროა დროის გამოყოფა.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სოციალური ქსელების პლატფორმები გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ბიზნესის რეკლამირებისთვის, არამედ პოტენციურ მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის.

სოციალური მედია - ეს არის ეფექტური საშუალება იმისათვის, რომ აუდიტორიამ გაიგოს კომპანიებისა და ბრენდების შესახებ, მათ კი დაამყარონ ურთიერთობები, მოიპოვონ ნდობა და პატივისცემა. თუ ბიზნესი ხარჯავს დროს და ძალისხმევას მის სტრატეგიაზე, სოციალურ ქსელებთან მიმართებაში, სავარაუდოდ, რეცესიისგან უფრო ძლიერი და წარმატებული გამოვა ვიდრე ოდესმე.

სოციალური მედიის მუდმივმა მენტალობამ მოითხოვა ისეთი სამუშაო ადგილების შექმნა, რომლებიც მანამდე არ არსებობდა. სოციალური მედიის განვითარებამ, „სოციალური მენეჯერის“ პოზიცია შექმნა. ეს როლი 15 წლის წინ არ იყო შექმნილი, დღეს კი, თითქმის ყველა დიდ კომპანიას ჰყავს ასეთ პოზიციაზე აყვანილი ათეულობით ადამიანი. ბიზნესი იმდენად ინვესტირებულია სოციალურ მედიაში, რომ მან შექმნა ინდუსტრია. ბიზნესი და ინსტრუმენტები, რომლებიც მკაცრად ფუნქციონირებს სოციალური მედიისა და მარკეტინგისთვის, დროდადრო უფრო ფასეული და ხელმისაწვდომი ხდება.

მომხმარებლები სოციალური მედიის გავლენებს უყურებენ, როგორც ახალ „სიტყვას“. სოციალური მედია დღეს ციფრული ბრენდის სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. გასულ წელს დიდმა ბრენდებმა დახარჯეს $ 25,000 დან 50,000-მდე აშშ დოლარი მხოლოდ მარკეტინგისთვის და დაახლოებით 117.4 მილიარდი დოლარი დაიხარჯა მთლიან ონლაინ მედიაში.

მას შემდეგ, რაც სოციალურმა მედიამ ხელი შეუწყო გლობალური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან განვითარებას, ახალმა შესაძლებლობებმა უფრო ეფექტურად გააერთიანა ადამიანები, ბრენდები და კომპანიები.

სოციალური ქსელების შექმნამდე რთული იყო, კომპანიებს მუდმივად მიეწოდებინათ თავიანთი ინფორმაცია სამიზნე აუდიტორიისთვის. სოციალურმა ქსელებმა შექმნეს კომუნიკაციის ისეთი ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს ყველას, დაუყოვნებლად გაცვალონ ინფორმაცია და იდეები. ინფორმაციებსა და მონაცემებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს უზარმაზარ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით პროფესიონალურ ხარისხში.

დღეს სოციალურ ქსელებში არის LinkedIn და Glassdoor, რაც არის უნივერსალური შესაძლებლობა სამსახურის მაძიებელთათვის, ნახონ ინფორმაცია, რომელიც ადრე მიუწვდომელი იყო.

სოციალური ქსელების მხარდაჭერის ძალამ და მომხმარებლის მიერ წარმოქმნილი კონტენტის გავრცელებამ ხელი შეუწყო შრომის ბაზარზე უფრო მეტი გამჭვირვალობის შექმნას. პროფესიონალებს შეუძლიათ გაუზიარონ საზოგადოებას თავიანთი გამოცდილება, მოსაზრებები, ყოველდღიური ფუნქციები, ან სხვა ინფორმაციები, რომელიც შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს პერსპექტიული სამუშაოს მაძიებლისთვის. ამ გამჭვირვალობამ განაპირობა შრომის ბაზრის საგრძნობი გაუმჯობესება.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტმა შესაძლებელი გახადა კომუნიკაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სოციალურმა ქსელებმა შექმნეს შესაძლებლობა მათთვის, ვისაც სურს დაკავშირება ერთმანეთთან. მისი არსებობა გამოვიდა ჩარჩოებიდან, რამაც კომპანიებს საშუალება მისცა, გაეფართოვებინათ საზღვრები და ერთი პოსტით მიეწვინათ ხმა გლობალური აუდიტორიისთვის.

Hootsuite and We Are Social- მა განაცხადა, რომ მსოფლიოში 3.028 მილიარდი ადამიანი სოციალური მედიის მომხმარებელია, რომლებსაც შეუძლიათ ჩაერთონ და გაყიდონ, რადგან ბევრი მომხმარებელი მიმართავს სოციალურ ქსელებს რეკომენდაციების, კვლევისა და ინსპირაციისთვის.

რადგან სოციალური კომერციის როლი განაგრძობს პოპულარობის მოპოვებას, ბრენდები პირდაპირ სოციალური ქსელების საშუალებით იყიდება სოციალური კომერციის დახმარებით. ეს ამარტივებს პროცესს მომხმარებლებისთვის და ხელს უწყობს ინტერნეტში მყისიერ ონლაინ ყიდვა-გაყიდვას, რაც საბოლოოდ ეხმარება ბრენდებს.

სოციალური ქსელები დიდ როლს თამაშობს მომხმარებელთა ცხოვრებაში მთელს მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა არ არის ჩართული ციფრულ მოძრაობაში, ბრენდები და მომხმარებლები მაინც დადებით შედეგებს იღებენ. ციფრული ოქროს პიკის ეს ეტაპი ხაზს უსვამს, თუ როგორ არის სოციალური მედია კრიტიკული ინსტრუმენტი ბრენდის პოპულარიზაციისა და ეკონომიკური განვითარებისთვის.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნიდან დაწყებული, მცირე და საშუალო ბიზნესის ათვისებამდე, სოციალური მედია ძლიერდება და მომავალ წლებშიც კვლავ განაგრძობს გლობალურ ეკონომიკურ საზრდოობას.

ბიზნესის ხელშეწყობის პროცესში აუცილებელია, მუდმივად მოხდეს საქმიანობის შედეგების გაანალიზება. ეს დაეხმარება კომპანიებს პრობლემებისა და შეცდომების ამოცნობაში. ასევე, უნდა მოხდეს დაკვირვება კონკურენტების მუშაობის კუთხით, რათა დროულად გამოსწორდეს უარყოფითი მხარეები. ამ მნიშვნელოვანი საკითხების გარეშე შეუძლებელია სოციალურ მედიის გამოყენება.

ლიტერატურის სია:

1. Wright, B. (2013, October 22). Economic development marketing: Metrics that matter [Presentation slides]. Retrieved from http://www.slideshare.net/wright0405/social

2. Stelzner, M. (2014). 2014 social media marketing industry report. Retrieved from http://www.socialmediaexaminer.com/

3. Seed, T. (2013, February 21). Social media monitoring for economic development [Blog]. Retrieved from http://www.yfactorblog.com/social-media-monitoring-for-economic-development

ტრადიციული მაუწყებლიდან მულტიმედიურ მაუწყებლობაზე გადასვლა

მარიამ ქურდიანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქართული მაუწყებლობის ისტორია, რომელიც 66 წელს ითვლის. თბილისის პირველ ტელემაყურებლებს წარმოადგენდნენ მეზობელთა ჯგუფები, ანუ სამეზობლო. იტალიურ ეზოებში გამოტანილი იყო ტელევიზორი, რომელსაც მეზობლები კოლექტიურად უყურებდნენ. უკვე რამდნეიმე ათეული წელია რაც მაუწყებლობის პრინციპი არ იცვლება საქართველოში. ტელევიზია მუშაობს ძირითადად ახალ ამბებზე, თუმცა მას ასევე გასართობი პროგრამები აქვს. ამასთან, დრო მიდის, ვითარდება ტექნოლოგია და იმისათვის, რომ არ ჩამოვრჩეთ ჩვენც, ნელ-ნელა თანამედროვე მსოფლიოს უნდა ავუწყოთ ფეხი. დროა, რომ გადავიდეთ მულტიმედიურ მაუწყებლობაზე. პირველ რიგში, უმჯობესია, კვირაში 7 დღე 24 საათიან რეჟიმში მაყურებლისთვის ინფორმაციის მიწოდება.

საკვანძო სიტყვები: მულტიმედია, საზოგადოებრივი მაუწყებელი, პლათფორმა, სიზუსტე, საზოგადოება, მიუკერძოებლობა.

TRANSITION FROM TRADITIONAL TO MULTIMEDIA BROADCASTING

Mariam Kurdiani
The doctoral student
of Georgian Technical University

ABSTRACT

Provided article discusses the history of Georgian broadcasting, which spans for 66 years. First viewers in Tbilisi represented neighborhood groups or neighbors. Television set was put on display in Italian style yards where neighbors gathered to watch it collectively. Broadcasting principle has remained practically the same for decades in Georgia. Main emphasis is on the news, but entertainment programs are also been integrated in the schedule. It is worth noting, that as the time passes, the technology also advances, thus in order to keep up with the rest of the developed world we also need to develop. It is time for us to move towards the direction of multimedia broadcasting as well. The first logical step would probably be 24/7 format broadcast news feed.

Key words: multimedia, public broadcaster, platform, precision, public, impartial.

* * * *

ქართულ მაუწყებლობას, მისი სიტორია 1953 წელს იწყება, როდესაც დაიწყო პირველი ტელეცენტრის დაპროექტება თბილისში, რომელიც უნდა განთავსებულიყო მთაწმინდის ზედა პლატოზე. პროექტის განხორციელებაში, ტელეცენტრისა და ტელეანძის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში დიდი წვლილი მიუძღვით იმ დროს წამყვან სპეციალისტებს: კ.კოტრიკაძეს, ი.ძაგნიძეს, ა.ლორთქიფანიძეს, ვ.ლორთქიფანიძეს. 1956 წელს მთაწმინდის ზედა პლატოზე პროექტის შესაბამისად დამთავრდა სატელევიზიო ანძის მშენებლობა. ანძის სიმაღლე 185 მეტრი იყო, ხოლო ტურნიკენტულ ანტენასთან ერთად მისი სიმაღლე შადგენდა 192 მეტრს. (ეს ანძა მაშინ სსრკ-ში ყველაზე მაღალი იყო). იქვე აშენდა სასტუდიო სააპარატო ბლოკი, რომელიც შედგებოდა ერთი 50 კვ.მ სტუდიისაგან. გარდა ამისა, იყო ერთი სასტუდიო და ორი კინოარხი. ამ დროისათვის შეძენილი იყო ერთი მოძრავი სატელევიზიო სადგური პტს-42. ანძაზე განთავსებული ანტენისათვის დამონტაჟდა სატელევიზიო გადამცემი ტტრ-5/2,5 5 კვტ სიმძლავრით და 1956 წლის ნოემბერში მეოთხე მეტრული სატელევიზიო არხით დაიწყო საცდელი გადაცემები.1956 წლის 28 დეკემბერს გაზეთი "კომუნისტი" წერდა"თბილისში იხსნება ტელესტუდია". ამ მოვლენამდე 6 თვით ადრე თბილისში და რუსთავში გაიყიდა 3500 ტელევიზორი (რა თქმა უნდა შავ-თეთრი). ტელევიზორის ფასი 200 მანეთი იყო.1956 წლის 30 დეკემბერს ექსპლოატაციაში შევიდა თბილისის ტელეცენტრი და დაიწყო სატელევიზიო პროგრამების რეგულარული გადაცემები. თბილისის პირველ ტელემაყურებლებს წარმოადგენდნენ მეზობელთა ჯგუფები, ანუ სამეზობლო. იტალიურ ეზოებში გამოტანილი იყო ტელევიზორი, რომელსაც მეზობლები კოლექტიურად უყურებდნენ.

ახლა კი განვიხილოთ ტრადიციული მაუწყებლობა. რამდნეიმე ათეული წელია, რაც მაუწყებლობის პრინციპი არ იცვლება საქართველოში. ტელევიზია მუშაობს ძირითადად ახალ ამბებზე, მას აქვს ასევე გასართობი პროგრამები. ჰოლდინგებს აქვთ ასევე რადიო და ვები, თუმცა ეს ყველა მათგანი ცალ-ცალკე მუშაობს. ჟურნალისტებს ხშირად ერთმანეთში კონტაქტი არ აქვთ. ჯგუფები დადიან ერთსა და იმავე გადაღებებზე, მაშინ, როდესაც შესაძლებელია მთლიანამა ჰოლდინგმა ერთ პლათფორმაზე იმუშაოს. ამით დაიზოგება უამრავი დრო და რესურსი. რომ განვიხილოთ კონკრეტულად საზოგადოებრივი მაუწყებლის მეთოდიკა, ის შედგება

რამდენიმე არხისაგან რადიოსაგან და ვებისაგან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა მათგანს დამოუკიდებლად ჰყავს საკუთარი სტაფი და აქვს საკუთარი დავალებები. ასე იყო ტელევიზიის დაარსების დრიდან, თუმცა დრო მიდის, ვითარდება ტექნოლოგია და იმისათვის, რომ არ ჩვენც არ ჩამოვრჩეთ, ნელ-ნელა თანამედროვე მსოფლიოს უნდა ავუწყოთ ფეხი. დროა, რომ გადავიდეთ მულტიმედიურ მაუწყებლობაზე. პირველ რიგში უპირატესობა იქნება კვირასი 7 დღე 24 საატიან რეჟიმში მაყურებლისთვის ინფორმაციის მიწოდება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი პრეტენზიას აცხადებს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ საინფორმაციო სამსახურზე, რომელიც ორიენტირებულია ხარისხიან ჟურნალისტიკასა და ადამიანურ ისტორიებზე. მაგალითად, საზოგადოებრივს სურს დანერგოს ხარისხიანი ჟურნალისტიკის მოდელი საქართველოში, ჰქონდეს ქვეყნისა და მთელი კავკასიის რეგიონის ახალი ამბების ყველაზე სანდო წყაროს სახელი. ამგვარად, ახალი შინაარსის მქონე ახალი ამბები, ისტორიები და შიგთავსი (კონტენტი) არის მამოძრავებელი ბირთვი. ეს ყველაფერი კი წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამის პლატფორმაზე სათანადო ფორმატში, შესაბამის დროსა და სათანადო აუდიტორიისათვის. საზოგადოებრივი მაუწყებლიდან საქართველოს საზოგადოებრივ მულტიმედია საინფორმაციო სამსახურამდე- მაუწყებლობა საქართველოსთვისა და საერთაშორისო ბაზრებისთვის, ყველაზე სანდო ჟურნალისტიკა ქვეყანაში და კავკასიის რეგიონში, თავისი მულტიმედიური პლატფორმებით. საზოგადოებრივის აუდიტორია ითხოვს ახალ სტრატეგიას და იყენებს ყველა პლატფორმას კონტენტის მოსაპოვებლად: ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი და მობილური ტელეფონი. ციფრული აუდიტორიის თვალსაზრისით, მობილური მოწყობილობების მომხმარებელთა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება და ეს მიმართულება ყველა ქვეყანაში შესამჩნევია. საზოგადოებრივის მიზანია, შექმნას რიგი სარედაქციო ღირებულებებისა, რომლებიც მოიცავს სიმართლეს, სიზუსტეს, მიუკერძოებლობას, პასუხისმგებლობას, საზოგადეობრივ ინტერესსა და დამოუკიდებლობას. მას აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნება. საზოგადოებრივს სჭირდება, შეინარჩუნოს მისი აუდიტორიის მხრიდან ნდობა და პატივისცემა, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და პატიოსნების გზით. ის უნდა იყოს აუდიტორიისათვის ხარისხისა და ღირებულების მიმწოდებელი, დაფინანსების მისაღებად. საზოგადოებრივის შინაარსი უნდა იყოს მნიშვნელოვანი და და მოიცავდეს ფართო აუდიტორიას. საზოგადოებრივი ვალდებულია, დაიცვას სიზუსტე. ეს ვალდებულება არის მისი რეპუტაციისა და აუდიტორიის ნდობის მთავარი საფუძველი. ეს ნიშნავს იმას, რომ სიზუსტე უნდა აისახებოდეს მის პროდუქციაზე. სიზუსტე მხოლოდ ფაქტების სწორად მოპოვებაში არ მდგომარეობს. თუკი საკითხი საკამათოა, გათვალისწინებული უნდა იქნას მნიშვნელოვანი მოსაზრებები და სხვა ფაქტები. საჭიროების მიხედვით, ყველა ფაქტი და ინფორმაცია უნდა აიწონ-დაიწონოს, რათა გაირკვეს, რა არის სიმართლე. მედია პროდუქტის შინაარსობრივი სიზუსტის მისაღწევად, მაუწყებელმა უნდა დაიცვას შემდეგი:

1. მოიპოვოს მასალა, შეძლებისდაგვარად, პირველწყაროზე დაყრდნობით;
2. გადაამოწმოს ფაქტები;
3. გადაამოწმოს დოკუმენტური მტკიცებულებებისა და ციფრული მასალის ავთენტურობა;
4. მოიპოვოს მოწმის მიერ გამყარებული ჩვენებები და ბრალდებები, თუკი ამის გაკეთება შესაძლებელია. ახალი და მიმდინარე ამბების კონტენტში სიზუსტის მიღწევა და დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მიწოდების სიჩქარე. თუმცა, როდესაც შესაძლებელია იყოს ახალი ამბის პირველი მაუწყებელი და ამავე დროს დაცულია სიზუსტე, საზოგადოებრივმა უნდა უზრუნველყოს ახალი ამბის მყისიერი მიწოდება, მის ხელთ არსებული პლატფორმების მეშვეობით. მიუკერძოებლობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ძირითადი პრინციპია და აუდიტორიის მიმართ საზოგადოებრივის მთავარი ვალდებულებაა. ეს ეხება ყველა პროდუქტს და სერვისს - ტელევიზიას, რადიოს, ონლაინ მედიასა და მობილურ აპლიკაციებს. ის უნდა იყოს ყოვლისმომცველი, მხედველობაში მიიღოს ფართო პერსპექტივა და უზრუნველყოს განსხვავებული მოსაზრებების თანაბარი არსებობა (თანაბრად წარმოჩენა). მიუკერძოებლობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ განსხვავებულ მოსაზრებებს შორის ბალანსის დაცვას. ამავე დროს, ის არ მოითხოვს აბსოლუტურ ნეიტრალიტეტს ყველა საკითხში ან ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპებისაგან გადახვევას. თანამშრომლების, წამყვანების და სხვების, რომლებსაც ჩვენი პროდუქციის წარმოებაში წვლილი შეაქვთ, გარე საქმიანობას ასევე გავლენა აქვს საზოგადოებრივის რეპუტაციასა და მიუკერძოებლობაზე.

მიუკერძოებლობასთან ერთად, ფუნდამენტური პრინციპი უნდა იყოს სამართლიანობა. ამ კონტექსტსი მნისვნელოვანია პირადი ცხოვრების გაშუქების წესი. საზოგადოებრივმა პატივი უნდა სცეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და არ დაარღვიოს ის სერიოზული საფუძველის გარეშე. ტელევიზიამ უნდა იპოვოს ბალანსი ორ ფაქტორს შორის: პირადი ცხოვრება და უფლება, გასაჯაროვდეს ინფორმაცია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო. ჟურნალისტებმა უნდა შეძლონ, დაასაბუთონ პირად ცხოვრებაში ჩარევის მართებულობა. ადამიანის განმარტოების ღეგიტიმურ განცდას განსაზღვრავს ადგილმდებარეობა, ინფორმაციის ბუნება და ქცევა, ასევე თუ რამდენად არის ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი. ადამიანებს, რომლებიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში არიან, ნაკლებად აქვთ პირადულობის მო-

ლოდინი. ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იმყოფებიან, არ აქვთ განმარტოების ისეთი მოლოდინი, რა დოზითაც ისინი მოელიან სახლში ან სხვა სენსიტიურ ლოკაციებში (პირად სივრცეში). თუმცა, არსებობს გარემოებები (სიტუაციები), სადაც ადამიანებს აქვთ მარტოობის მოლოდინი საზოგადოებრივ სივრცეშიც კი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი ქმედება ან მათ შესახებ ინფორმაცია თავისი ბუნებით პირადულია. პირადი ქმედება, ინფორმაცია, მიმოწერა და საუბარი არ უნდა იყოს საჯაროდ გამოტანილი, თუკი არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, რაც პირადულობის განცდას გადაწონის. საზოგადოებრივი ინტერესის ერთი დადგენილი განსაზღვრება არ არსებობს. იგი გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

1. დანაშაულის აღმოჩენა და გამოვლენა;
2. მნიშვნელოვანი ანტისოციალური ქმედების გამოაშკარავება;
3. კორუფციისა და უსამართლობის გამომჟღავნება;
4. არაკომპეტენტურობისა და დაუდევრობის გასაჯაროება;
5. ადამიანების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა;
6. ადამიანების შეცდომაში შეყვანისათვის ხელის შეშლა, რაიმე განცხადებისა ან ქმედების შედეგად, რაც პიროვნების ან ორგანიზაციის მიერ არის ნაკარნახევი;
7. ინფორმაციის გასაჯაროება, რაც ადამიანებს გაუადვილებს ვითარების აღქმას და გადაწყვეტილებების მიღებას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

სიტყვის თავისუფლება საზოგადოების ინტერესებში შედის. როდესაც ვლაპარაკობთ საზოგადოების ინტერესზე, უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც უკვე საზოგადოებისთვის ცნობილია, ან გახდება მისთვის ცნობილი. როდესაც პირად ცხოვრებაში ჩარევისას საზოგადოებრივ ინტერესს ვეყრდნობით, უნდა გავითვალისწინოთ ქმედების პროპორციულობა: რაც მეტია პირად ცხოვრებაში ჩარევის ხარისხი, მით მეტად სჭირდება ამას დასაბუთება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/televizia--intelektualuri-udabno/televiziis-daarsebis-istoria
2. INNOVATION INTERNATIONAL MEDIA CONSULTING GROUP, გვ.17

რეცენზია მზევინარ ნოზაძის სახელმძღვანელოზე «ფინანსური ინვესტიციები»

ნელი სესაძე

მიმდინარე წელს პროფესიულ სახელმძღვანელოთა წიგნად ფონდს შეემატა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ მზევინარ ნოზაძის სახელმძღვანელო „ფინანსური ინვესტიციები“. იგი მოიცავს 15 თავს, ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განმარტებას და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას. სახელმძღვანელო წარმოდგენილია 355 გვერდით.

„ფინანსური ინვესტიციები“ სასწავლო სახელმძღვანელოა, რომელიც განკუთვნილია, უპირატესად უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისათვის და ფინანსური ინვესტიციების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ფინანსური ინვესტიციების თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.

წიგნის პირველი ორი თავი ეძღვნება ინვესტიციების თანამედროვე თეორიას. მკითხველი ამ თავებში გაეცნობა ზოგად თეორიულ ინფორმაციას ინვესტიციების არსის, ინვესტიციების ტიპების, ფინანსური ინვესტიციების ფორმების შესახებ. დეტალურად არის განხილული ფინანსური ინვესტიციების ბაზარი და მისი სტრუქტურა.

სახელმძღვანელოს მესამე, მეოთხე, მეხუთე თავებში განხილულია ფინანსური ბაზარი და მისი შემადგენელი ნაწილები. ასევე დახასიათებულია მსოფლიო ფინანსური ბაზრის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე არასაბირჟო ბაზარი ფორექსი, რომელიც მაღალლიკვიდურია და მსოფლიო ვაჭრობის მოცულობით ერთ-ერთი წამყვანია. განხილულია ბირჟები, საფონდო ბირჟის ინდექსები. ყურადღების გარეშე არ არის დარჩენილი საქართველოს საფონდო ბირჟაც, მოცემულია ავტორისეული ხედვა იმ წინააღმდეგობების შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან მის განვითარებას დღეს.

ავტორი დეტალურად აანალიზებს ფულის ღირებულების კონცეფციას დროში, რომელიც ინვესტირების ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის რეალურ საბაზრო შეფასებას უზრუნველყოფს. ეს საკითხი განხილულია სახელმძღვანელოს მეექვსე თავში. დახასიათებულია ფულადი ნაკადების დისკონტირების სხვადასხვა მოდელები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ინვესტირების პრაქტიკაში.

ინვესტიციების ძირითადი ნაწილი ფინანსურ ინვესტიციებზე მოდის. სახელმძღვანელოში სათანადო დონეზე განხილულია გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები-ობლიგაციები, აქციები, მათი სახეობები. განხილულია ობლიგაციების შეფასების მეთოდები-დახასიათებულია როგორც ტრადიციული მეთოდები-ანალიზური, საექსპერტო მეთოდი, ასევე ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი შემოსავლიანობის ღირებულების დისკონტირების მეთოდი მათი რისკის შესაბამის დონეზე.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ინვესტირების საკითხებზე წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში-ფორვარდებში, სვოპებში, ოფციონებში, ფიუჩერსებში, რომელტა შესახებ ძირითადი დებულებები გადმოცემულია მერვე, მეცხრე, მეათე თავებში. წიგნში დეტალურად არის განხილული და მაგალითებით ახსნილი სასაქონლო ფორვარდული კონტრაქტები, ფორვარდული ბაზრები. განხილულია ფინანსური ფორვარდული კონტრაქტები, სვოპები. აქვე მითითებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ის დებულებები, რომლითაც რეგულირდება მსგავსი ოპერაციები საქართველოში.

სახელმძღვანელო მკითხველს აცნობს ფიუჩერსულ კონტრაქტებს და ფიუჩერსულ ბირჟებს, მათ განსხვავებას სხვა კონტრაქტებისაგან. ფიუჩერსული ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებებს.

სახელმძღვანელოში განხილულია -რისკი და სარგებელის პოლიტიკაც, რომელიც აღწერილია აქტივების შემოსავლიანობის შეფასების მოდელით GAMP (Capital asset pricing model).

ფულადი სახსრების ინვესტირების მრავალი შესაძლებლობა და მეთოდია. თითოეული საინვესტიციო შემოთავაზება დაფუძნებულია განსხვავებულ საინვესტიციო მიზნებზე და ინვესტირების განსხვავებულ ამოცანებზე. ერთ-ერთი სპეციფიკური ინვესტიციის სახეობაა ტეზავრაციული ინვესტიცია, რომელიც გულისხმობს ფულადი სახსრების დაბანდებას განძეულობის შექმნის მიზნით.

სახელმძღვანელოში სათანადო დონეზე განხილულია ტეზავრაციული ინვესტიციების დამახასიათებელი თვისებები, მისი განმაპირობებელი მიზეზ- ფაქტორები. ცალკეულ თავებში დახასიათებულია ტეზავრაციული ინვესტიციები ძვირფას ლითონებში, ხელოვნების ნიმუშებში, ანტიკვარიულ ნივთებში. განხილულია საინვესტიციო ბაზრებზე ინოვაცია-თანამედროვე არტ-ბაზრები (Art Markets), მხატვრული ნამუშევრების საინვესტიციო ფონდები (Art Investment Funds) რომელთა დანიშ-

ნულება სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშების შეძენა და დამატებითი შემოსავლის მიღებაა. ავტორი მკითხველს აწვდის ინფორმაციას ხელოვნების საგნებზე საინვესტიციო ღირებულების განსაზღვრის შესახებ. განხილულია ინდექსები, რომლითაც ფასდება ხელოვნების საგნების ფასების დინამიკა. განხილულია ინვესტიციები საკოლექციო ნივთებში-საკოლექციო მონეტებში.

მეთოთხმეტე თავში განხილულია ფინანსური ინვესტიციების შეფასების მეთოდები: ფუნდამენტური და ტექნიკური ანალიზი. განხილულია საინვესტიციო პროექტის შეფასების მეთოდები: გამოსყიდვის პერიოდი, უკუგების შიდა განაკვეთი, წმინდა ახლანდელი ღირებულება, მომგებიანობის ინდექსი. მოცემულია თვითშეფასების ამოცანები ამ საკითხთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელოში გარკვეულია განსხვავება რეალურ აქტივებში ფულის დაბანდებასა და ფასიან ქარალდებში ფულის დაბანდებას შორის. დახასიათებულია რეალური ინვესტიციების თავისებურებები, ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ უძრავი ქონების ღირებულებაზე, გაანალიზებულია რიელტორული ფონდები და მათი საქმიანობა.

თითოეული თავის ბოლოს მოცემულია რეზიუმე, სადაც მოცემულია ძირითადი თავის მიგნებები; მოცემულია აგრეთვე კითხვები თვითშეფასებისათვის, თვითშეფასების ამოცანები. წიგნის ბოლოს განმარტებულია ძირითადი ცნებები და ტერმინები და მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის სია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მზევინარ ნოზაძის სახელმძღვანელო „ფინანსური ინვესტიციები“ ამ სპეციალობის ლიტერატურისათვის დიდი მონაპოვარია და შეიძლება იგი რეკომენდირებულ იქნას ფინანსური ინვესტიციების კურსის ძირითადი თუ დამხმარე ლიტერატურის სახით.

სახელმძღვანელო მომზადებულია იმ ლექციების კურსის საფუძველზე, რომელსაც ავტორი რამდენიმე წლის განმავლობაში კითხულობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე.